განვითარება, რიტმისა და ინტონაციების მუდმივ განხლებს პრინციპით მიმდინარებს, მხოლოდ მხოლოდ თემის საწყისი 1-3 ტაქტის მონაკვეთი მე-5-7 ტაქტის შესამოსლად, რის შემდეგ მუდმიდის ყოველი ახალი ტაქტი მერვედთა სრულიად ახალ ინტონაციებზე იგება და თემის მთლიანი ფორმაზე ერთიან განვითარებას იძებს. თემა ვითარდება გურული სიმღერებისათვის დამახასიათებელ სეკუნდურ შეფარდებაზე მყოფ აკორდთა პარალელურ მოძრაობაზე. ხსენებული მეთილი თითქმის მთელი ვარიაციული ციკლის მანძილზე შენარჩუნებული, სადაც ვარიაციური საწყისისა და კერძოდ სეკუნდური მოძრაობის პრინციპს ენიჭება წამყვანი მნიშვნელობა. A თემა უშუალოდ 1-ლი ვარიაციის შესავალში იჭრება, რის შემდეგ ტრიოლურ ფიგურაციებზე აგებული A<sup>1</sup> ვარიაცია, ტარდება მარშისებრი რიტმითა და ონგავ აკერცხულადაც. (სოლ მიზორი. გადმოსცემს კლარნეტი).

მასტაბურად A<sup>1</sup> ვარიაცია 4 ტაქტით ნაკლებია თემაზე. წინადადების ფორმაში და ფუნქციონალურადაც თემადვე რჩება. A<sup>1</sup> ვარიაციის მე-4 ტაქტიდან ახალი მულოდური მომუქევა ვითარდება მომდევნო A<sup>2</sup> ვარიაციის შესავალამდე. A<sup>2</sup> ვარიაციის შესავალი ფრაზა ახალი ვარიანტითა მოცემული, რომელიც ერთდროულად ამთავრებს A<sup>1</sup>-სა და ამხადებს A<sup>2</sup> ვარიაციას.


A<sup>2</sup> ვარიაციის პუნქტირებული რიტმი და ფაქტურული ცვალებადობა ჩნდება, რაც განპირობებულია ახალი შინაარსით. მისი მულოდია კიდევ უფრო დამოუკიდებელი თემის კონტრასტი. მასში თემისაგან მხოლოდ საწყისი ინტონაციური მარცვალა შეჩინილი და ვითარდება დამოუკიდებლად. მასშტაბურადაც იგი საგრძობლად შევსებულია (სრულდება პოზიის მიერ). A<sup>2</sup> ვარიაცია თემას პასუხობს ფუნქციის მიხედვით, იცვლება მხოლოდ მისი მხატვრული სახე, განსხვავებით თემისა და პირველი ვარიაციისაგან, მას და ასევე მომდევნო A<sup>3</sup> ვარიაციასაც იდლიურ-პასტორალური ხასიათი გააჩნია.

A<sup>3</sup> ვარიაციის შესავალი, თემის შესავლის ანალოგიური (რე მიზორი), ვარიაცია კი მთლიანად მყოფსმეხედ რიტმულ ფიგურაციებზე ვითარდება, რომელსაც თემის მე-3

ტაქტიდან გამომდინარე კვარტული მიმოქცევა ედება სა-  
ფუტკად. ვარიაცია იწყება ტონიკური ბეჭითი, წინააღმი-  
დედ თემის დომინანტური ბეჭისა. A<sup>3</sup> ვარიაციამ ალი-  
ნიშნება თემის ფუნქციიდან გადასრა, მოტორულობის ხაზ-  
გასმა. ფლეგმის პასტორალურ მელოდის ნათლად გამო-  
ხატება სალამურის სიმოვანების იმიტაცია.



A<sup>3</sup> ვარიაციით მთავრდება 1-ლი ტალა, რომელიც დი-  
ნამიურობის მხრივ მეტწილად წყნარ და მშვიდ „გარე-  
მო“-ში მიედინება. თითქოს გადმოცემულია „ფიქრები მო-  
მავალ მიზნებს და ამოცანებს“. A<sup>4</sup> ვარიაციით იხსენი-  
ება გუნთიარების მე-2 ტალა, თემის ანალოგიური საწყისი  
შესავლით. A<sup>4</sup> ვარიაცია გამოირჩევა წინა სამი ვარიაცი-  
ისაგან, მას უკვე დაეინებით და მოწოდებით ხასიათი  
აქვს, რაც გადმოცემულია საყვირთა საშუალებით ფორ-  
ტუზე. აქ პირველად ხდება დინამიური გამძაფრება, რაც  
თავისთავად მანიშნებელია, როგორც დამიზნება პირველი  
კულმინაციისაკენ (A<sup>5</sup>-ზედ). A<sup>4</sup> ვარიაციას თემის მელო-  
დისაგან თითქმის აღარაფერი შერჩენია. იგი ყველაზედ  
შორეულია და მასშტაბურადაც ყველაზე მოკლე (4 ტაქტი)  
და მხოლოდ მე-4-5 ტაქტების მოკლე აღმავალი სკანე-  
ციებით ენათესაება თემს.



A<sup>4</sup> ვარიაციით დროებით შეწყდება „დავა“ შესავლის  
მონაკვეთებსა და თემა-ვარიაციებს შორის, A<sup>5</sup> ვარიაცი-  
იდან ერთ მთლიან სახედ შევრტულ შესავალთა მონაკვეთები  
ხელთ იპყრობენ მოქმედების საკვს. წინა ვარიაციებთან შე-  
დარებით, 1-ლი კულმინაციის შემდეგ A<sup>5</sup> ვარიაცია თავისი  
დინჯი რიტმის წყალობით ერთგვარად თავშეკავებულია და  
გამოირჩევა ფართო სუნთქვის მელოდისმორტიული ნაგებო-  
ბით, ახასიათებს დაძაბულობას და მიზანსწრაფვას. A<sup>5</sup> ვა-  
რიაციამი ხდება წინამორბედი ვარიაციებში დაგროვილი  
ენერჯის შეკამება და აქვს ვაჟაკური შემართებით მიმ-  
დინარობის სვლა მორიგი მე-2 კულმინაციის დასაპყრობად  
(A<sup>6</sup>-ზედ). აქედან მოყოლებული ფორმის შუა ნაწილამდე  
(B თემის ვარიაციები) A თემის ვარიაციები შესავალ ინ-  
ტონაციითა შეერთებით მიღებული ერთი მთლიანი სახით  
გაირდება, რითაც იქმნება ვარიაციების ახალი მეორე ხა-  
ზი, რომელიც ორმაგი ვარიაციის პრინციპს უახლოვდება.



A<sup>5</sup> ვარიაცია A<sup>6</sup>-ში გადაიზრდება, რომელშიც უფრო  
გაფართოებულია დამუშავებითი ელემენტები. ბანში გაბა-  
ტონებულია შერეულთა პულსაციის წამყვანი როლი. ფლე-  
რადობის თანდათანობითი მიყურებით ხდება დინამიური  
მოშვება და მე-2 ტალის დასრულება.

მე-3 ტალაში მოცემულია A<sup>7</sup>, A<sup>8</sup> და A<sup>9</sup> ვარიაციები.  
A<sup>7</sup> და A<sup>8</sup> ვარიაციები ანალოგიური ფაქტურითა და უწყვე-  
ტი განვითარებით ხასიათდებიან, წარმოადგენენ ერთ  
მთლიან სვლას და მომზადებს მე-2 კულმინაციისათვის  
(A<sup>9</sup>-ზედ), ორივე მათგანში A<sup>5</sup> ვარიაციის საწყისი ინტო-  
ნაციური მარცვლები ვითარდება წვირი გროლობებსზედ.  
გაძლიერებულია მათში სწრაფვა, პულსაცია შეთქმე-  
ტლებზედ, იჭრება იმიტაციურობა, ორკეცდება დამუშავე-  
ბითი ფუნქცია მკვეთრი მოტორულობის ფონზედ. მო-  
დერატის სამ ტაქტიანი მონაკვეთი წამიერი განმუხტვა და  
შემაგრიებელი ხილია A<sup>7</sup> და A<sup>8</sup> ვარიაციებს შორის. A<sup>8</sup>  
ვარიაციიდან გრძელდება დროებით შეწყვეტილი დინამი-  
ური აღმავლობა. ადგილი აქვს მრეყობას ძირითად  
c moll-ისა და e moll-ის დომინანტებს შორის და ბოლოს  
Vergil-ის მფეთქავი ტრემოლის ადგერება და მე-2 კულმი-  
ნაციური A<sup>9</sup> ვარიაციის საწიფო გატარება, რომელიც მთე-  
ლი ფორმის I ნაწილის შინაარსობრივად განმარტადებუ-  
ლი და დამაბლოტებელია.



დაწყებული A<sup>7</sup> ვარიაციიდან A<sup>9</sup> ვარიაციის ჩათვლით,  
მიმდინარეობს შესავლის ინტონაციათა გაერთიანების შე-  
დეგად შექმნილი თემის სასებორი ჩამოყალიბება 3 სიბა-  
დიად. 1) A<sup>5</sup>, A<sup>6</sup> ვარიაციები დაძაბულ, მრეყობა პირმოთი,  
2) A<sup>7</sup>, A<sup>8</sup> ვარიაციები დამუშავებითი ფუნქციის გაღრ-  
მაებით, 3) A<sup>9</sup> ვარიაცია, ჩამოყალიბების დასრულება, გა-  
მარჯვების მარში. A<sup>9</sup> ვარიაციამი (პერიოდის ფორმის),  
ფუნქციონალურად კვლავ თემა აღდგენილი, რომელიც  
სუსტდება A<sup>6</sup> ვარიაციიდან, ხოლო A<sup>4</sup>-დან კი მთლიანად  
შეწყდა. სვლეს შორისაც არის განსხვავება, თუ A<sup>5</sup>, A<sup>4</sup> ვა-  
რიაციები ყოველმხრივ სვლებია, A<sup>5</sup> ვარიაცია (შესავლის  
ჩათვლით) მე-5 ტაქტიდან ათივსება, როგორც თემის  
დასაწყისი, მაგრამ თანდათანობით სვლამ გადაიზრდება.  
იგივე ხდება A<sup>6</sup> ვარიაციებზე. A<sup>7</sup>, A<sup>8</sup> ვარიაციები აშკარა  
სვლებია, A<sup>9</sup> ვარიაცია კი კვლავ თემა. მისი შეიდტაქტი-  
ანი განმტკიცება ერთდროულად პირველი სამი ტალის გა-  
მაერთიანებელია, რომელიც მთელი ფორმის დრამატურე-  
ული ხაზის განვითარების პირველ ეტაპს წარმოადგენს.  
თითოეული მათგანი საფეხურებრივ კანონზომიერებით  
თითოვლა აღმავალი დინამიზირებით, თუ 1 ტალად, რო-  
გორც უნებო აღენიშნე, წარმოადგენს „შეზღუბს მომა-  
ჯალი მიზნებისათვის“, დადამიორად, ძირითადად პოა-  
ნოზე მიმდინარეობს, მე-2 ტალაში ირღვევა „სიმყუდრო-  
ვე“, ხდება გარტყება, „დადაწყვეტობის“ მიღება გარ-  
კვეული დღის სისრულეში მოსაყვანად, რაც მე-3 ტალა-  
ში უფრო გაძლიერებული, გაორკეცებული ნებისყოფითი  
ენერჯით გამოიხატება. გადაღობება 1-ლი დაბრკოლება,  
მაგრამ საბოლოო მიზანი კიდევ წინაა.

მე-4 ტალა B თემისა და მისი 4 ვარიაციისაგან შედ-  
ება. იქმნება დინამიური სიმშვიდე, მაგრამ ვაჟაკური  
იერი კვლავ შენარჩუნებულია მთელ ტალაში. მართალია  
აქ ლირიკა აქვს ადგილი, მაგრამ იგი მიიწ ქმნილია;  
B თემა მოცემული ტალის დასაწყისშივე ისარება სვლის  
სახით. მისი ორივე ვარიაცია მხატვრული სახის შენარჩუ-  
ნებით ფაქტურულ-ტემბრალური ცვალებადობით უახლოვ-  
დება მაკური სტილის ვარიაციებს. უმნიშვნელო გადამრე-  
ბით. მაგალითად, B<sup>3</sup> ვარიაცია, შედარებით გაფართოებუ-  
ლი და რიტმულ-ინტონაციურადაც გამსხვილებულია f-ზედ



გატარებული მე-4 ტალღის კულმინაციურია. წინადადების სახით გადმოცემული B თემის მელოდიის ლირიულობა მიხიხლხურბობითაა განპირობებული.




პირველი სვლა კონტრასტულია მომდევნო A<sup>2</sup> ვარიაციის ლირიკის მიმართ. მეორე სვლა კი აშხაღებს შემდეგ კულმინაციის B<sup>3</sup> ვარიაციისათვის და ბოლოს A<sup>1</sup> ვარიაციის შემდეგ კი იგი მთელი ფორმის მე-3 ნაწილის ცესურაა, ე. ი. შთავსება A თემის ალდეგის წინ.

შუახსენებლ მე-5 ტალღაში კვლავ გრძელდება „კამათი“ შესვლის მონაკვეთებსა და A<sup>10</sup>, A<sup>11</sup>, A<sup>12</sup> ვარიაციებს შორის. A თემის რიტმული ფაქტურა ადარ ვითარდება. სახივე ვარიაციაში შენარჩუნებულია თემის მერვედთა ფიგურაციები, ვარიაციულობა აქ ტრანსლურ-პარაზონიულ სფეროში გამოხატება, რაც ბოლომდე განიცდის ინტენსიურ დინამიზრებას. იგი A<sup>10</sup> ვარიაციის ნახევარ თემს ემთხვევა, შემდეგ კი დამუშავებითი სახე ქმლვეა. A<sup>11</sup> ვარიაცია კიდევ უფრო შორდება თემს, ასევე A<sup>12</sup>-შიც, თითოეულის მასშტაბით თანდათანობით მცირდება, ისინი ერთიანდებთან ერთ მთლიან უწყვეტ ტალღაში, რომლის განვითარება აშხაღებს A<sup>1</sup> ვარიაციას. ეს შუახსენებლ A<sup>3</sup> ვარიაციის ანალოგიურია, აქ მავსტაბოზზე სახეიმი, პომპეზურობა უფრო დამაჯერებელია. „სანუკარი მიხანი“ განხორციელდა და ხსარტე ლაკონური კოდა (ალეგრო) აფერგვინების სიმფონიის მთელ მე-3 ნაწილს, მე-5 ტალღა, მე-4-სთან ერთად, ფორმის დრამატული ხაზის განვითარების მე-2 ეტაპია. მე-4 ტალღა მე-5-სთან აღიქვამს, როგორც დინამიური „ინტერმეცი“ გადაწყვეტი „შეტევის“ წინ. ხოლო მეხუთის პირველ ტალღაში გადმოცემულია „დასახული პრობლემის წარმატებით დავიკრვინება“. ამგვარად A თემისა და მისივე შესავალიდან გამომდინარე ორასხივანი ვარიაციული განშტოება და B თემის ვარიაციები მთლიანობაში ქმნიან ვარიაციული ციკლის სასახეობას.

სანტატურის სპეციფიკურობით აღინიშნება აგრეთვე მე-2 სიმფონიის მე-2 და მე-4 ნაწილთა ვარიაციული ციკლებიც. მე-2 ნაწილი წარმოადგენს ერთ თემაზე აგებულ ვარიაციულ ციკლს სამნაწილიანი ფორმის ჩარჩოში. გარდა წყაყვანი A თემისა და 5 ვარიაციისა, დრამატურული ხაზის განვითარებაში ვარიაციების კვალდაკვალ ეპიზოდური ა და B თემატური ინტონაციები ჩაერთვებიან, რომლებიც დროებით არღვევენ ვარიაციულ დენადობას და მოქმედების „საკვსაც“ ისაკუთრებენ. ეს განსაკუთრებით ეპიზოდურ ა თემას შეეხება, რომელიც მეორეხარისისხივენების მიუხედავად მელოდიური სახის შინაგანი ზრდისა და დამოუკიდებელი განვითარებით გამოირჩევა, ხოლო მე-2 ასაკით თემატური ს მასალა კი მხოლოდ ერთხელ იჩენს თავს სტლის სახით. ფორმის სამნაწილიანობას ადასტურებს მოკლე შესავალ ფრაზათა გამყოფი როლი ყოველი ნაწილის წინ. A თემა რომანსული იერისაა და თხრობით მანერის ნახატარებელი. იგი მოქმედობა განვითარებული ერთნაწილიანი წინადადების სახით.

პირველ ნაწილში მოთავსებული A თემა და A<sup>1</sup>, A<sup>2</sup> ვარიაციები სასათიროვად ერთმანეთის ანალოგიურია — ჩა-



ფიქრებული და მეოცნებე. სამიწეში ძირითადად ერთი მხატვრული სახეა შენარჩუნებული. A<sup>1</sup> ვარიაციის მელოდიური სურათი მე-2 ნახევრიდან შეცვლილია თემასთან, განსხვავებულია ტრანსლური სფეროც. A<sup>2</sup> ვარიაციაში, სადაც გაზრდილია მღერადობა, A<sup>1</sup> ვარიაციის პირველი ნახევარია შენარჩუნებული, ხოლო მე-2 ნახევარი კი ეპიზოდურ ა თემატურ ინტონაციაშია შესავებული; რომელმაც თავისი განვითარების პირველი ეტაპის მანიძილედ ინტონაციურად დაიმორჩალა იგი. 1 ნაწილში მშვიდი ატმოსფერო სუფევს, მე-2 ნაწილი კი ტიპიური დამუშავებითი ფუნქციით ხასიათდება. A<sup>3</sup> ვარიაციიდან უკვე ხასიათობრივი გარდატეხის ნიშნები ჩნდება. მღერადობა მცოცავ ტრანსლობათა შედეგად რემიტატიულობასა და პირქუშობაშია გადაზრდილი. A<sup>3</sup> ვარიაციის მელოდიური მოხაზულობა უსტადე A<sup>1</sup> ვარიაციის ემთხვევა, ე. ი. A<sup>3</sup> ვარიაცია A<sup>1</sup> ვარიაციის წარმომქმნელია. A<sup>3</sup> ვარიაციის ფაქტურიდან არის აგრეთვე წარმოქმნილი ს თემატური მასალა. იგი წამებით დინამიური სიმუქროვის შემქმნელია. მომდევნო, ბოპოტიკი სტიქიის „წინ, მას წინ „ელოება“ ეპიზოდური თემის ინტონაციური მარცვლები და ხანმოკლე „ქილილი“ შემდეგ გამარჯვებით სხნის შუა ნაწილის მეორე ქვეტალღას (პოკო აიტატო), სადაც დამუშავება მთლიანად აღწევს. A<sup>4</sup> ვარიაციის მელოდიური ქსოვილი და შინაგანი სახე უაღრესად შეუქმნელია, გამაფრებელი და სინთეზირებულია სიმფონიის ლეიტთემასა და ეპიზოდურ ა თემასთან. ამ მხრივ იგი A<sup>2</sup> ვარიაციის მონათესავეა, რომელიც ასევე შენარჩუნებულია ეპიზოდურ ა ინტონაციებში.

ამჯერადაც მივიღებ ვარიაციული წყვილი A<sup>2</sup>, A<sup>4</sup>, სადაც A<sup>2</sup> ვარიაციაში ჩასახული დინამიური დენით A<sup>4</sup>-ში „იფეთქება“. იგი წმინდა დამუშავებითი მერყევი ნახევარი წამითდება და აშხაღებს A<sup>5</sup> ვარიაციის პათეტური ერთიანობის საფუძველზე. A<sup>5</sup> ვარიაცია კი A თემის ვარიაციის შემქმნელია, დინამური ასპექტში და გამდიდრებული გამოშვებლობით. მე-2 ნაწილიდან, როგორც აღვნიშნულ, ხდება ლირიკურ-ემოციური სფეროდან გადასვლა დაძაბულობაში. ამ მხრივ A<sup>3</sup> ვარიაცია გარდაამავალი ხასიათისაა, ლირიკურ-რემიტატიული. A<sup>4</sup> ვარიაცია (შუა ნაწილის კულმინაციური) ფსიქოლოგიურად გამაფრებულია, A<sup>5</sup> კი სახეიმიდ ძლევამოსილი, რომლის მასალაზეც აგებული კლდის უკანასკნელი აკორდი სიმფონიის მე-2 ნაწილის უმაღლესი კულმინაციაა.

იქმნება შემდეგი თანმიმდევრობა: A<sup>1</sup>, A<sup>1</sup>, A<sup>2</sup> (ლირიკურ-საოცნებო), A<sup>3</sup> (რემიტატიული), A<sup>4</sup> (მავფრე-სახეიმი). მთელი ციკლისათვის დამახასიათებელია მღერადობა, რომელიც ბოლომდე შენარჩუნებული. რაც შეეხება ვარიაციათა კატეგორიას, არ გამოირჩევა სირთულის დიდი ხარისხით და კრმა სახეობრივი გარდაქმნით. მიმდევრობის მიხედვით თემის მელოდიური გართულება მიმდინარეობს არა ერთიანი აღმავალი კანონზომიერებით, არამედ სხვადასხვა ხარისხობრივი შესაბამით, შეერულიად იქმნება ხარისხობრივად წყვილი თანაფარდობანი. ამოკრფის შედეგად მიიღება შემდეგი შინაარსობრივად წყვილი დაჯგუფება:

1) A, A<sup>5</sup> (მეცხრი სტილისა), 2) A<sup>1</sup>, A<sup>2</sup> (მეცხრისა და რთულის შუალედური) 3) A<sup>2</sup>, A<sup>4</sup> (რთული სახის). პირველ წყვილში თემის ვარიანტება, როგორც აღვნიშნეთ, დინამიურ-ტემბრალურ ასპექტში სხვადასხვაა. მე-2 წყვილში რიტმით-ინტონაციური გამსხვილებით. შესაბამისი კი ვარიაციის შემდეგ გენელოგიური ელემენტები მაღალ ხარისხობრივად გაშლად განვითარებას იღებენ A<sup>4</sup> ვარიაციაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ფორმის სტრუქტურა 3 ნაწილადაა გამოყოფილი, დინამიური განვითარება 2 ნაწილად დიდიყოფა: 1) დასაწყისიდან შუა ნაწილამდე (პოკო ატიტატო) ზომიერი, წყნარი ატმოსფეროა გაბატონებული, 2) პოკო ატიტატოდან ბოლომდე კი მძაფრი-სასუნთხი ქლერადობა სუფევს.

მე-2 სიმფონიის მე-4 ნაწილი ვარიაციული ციკლის შედგენად შექმნილ ერთნაწილიან ფორმას წარმოადგენს, რომელიც მთლიანად ერთ სუნთქვავზე მიედინება დინამიური განვითარების აღმავალი სახით. A თემა სოლო ფლეიტის კოლორიტიკი ტერეტითა ლირიკის ნათელი ნიმუშია, იგი მოცემულია გრძელფრანჯიანი წინადადების სახით.



თემა ხუთ ვარიაციას შეიცავს. ვარიაციული ციკლი, განვითარების ორი ფაზით, გამოირჩევა უწყვეტი შინაგანი ინტენსივობითა და გასაოცარი მთლიანობით. პირველ ქვეტულში მოცემული A, A<sup>1</sup>, A<sup>2</sup>-დან, სახათის იდენტურობით A, A<sup>1</sup> წყვილი გამოირჩევა, რომელიც მოდულირებული პერიოდის ფორმას უახლოვდება. A<sup>1</sup>-ში გამოშახველობითი დინამიკა გზარდობს, A<sup>2</sup> ვარიაციაში, რომელსაც სვლის ფუნქცია ეკისრება, შეიგრძნება 1-ლი ცდა დინამიური აღ-

მგლობისაკენ, მაგრამ ეს უნდა „გადაწყდეს“ მე-2 ქვეტულში. A<sup>3</sup> ვარიაციით თავიდან იწყება „სწრაფვა მიზნისაკენ“ ხს. სხ. თითოეულის A<sup>1</sup> ვარიაციის ანალოგიურობა. A<sup>5</sup> ვარიაციები ერთ სუნთქვავზე მოცემული სხვადასხვა ფორმები. A<sup>5</sup> როგორც ციკლის კულმინაცია, ხოლო A<sup>1</sup> მისი მომამზადებელი. ორივეში შინაგანი სწრაფობა ხს. წვასმული, რაც A<sup>2</sup> ვარიაციაში ჩაისახა. ამრიგად A, A<sup>1</sup>, A<sup>3</sup> მშვიდ გარემოშია გატარებული, ხოლო A<sup>2</sup>, A<sup>4</sup>, A<sup>5</sup> — აქტიურობით მოცულნი, შესაბამისად 1-ლი ფაზის მეორე სტილიდან ახლოს მყოფნი, მე-2 კი რთული სახის, მეცხრის და რთულის შერეული მიმდევრობა. გარდა თემატიკური სფეროსი, ვარიაციულობა აქ იდგევს საორკესტრო ტემბრალურ ასპექტშიც მიმდინარეობს. A<sup>2</sup> ვარიაციის შემდეგ, კვლავ მთავარი A თემის გატარება სოლო ვიოლინის საშუალებით. ეს როგორც „წარსულის ექი“ იგი განცალკევებულია ვარიაციული ჯგუფიდან და ციკლის კოდის ფუნქციით აღიქვება.

ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებს ანდრია ბალანჩინის მიერ არა მარტო ვარიაციული მეთოდის ფართოდ გამოყენებას, არამედ ვარიაციული ციკლის სხვადასხვა სახეებისა და აღნაგობის შექმნის ფართო შესაძლებლობას. განხილულიდან ცხადია თუ რაოდენ მრავალფეროვანია ვარიაციული ციკლი მრავალნაწილიან და კერძოდ სინატურ-სიმფონიური ციკლის ფარგლებში. ვარიანტება არა მარტო მუსიკალური გამოსახულების ხერხია, არამედ კომპოზიტორის შემოქმედებითი აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა. ამიტომაც ანდრია ბალანჩინის ნაწარმოებთა დაწერილობითი ტექნოლოგიური ანალიზი წარმოადგენს, არა წმინდა ფორმალურ ანალიზს, არამედ კომპოზიტორის სახეობრივი აზროვნების პროცესის მკაფიო გამოვლინებას.

სსრკ 50 წლისთავისადმი  
მიძღვნილი გამოფენიდან



ბ. სირხილაძე.  
ნატურკოორტი.



# ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა

„საბჭოთა“ ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ X X I V ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავდადებით იბრძვის მეცხრე ხუთწლიდის დაჯალბათა შესრულებისათვის.

ხუთწლიდის მესამე წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მოწონებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად ყველა დარგის, შრომითი კოლექტივებისა და თითოეული შრომბელის წინაშე ისახება ახალი პასუხისმგებლობის ამოცანები. მიმდინარე წელს მუშაობის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება. ეს 1973 წელს აქცევის მეცხრე ხუთწლიდის გადაწყვეტი წლისწინადად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, საიდანაც აღებულია ეს სიტყვები, გადაიქცა ქალაქისა და სოფლის ყველა შრომბელის კომუნისტებისა და კომკავშირელების, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკების, მთელი საბჭოთა ხალხის 1973 წლის საბრძოლო პროგრამად.

ხუთწლიდის მესამე გადაწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დადამდე შესრულებით დიდად არიან დაინტერესებული საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა შრომბელი. ამის კომპარტიტი დასტურია ის საყოველთაო შრომითი და პოლიტიკური აღმაგებობა, რომელიც დღეს ყველგან შეიმჩნევა. რესპუბლიკის კონომიკის შემდგომ განვითარებაში, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში დიდი გარდატეხის მისაღწევად ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის გამოაცხადეს, რათა 1973 წელს ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეგობრება, რომლის შედეგებმა უნდა გადაწყვიტოს რესპუბლიკის მთელი ხუთწლიდის წარმატებით დასრულების ბედი.

ჩვენ, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, გული სიღრმემდე ვართ გამსჭვალულინი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოწოდებით, რომელიც პარტიული აქტივის გუმწინვადელი არების მაღალი ტრიბუნიდან გაისმა; ჩვენ ამ ლაშქრობის აქტიური მონაწილენი უნდა გავხდეთ.

სწორედ პარტიის ამ მოწოდებამ აღვიძრა სურვილი მივართოთ ამ წერილით რესპუბლიკის კულტურის ფრონტის ყველა მუშაკს.

მუშათა კლასსა და საკოლმეურნეო გლეხობას ყოველთვის, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მხარში ედგა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია — მწერლები და პოეტები, კომპოზიტორები და შემსრულებლები, ფუნჯისა და საკრთლის ოსტატები, თეატრისა და კინოს მუშაკები.

რუსთაველისა და სულხან-საბას წიგნებმა, გელათის ფრესკებმა, ვარძიამ და უფლისციხემ ჩვენამდე მოიტანეს

უძველესი ქართული კულტურის სიდიადე. მაგრამ თუ ოდესმე ჰქონია აზრი და შინაარსი ცნებებს — მწველი და ცხოვრება, დრო და ხელოვანი, ხელოვნება ხალხში და ხალხისათვის — ეს ყველაზე მეტად ჩვენს ეპოქაზე ითქვის.

კულტურა მზის ნათელი სხივივით შეიჭრა ყველაზე დაშორებულ სოფელსა და სეზონში, დამკვიდრდა მუშისა და კოლმეურნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვაბდა სოციალისტური ყოფაცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სწორედ ეს არის ლენინის იმ წინასწარდასულობის უბრწყინვალესი დადასტურება, რომ ლიტერატურა და ხელოვნება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს.

დაიხ, სოციალისტური კულტურა ეკუთვნის ხალხს, იგი ერთვულად ემსახურებოდა და ემსახურება მის ინტერესებს. სახალხო მიზნებად ქვეული რევოლუციური სიმღერები, პირველი პროლეტარული პოეტების ლექსები ზამთრის სასახლეზე საიერიშოდ მიმავალთა და სამოქალაქო ომის გმირთა განუწერელი თანამგზავრები იყვნენ.

გავისწოთ 20-30-იანი წლების სახალხო ენთუზიაზმი და პირველი ხუთწლიდების რომანტიკა, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა.

გავიხსენოთ ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც ვერ კიდევ როდის მოგეწოდებდა — დამკვერი ბრიკადებიდან დამკვერულ სამაქრობზე გადავსულიყავით, დამკვერული სამაქრობეები — დამკვერულ ქარხნებზე.

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი კალამი, საჭრეთული თუ ვილინიო ხიმწისა და შაშხანას გაუთანაბრეს. ბევრმა მათგანმა თავი დასდო სამშობლოსათვის. სანგრებში იდგა არა მარტო ჩვენი ჯარისკაცი, არამედ ჩვენი ლექსიც, ჩვენი მუშაკიც.

ანდა ავიღოთ ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდი.

გავიხსენოთ ჩვენი გალაკტიონი. შემთხვევით როდი იყო, რომ აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში დამოწმებული იქნა მისი პოემა „ხრამქვისა“, რომელსაც შემოქმედების განსაცვიფრებელი ძალა გააჩნია:

ახე, ჩვენი მხარე  
შრომით დაივიროთა,  
ნებით გაივლინთა,  
ძალით აიხვიროთა,  
მხარეს მოუწოდა  
კვლავაც თუადედება,  
როიანც სხვა ქეიქობი  
ამთავთვადება,  
ო, ჩემო ჩინოო,  
ძნაო და უღლოცა,  
ბედმა საქართველოს  
გზებში დაუღლოცა.  
ჩინის დერბობის  
თუვის ვუვაუნება,

ერთის, ერთი წუთის  
გასაუკუნება.  
რაც კი არაკაცია  
და რაც კი თურკია,  
შოაქეს, ხრამპასხა შოაქეს  
ხალხის ენერჯია.

ასე იყო მუდამ, ასე არის ახლაც — ხალხის ენერჯიას შევერდებოდა ჩვენი ენერჯიაც. დღეს ენერჯიას ელის თავის დიდ მომღერლებს. კულტურის ფრონტის მოწინავე პოზიცია დღეს ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზეა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხნებში და ფაბრიკებში, ლაღად გაშლილ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

და ჩვენ გვიდავ გამოვხატოთ დღეს კულტურის ყველა მუშაკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ფიქრები და განზომილები და მთელი სხიტი განვატყდათ: წვავჯარად არც შეიძლება იყოს, ხუთწლიანი გადაწყვეტილება წლისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშრობაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ყოველმხრივ მზად არის, იგი საბოროლოდა განწყობილი.

თანამედროვე ქართული მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები ბევრმა ნაწარმოებმა უკვე დაიჭირა თავისი ადგილი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საგანძურში. მაგრამ ჩვენი დრო, დიდ მიღწევათა დრო, კიდევ უფრო ფართო საზოგადოებრივი სულისკვეთებით გამსჭვალულ ხელოვნებას მოითხოვს; შემოქმედი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს სინამდვილეს, ხალხის ცხოვრებას, მის სიძინეობას და წარმატებებს.

ჩვენ ვგახსოვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, წარმოთქმული სსრ კავშირის XI წლისათვის შეიქმნა, — „კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში წინასწართან, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ამოცანას, როგორც არის ადამიანთა შეგნება ჩამოყალიბება, თითოეული საბჭოთა ადამიანი კომუნისტური მშენებლისათვის საჭირო თვისებების აღზრდა“.

ჩვენ მოვეწოდებით საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს სრულად გამოიყენოს თავიანთი ნიჭი და მხატვრული შესაძლებლობანი ამ კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანის გადასაწყვეტად.

ჩვენი პოეზიასა და პროზაში, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებში, თეატრის სცენაზე, კინოში და ტელევიზორზე მჭიდროვებ ცხოვრებით უნდა ცხოვრობოთ ჩვენი თანამედროვე მეცნიერ ხუთწლიების გინორი, რომელიც სინამდვილედ აქცევს პარტიის დიად წინასწარდასახულებებს. ამისათვის ჩვენ უშუალოდ უნდა ვეზიაროთ მის ყოველდღიურ ცხოვრებას და შრომას, განვიმტკავლოთ მისი ინტერესებით, გავივით მისი მოთხოვნები და მისწრაფებანი.

დაუცხროლოდა ვეძებთ შრომითა ფართო მასებთან ყოველდღიურ კონტაქტების ახალი, უფრო ეფექტური ფორმები, უფრო ხშირად მივამართოთ ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებებს სამარეწველო საწარმოებში, ახალ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ. უფრო ხშირად მოვაწყობთ შეხვედრები განხილვებსა და სოფლის შრომობლებთან, მათთან ერთად ქაზიხილ-შრომითი კოლექტივების ცხოვრების აქტუალური საკითხები. უნდა დაგამყაროთ შემოქმედებითი დაწყებულებების კავშირი მხსილ სამარეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივებთან და ყოველნაირად განვაძტკივოთ იგი.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, უფართოესი მასშტაბით უნდა გავმართოთ მხატვრულ-პროპაგანდისტული მოღვაწე-

ობა. უნდა მოვაწყობოთ ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, განსვლული სპექტაკლები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საძოვრებზე და ფერებში. ამავე მიზნით, კვლავაც უნდა განვაგრძოთ კულტურის სახლებში სამხატვრო გალერეათა ორგანიზაციის პრაქტიკა. ჩვენი ვალაია ყოველნაირად დავკენძნობთ თვითმოდემ მხატვრულ კოლექტივებს, გამოვავლინოთ და განვაგვიტაროთ ხალხური ტალანტები, სისტემატურად მოვაწყობოთ მათი მიღწევების რაიონული და რესპუბლიკური დათვალეირებანი.

მხატვრებმა უნდა შექმნან სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა პორტრეტების სერიები, მათზე უნდა ექვრდეს სიმღერები და სიმფონიური პოემები, კინოდოკუმენტალიტებმა სპეციალური კინოურნალები და კინოლმანახები უნდა მიუძღვნან სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, წიგნის თაროები უნდა შეივსოს ნარკვევების კრებულებით, რომლებიც მოგვიხიბობენ უსრულედის გადაწყვეტილ წლის გვირების შრომითი მამაცობაზე. შეგოთა აღარ ეპარა, ახლა დღის წმარეგობა კალმისა და ჩაქვრისა, უფრისა და ნამვლის ნამდვილი თანამგობობობა.

დაე, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მუდამ ვგრძნობდეთ უსოზო ბუნეირებას იმის შეგნებით, რომ ჩვენი ხალხის ღირსეული შეღლები ვართ, რომ მხარში ვუდგევართ დიდ შემოქმედს — საბჭოთა მშრომელს.

- გ. ა ბ ა შ ი ძ ე — საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი; დ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; ე. ა მ ა შ უ ჯ ე ლ ი — მოქანდაკე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი; ვ. ა ნ ჯ ა ზ ა რ ი ძ ე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; დ. ა ნ თ ა ძ ე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრული საზოგადოების თავმჯდომარე; გ. ა ს ა თ ი ა ნ ი — კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი; ა. ბ ა ლ ა ჩ ი ვ ა ძ ე — კომპოზიტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი; ბ. ბ ა ი რ ე ჯ ა კ ი — რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი; მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი — მოქანდაკე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი; ნ. ბ უ რ შ ი ნ ზ რ თ ვ ა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; ო. გ ო რ დ ე ლ ი — საქართველოს მუსიკალურ-კორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ს. დ ო ლ ი ძ ე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს ინსტრუმენტალური კავშირის პირველი მდივანი; დ. დ უ მ ბ ა ძ ე — მწერალი, ლენინური კომპარტიის სახელმძღვანელოს ლაურეატი; რ. ლ ა დ ი ძ ე — კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი; ე. მ ა ნ ჯ ა ზ ა ძ ე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი; ა. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი — კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი; ლ. შ ი თ ა შ ვ ი ლ ი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი; მ. შ ა შ ვ ე ლ ი ძ ე — კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი; ვ. ნ ა ტ ო შ ვ ი ლ ი — მწერალი; რ. ჩ ა ხ ი ძ ე — კინორეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი; უ. ჯ ა ზ ა რ ი ძ ე — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.



პრეზიდიუმის შიშვლა

# ერთი სპექტაკლი და ორი რეცენზია

კაპიტონ გაწერელია

პრინსტონში ლორემოინის დიდებული რომანი „კოლხეთის ცისკარი“ სამართლიანად მიეკუთვნება იმ მაღალიდურ და მაღალმატერულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელშიც მთელი სისრულით, მხატვრული სისადავით, მაღალი მოქალაქობრივი, პარტიული პოზიციიდან იქნა დანახული და დამაჯერებლად ასახული საქართველოში კოლექტივიზაციის პირველი წლები.

საინტერესო სიუჟეტურმა ქარგამ, დადებითი და უარყოფითი ძალების შეპირისპირებით გამოწვეულმა მამადრმა დრამატულმა კოლხელებმა, მოქმედ გმირთა სისხლსახე სახეებმა ამ რომანს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაუკავებია იმ ბრწყინვალე პროზაულ ნაწარმოებთა შორის, რომლითაც ამაჟამად არა მარტო ქართული, არამედ საერთოდ მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობა.

გარდა ზემოთ აღნიშნული თვისებებისა, ამ რომანში დასრული მრავალი საკითხი სადღესო პრობლემებს ეხმარება. ესაა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, მისი იდეების

ფართო პროპაგანდა, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის პრობლემები, დრომოჭული ჩვევების: უნიათობის, მლიქვნელობის, წამლევაობის, მექრთამეობის, კარიერისმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენი წერილის მიზანს ამჟამად არ შეადგენს ვრცლად შევიჩრდეთ კ. ლორთქიფანიძის რომანის „კოლხეთის ცისკარის“ მხატვრულ ღირსებებზე. მასზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც მრავალი საინტერესო აზრი გამოითქმება. ამ წერილში გვინდა ვილაპარაკოთ რომანის სცენურ ინტერპრეტაციაზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ამ სპექტაკლზე უკვე გამოითქვა აზრი, დაიწერა რეცენზიები და შეიძლება ითქვას ამით ერთგვარად შეჯამდა, რეზიუმე გაუკეთდა თეატრის ნამუშევარს. აი, ჩვენს წინ არის ორი რეცენზია, ერთი — მცხოვანი პროფესორის დიმიტრი ჯანელიძის (გაზეთი „კომუნისტი“, 1973 წ. 26 იანვარი) და მეორე — ახალგაზრდა თეატრმცოდნის ნათელა არველაძის

(გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973 წ. 13 იანვარი). ამ რეცენზიებმა იმიტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ ისინი სპექტაკლის შეფასებაში დამეტარალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჯერ კიდევ სათარებშივე იგრძნობა ავტორების პოზიციის. თუ პატივცემული დიმიტრი ჯანელიძე წერს „შთამბეჭდავად და ამბიულვებლად“, ნათელა არველაძე ასეთ დასათარებებს აძლევს რეცენზიას „საით მივეყვართ სპექტაკლს“.

დაჯანელიძე რეცენზიის დასაწყისში წერს: „თხუთმეტოდე წლის მანძილზე ქართული თეატრი მესაჯერე მამართავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანს „კოლხეთის ცისკარს“ და მისი ინსცენირებით ცდილობს რეალიზმით და პარტიულობის სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლით განამტკიცოს და გაამდიდროს თავისი რეპერტუარი. ამ რომანისადმი ასეთი შეუნიღებელი ინტერესი მოწმობს, რომ თეატრი დიდად აფასებს და უფროხილდება მწერლობასთან სისხლხორცულ კავშირს. სწორედ ასეთ ნაწარმოებთა სცენური განხორციელებით იზრდება თეატრის როლი ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში.

„კოლხეთის“ რესპონდენტის თეატრის სცენაზე დადგა ლევან მირცხულავამ. იგი თანმიმდევრულად ცნობავს თავისი შემოქმედება მტკიცედ დაუკავშიროს მშობლიურ მწერლობას, საბჭოთა ლიტერატურას, სცენაზე თანამედროვეობის ასახვას. მისი სპექტაკლები მოწმობენ, რომ იგი ცხოვრების მხატვრულ ასახვაში ახლის ძიებას ეტყობით ეძლევა, მაგრამ თეატრის განხვევით არ ებადი ტრადიციის გამოყენების აუცილებლობა კარგად აქვს შეგნებული“.

არველაძე — „1936 წლის ანოლიში კ. სტანისლავსკი მიმართავდა სამხატვრო თეატრის ერთ ჯგუფს: „თითოეულ წარმომადგენლებს თეატრის ბედი. წარმოიდგინეთ, სამხატვრო თეატრის ხელოვნება ეყვება, თეატრი განიცდის ძალზე სერიოზულ წუთებს. უნდა გადავწყვიტოთ საით მივეყვას ჩვენი თეატრი... არც ერთ თეატრს მსოფლიოში არ შეუღლია ისე სწრაფად „დამიპოლოს“ როგორც სამხატვრო თეატრს. იგი შეიძლება „დამიპოლოს“ ორი თვის განმავლობაში, ან ორი სპექტაკლი“.



სცენა სპექტაკლი-  
დან „კოლხეთის ცი-  
სკარი“, ტუჩა — ბ.  
ზაქარაიძე (მარჯ-  
ნივ), ბარნაბა — ქ.  
საკანდელიძე.

ტაკლის შემწვობით და არაფერი მისგან არ დარჩება. იგი მეტად სა-  
თუთი და ნაზი ორგანიზმია... თე-  
ატრის შემოქმედებით ხარისხზე  
ზრუნვა ან მისი დაშლის გამო გან-  
გაში, რა თქმა უნდა, სრულიადც  
არ ნიშნავდა, რომ სამხატვრო თეატ-  
რი შეწყვეტდა არსებობას, როგორც  
თეატრი. იგი იარსებებდა, მაგრამ  
აღარ იქნებოდა ერთმორწმუნე,  
მტკიცედ შედუღებული კოლექტივი,  
ერთიანი მოქალაქეობრივი და ხე-  
ლოვნებისეული იდეით შეგავშირე-  
ბული ორგანიზმი. მისი სპექტაკლე-  
ბი დაკარგავდა ადამიანთა ურთიერ-  
ობას, ადამიანის ფსიქოლოგიის,  
მისი შინაგანი სამყაროს ყოველი  
ნიუანსის ფილოზოფიული დამუშავე-  
ბის ხელოვნებას, გამომსახველო-  
ბის საშუალებათა ნატივ ოსტატო-

ბას. თეატრი სახეს შეიცვლიდა... და  
ქ. სტანილაკვი უპირველესად რე-  
ჟისორებს მიუწოდებდა — გადაე-  
წყვიტათ, საით წაიყვანდნენ თეატრს.  
როდესაც რუსთაველის სახელო-  
ბის აკადემიური თეატრის უკანასკ-  
ნელი პრემიერა ვიხილეთ, უნებურად  
სწორედ ეს სიტყვები გაგვახსენდა, —  
და ბოლოს ნ. არველაძე ასვინის:  
„სპექტაკლი „კოლხეთის ცისკარი“  
თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით,  
თეატრალური აზროვნებით ვერ ებ-  
მინებოდა ჩვენი დროის ჰუმანიტრიკი  
თეატრის თვისებებს, უფრო მეტიც,  
ამ სპექტაკლით არ განვითარდა, არ  
გაღვივდა ამავე თეატრის მიგნება-  
ნი... ჩვენ შეიძლება შეაცხრად შევა-  
ფასოთ სპექტაკლი, მაგრამ არ გვა-  
ვიწყდება, რომ ლაპარაკია რუსთავე-  
ლის სახელობის აკადემიური თეატ-

რის ნამუშევარზე, რომლის ხელოვნე-  
ბა უპირველესად მაღალპროფესიუ-  
ლობით განირჩეოდა და მკვეთრად  
ემიჯნებოდა სტიქიურ ხელოვნებას.  
ეს ნამუშევარი კი სწორედ სტიქიუ-  
რია. ასეთი თეატრალური  
აზროვნება კი უკან გადა-  
დგმული ნაბიჯია. ერთი-  
ორი ასეთი სპექტაკლიც  
და შეიძლება „დაიშალოს“  
ის თეატრი, რომლის ასე-  
ვნებასაც წლები დასჭირ-  
და“.

თუ დიმიტრი ჯანელი-  
ძე თეატრის სპექტაკლს მაღალ შე-  
ფასებას აძლევს, ოდნავ მაღალფარ-  
დღავნია თავისი აზრის გამოთქმის  
დროს და ნაკლოვან მხარეებზე გაკვე-  
რით ამახვილებს ყურადღებას, ეს  
თეატრის დიდი სიყვარულითაა ნა-  
კარნახევი. ხოლო ნ. არველაძის წე-  
რილი, მისი ტონი, თეატრის ნამუ-  
შევრის გაქიპების ცდა სასურველ  
დამაჯერებლობას ვერ აღწევს.

ნ. არველაძე აღნიშნავს:  
„დღეს, როდესაც თეატრი „სახე-  
ცვლილებას“ განიცდის, აღრმავეს  
კი გუშინდელ მიგნებას? სწორედ ამ  
კუთხით უნდა განვიხილოთ ახალი  
სპექტაკლის რამოდენიმე სცენა.  
მოთიანი ხელოვნებისეული ნაწარ-  
მოებიდან რამოდენიმე სცენის „ამო-  
გლეჯა“ ცხადია, მიზანშეწონილი არ  
არის, მაგრამ „კოლხეთის ცისკარი“  
სწორედ ისეთი სპექტაკლია, რომელ-  
საც ერთიანი მოთიანი გადაწყვეტა  
არ გააჩნია, ცალკეული სცენები ლო-  
გიკურად არ არის დაკავშირებული  
ერთმანეთთან. ე. ი. დიარღვა თანა-  
შედროვე თეატრის „უპირველესი  
თვისება-ერთიანობა, მონოლითუ-  
რობა, ანამბლურობა“.

ნებას მივცემთ ჩვენს თავს არ  
დავკანონებთ ნ. არველაძის სპექ-  
ტაკლის საერთო შეფასებაში. ეს  
წარმოდგენა ნამდვილად არ იძლევა  
საბაბს, ასე ერთი ხელის მოხმით  
თეატრი „დაიშალოს“ სამშორეობის  
წინაშე დასაქვეითო. არ შეიძლება არ  
დავიანახოთ სპექტაკლის თავისებური  
რეჟისორული ხელწერა (რეჟისორი  
ლ. შირცხულავეა), კარგად, ში-  
ნაარსობრივად გააზრებული მრავალ-  
ლი მიზანსცენა; ამა თუ იმ სურათის,  
სცენის ლოგიკური რეჟისორული წე-  
რტილი; რეჟისორისა და მხატვრის  
(გ. გუნია) მიერ სპექტაკლის  
მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც  
კომპაქტურს ხდის წარმოდგენას; მო-  
ძრაე დეკორაცია, რომელიც სახიფ-  
ადად გადმოგვცემს განწყობას, თა-  
ვის რიტმს უპირჩენებს სპექტაკლს  
და ხელს უწყობს მოქმედების ლოგი-  
კურ განვითარებას; ასევე მასიზობა



მიერ მრავალი კარგად მიგნებული შტრები, თავისი გმირის ბუნების სრულყოფილად გადმოსაცემად.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ინსცენირების დროს ბუნდები გამოხალისის გარდა, ვერ ხერხდება სცენაზე სრულყოფილად გადმოტანა ყველა იმ ნიუანსთან, რაც მოთხრობაში თუ რომანშია მოცემული. უფრო თუ და სისხლნაკლები ხდება ზოგიერთი მთავარი მოქმედი გმირი. წინა პლანზე გამოდის მეორეხარისხოვანი ამბები, კონფლიქტი კარგავს სიმძაფრეს, აკლია დრამატურგიული წყობა, მოქმედების სხარტი განვითარება. ამ მხრივ ახლ რუსთაველითა სპექტაკლია დაზღვეული, უპირველესად ყოვლისა, ეს ითქმის დადებით გმირთა სახეებზე. მექისა და დოფინას სახეები, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი ინსცენირებაში, მაგრამ მათაც გააჩნიათ ნაკლოვანებანი. ასევე შეიძლება ითქვას ტარასი ხაზარაძის სახეზედაც, რომელიც ინსცენირებაში ძუნწი ფერებითაა წარმოდგენილი, სრულფასოვნად არ არის წარმოდგენილი მისი, როგორც ბოლშევიკის — ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი თვისებები. მკრთალია ინსცენირებაში ბაჭუას სახეც. უფრო კონკრეტულობას, მოქმედების ფართო არეს მოითხოვდა ტუჩა დაშინაინის სახეც, რაც ინსცენირებაში მკრთალადაა წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა, ინსცენირებაში დაშვებულმა ამ ნაკლოვანმა მხარე-

ებმა მეტნაკლებად სპექტაკლშიაც იჩინეს თავი.

ნ. ა რ ე ვ ლ ა ძ ე ს მიაჩნია, რომ რეჟისორს თითქმის არა აქვს არც ერთი მეტყველი მიზანსცენა და, რაც მთავარია, სპექტაკლს არა აქვს ერთი მთლიანი გადაწყვეტა.

დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე კ ი წერს: „კოლხეთის ცისკარი“ რეჟისორმა ლ. მირცხულავამ განახორციელა შეუღლებულად, არ მოერიდა წარმოსახვის სიმკაცრეს, ზოგჯერ მხატვრულ უხეშობასაც კი, რათა ნათელი წარმოდგენა შემეშლიყო, თუ რა სიღუბნეურსა და სიბუნჯეში იყო მოქცეული ძველად სოფელი, რათა გასაგები გამხდარიყო ცხოვრების გარდამქმნელი ბრძოლის სირთულე და სიმძნელე. შეტაკების სიმწვავე, ახლისათვის მებრძოლთა მიღღებამძღველი ნებისყოფა და უტეხი შემართება.“

ამის შემდეგ თავისთავად იბადება კითხვა, გააჩნია თუ არა სპექტაკლს ერთიანი მთლიანი გადაწყვეტა? ამ კითხვაზე თვით რეჟისორის, მხატვრისა და მსახიობთა შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი იძლევა პასუხს.

პირველ ყოვლისა, მხატვრულ გადაწყვეტაზე გვინდა შევჩერდეთ. ჩვენი აზრით, რეჟისორმა (ლ. მირცხულავა) და მხატვარმა (გ. გუნია) მხატვრული გაფორმებით შექმნეს სპექტაკლის თავისებური ჩარჩო, რომელმაც სპექტაკლს ხელი შეუწყო შინაგანი რიტმის შენარჩუნებაში და

რაც მთავარია, მრავალ მიზანსცენას აზრობრივ დატვირთვა მისცა, ასევე ლოგიკური წერტილი დაუსვა ამა თუ იმ სცენას.

მხრუბავ სცენაზე შუა ადგილას ერთი სახლია წამოდგმული, რომელიც ხან ეკლესიაა, ხან სამიკტორო, ხან კი — კულაკის სახლი. ეს მოსაცემელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელს უწყობს მოქმედების განვითარებას, ერთი მდგომარეობიდან მეორეში ლოგიკურ გადასვლას. სპექტაკლში ორიგინალურადაა გამოყენებული ურემი (თუმც ეს პირველი შემთხვევა არაა ქართულ სპექტაკლში). მაგრამ რეჟისორმა სპექტაკლში მის თავისებური ფუნქცია დააკისრა. იგი „თამაშობს“ სპექტაკლში და თავისებურად არის დაკავშირებული ბარნაბასთან, მის მოქმედებასთან, ხაფოშიასათვის დროსტარებისა და ჯირითობის საგანს წარმოადგენს, გლეხობისათვის კი შრომის სიმბოლოა. გავისენით სპექტაკლის დასაწყისი, რა ამაყად შემოაკვირითებენ ურემზე ამხედრებულ ხაფოშიას მისი ძმაბიჭები, ან მამა-შვილ ვარდოსანიძეებს შორის მომხდარი კონფლიქტი, ურმის კოფოს დაჯახებული და თავკეტებითი ნესტორ ვარდოსანიძე, ან მოვრალი, ადღუბებული, ცხოვრებისაგან განაწამები, უსახელო მკერი რომ შეფარებს თავს. ან სოფლის კრება, საიდანიკ ბარნაბას მიერ მოქრთამული და გაბრიყვებული მართა და დახუნდარა, მისივე ურემზე შესაკუბებული კრების

სცენა სპექტაკლიდან „კოლხეთის ცისკარი“. დახუნდარა — ი. ზეინია (მარცხნივ), ბარნაბა — ს. საკანდელიძე, ერემო — ჯ. ლალანიძე.







რეჟისორს რამდენადმე პაროდულად აქვს გასწილი ნაყოშიას (მ. თაჯაძე) და თალიკოს (ლ. გუდაძე) სახეები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სპექტაკლის პირველ ნაწილში. აქ მსახიობები ნიადაგამოცილი კლასის წარმომადგენლების შესატყვისად ხშირად პოზირობენ, ცდილობენ გარეგნულ ეფექტებზე (მეტყველების ზეწვეული ყალბი ტონი, ამაყი, შინაჯანად დაუძაბავი მოქმედება) დაყრდნობით გადმოსცენ თავიანთი განცდები.

თავისი გულწრფელობით, ახალგაზრდული სილალით, დაფარული სიყვარულის ფაქიზი გადმოცემით ყურადღებს იმსახურებს და სუბიმათაშვილი დიოფანას როლში. სოფლის მუშა, კეთილშობილი ადამიანების სახეები შექმნის ვ. ნიონიმე (გიორგი ჯიშყარიანი) და გ. თალაქაძემ (კირილე მიქაძე).

საინტერესოა ეპიზოდურ როლებში მ. გეგეჭკორი, ლ. ძიგ-

რაშვილი, ლ. დამბაშიძე, ლ. ჭავეჭავაძე და ვ. ელოშვილი.

ბუნებრივად ისმება კითხვა, შეიძლება თუ არა ასეთმა სპექტაკლმა „დამლამდე“ მიიყვანოს თეატრი? დაირღვა თუ არა თეატრის სტილი? ჩვენის აზრით, პასუხია ერთი: სპექტაკლს აქვს ნაკლოვანი მხარეები, რომლის გამოსწორება საჭიროა. მაგრამ აქ ჩანს თეატრის პოზიცია — ასახოს ჩვენი ახლო წარსულის ღრმა დრამატუზმით აღსავსე მოვლენები, ნაწარმოებში დასმულ პრობლემებს მისცეს სადღისო ქღერადობა, დაიცვას პარტიული პრინციპი, აჩვენოს ცხოვრება შეუღლამაზელად თავისი დადებითი და უარყოფითი ამბებით. გამორუხადოს შეებრალეებელი ბრძოლა დროშოჭმულ ჩვევებს: უნათობას, უპრინციპობას, მლიქვნელობას, მეჭრთამეობას. საზოგადო აჩვენოს საბჭოთა ადამიანების, კომუნისტების, ახალი ცხოვრებისა და საზოგად-

ობების მშენებელთა სახეები და ამას ალწევს თეატრი მაღალი პროფესიული ოსტატობის გამოვლენით.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სპექტაკლის სტილი — ეს არის სოციალისტური რეალიზმი, რომელსაც წლების მანძილზე ხვეწს და ავითარებს რუსთაველის თეატრის ნიჭიერი კოლექტივი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სპექტაკლიდან სპექტაკლამდე უფრო იხვეწება წარმოდგენა, მსახიობთა შესრულება უფრო შთამბეჭდავი და დამაჯერებელი ხდება და თუ ამას დავუმატებთ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის ლ. შირცხულავას განცხადებას ჩვენთან საუბარში, რომ ისინი განაგრძობენ ავტორთან მუშაობას, რომ სპექტაკლში შეტანილი იქნება კორექტივები, იმედა, ყოველივე ამის შემდეგ „კოლხეთის ცისკარი“ საპატიო ადგილს დაკავებს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის რეპერტუარში.

# მეტი პროფასიული მოთხოვნალოა

შენიშვნები გრაფიკოსთა ნაშაზვარების საიუბილეო გამოვანაჩა

## ნუგზარ ბოკუჩავა

საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებმა მრავალი გრაფიკული ნაწარმოები უძღვნეს საბჭოთა კავშირის იუბილეს, ხელოვნების მუხუშუმის ექსპოზიციამ წარმოდგენილ ნამუშევართა ჟანრობრივმა და თემატურმა მრავალფეროვნებამ, მათმა მაღალმა მხატვრულმა დონემ საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენებს ასახავს გ. წერეთლის გრაფიკული ნამუშევრები: „1921 წელი, თებერვალი“, „შუადღე“ და „1945 წლის მაისი“, რომელთა სწორი გრაფიკული ხერხებით ჩვენება ხელოვანისაგან უშთავრესად ნიჭსა და ნათელ შემოქმედებით ფანტაზიას მოითხოვს. ამ მხრივ თამამად შეიძლება ითქვას, გ. წე-

რეთლის პირველი კომპოზიცია, რომელშიც გადმოცემულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამარების პირველი დღეები, სავსებით ანართლებს მოთხოვნას. ისტორიული მომენტი აქ თავისებური, მხატვრული ხედვითა დაანახული და პოეტურად სორექსენსუელი. მებრძოლებს ჯერაც არ გაუხდიათ ჯარისკაცის ფარაჯა, ზოგს სახეზე გამარჯვების სიხარულით მოგვილი ცრემლი არ შემურობია. მართალია, ნაწარმოებში არ ჩანს მკვეთრად გამოკვეთილი ფიგურები, სახეები, მაგრამ წინა პლანზეა წამოწეული სურათის იდეური არსი, სადაც გარემო ახალი ცხოვრების პერით სუნთქავს. კომპოზიცია ისე ოსტატურად არის აგებული, რომ ჩვენს წარმოსახვამ უმაღ ცოცხლებიან იმ



ადამიანთა სახეები, მათი განცდები, ხასიათები, რომლებიც მომავალი ცხოვრების მშენებელთა განზოგადებულ სიმბოლოებად გვსახიზიან. ყოველივე ამას მხატვარი აღწევს ძალზე სადა, ზუსტი, ღრმა და გავრცელებული გრაფიკული შტრიხებით, ხაზების სიმკვეთით, ფიგურების რიტმული აგებით და უბრალო იმპრესიებით.

ლირიკული ინტონაციები იგრძნობა მეორე კომპოზიციონერი „შუადღი“, რომელიც კონკრეტული სიტუაცია მხატვრის მიერ საინტერესოდ არის აღქმული, ოსტატურად წარმოსახული და განზოგადებული. ხელოვანს შესწავს უნარი ძუნძად აგებულ კომპოზიციის სრულყოფილად გამხატვრის თავისი ჩანაფიქრი, გარკვეულ გრაფიკულ ჩარჩოში მოაქციოს ღრმა აზრი, შექმნას შესაფერისი განწყობილება.

მეორე მსოფლიო ომმა დროებით შეაფერხა საბჭოთა სახლის მშვიდობიანი შრომა. მძიმე იყო ეს წლები, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილმა, მომავლის რწმენამ საბოლოო გამარჯვება მოგვრჩანა. უსაზღვროს გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ყოველივე ეს აღქმება გ. წერეთლის ნაწარმოებში „1945 წელი, მაისი“. ირგვლივ თითქმის ყოველივე ზემოთს, ზემოთგან ადამიანები, რომლებმაც მწყვედრად განიცადეს ომის სიმძიმე.

აქც, ისევე როგორც წინა ნაწარმოებებში, მხატვარი არ ცდილა ზედმეტი დეტალებით კომპოზიციის გადატვირთვას. მან ყოველივე წმინდა გრაფიკულ გამოსახვას დაუჭვემდებარა ხელოვანმა იცოდა, რომ რთული კომპოზიციის აგებობა და ფიგურათა სიმრავლით სურათი ერთჯერადი დამბრუნებლად და ოდნავ მიოღილად თვალს, ამიტომაც მან გამარჯვება კომპოზიციის კიდევ უფრო დახვეწვა და მოკლე აქცენტში გადაწყვიტა იგი. რამდენიმე საჭირო შტრიხი, ფიგურათა თავსუფალი, სწორი განლაგება, მათი მიზანგანი განცდების გადმოცემა ავსებს სურათს, გარკვეულ ემიციურ ქვრივობას ანიჭებს და შესაფერისი განწყობილებას ქმნის.

ქართული მხატვრები მთელის სივსადით წარმოსახავენ სამამული ომის თემას, საბჭოთა სახლის ვადამდებულ ბრძოლას, მათ განუსაზღვრელ სევდასა და გამარჯვებას. საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ნ. მალაზონიამ ამ თემას მთელი სერია უძღვნა. იგი რვა დამოუკიდებელი კომპოზიციისაგან შედგება. თითოეული მათგანი დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია. იანინ აზრობრივად ერწყმინა, ავსებენ მუკითხვით, ექსპოზიციამ სურათების სწორი განლაგებით უწყურებელს თვალსა და ქველხა შეფარდების ყველა ის სახეინება, რაც ფაზისშმა მოუტანა იმ პერიოდში მშვიდობისმოყვარე ყველა ერს. ეს აზრი გამოსახა ავტორმა თავის პირველ კომპოზიციისში „22 ივნისი“.

შინაგანი უქპარქისითა და დრამატუზით არის ასლავსე მისი მეორე სერია „მოლოდინა“. მასშიც გამოლოდინა ადამიანის გრძნობების, განცდებისაშიდ ფიქსირ დამოკიდებულებისა და მათი მხატვრულად გადმოცემის უნარი.

კომპოზიციის არ არის რთული, თუმცა საკმაოდ ორიენტირებად და ემფატურად არის გაავრცელებული და გადაწყვეტილი კონკრეტული ფსიქოლოგიური მიმზნეტი. შენელებული ფანჯარის კუთხიდან ბავშვის შემზინებული სახე იმჩირება. მისი დიდრონი, შავი თვალები თითქმის სადღაც შორს იცქირება, ვიდაცას მოელის, ბავშვის სახეს დამაჯერებელი შტრიხებით, განწყობილების შესატყვისი რბილი ტონებით ხატავს ხელოვანი, საერთოდ იგი მისი ჩანახატ სადაა, და უბრალო, რომელშიც ცხადად შეიმჩნევა იდეური ჩანაფიქრის მრავალმხრივი გვიგების უნარი.

ლიენინგრადის ბლოკადის რეჟიმე ვრძნობება გადმოცემული ნ. მალაზონის ერთ-ერთ ნაწარმოებშიც. მასში

ცხოვრებისეული სიზუსტით არის დანახული, განცდილი და ლაკონურად აბეჭდილი ლინინგრადელთა მტკიცე ხასიათი. კომპოზიციის იგრძნობა საბჭოთა სახლის გმირული სული, მათ საბრძოლო შემაბრთვას. მხატვარი დიდი შინაგანი მღელვარებით განიცდის ომით გამოწვეულ ტრაგედიას და მაკურნელად განაღვლებს. შავის, ნაცისტების რასა და თურსის შესებებით ქმნის დამაჯერებელსა და დინამიურ დრამატულ სურათს. ასეთივე სიმღერითაა დასატული მისი მიმდევრო სურათი. საკონკრეტაციო ბანაკების მათუფლობათების შუა მხატვარი მოშავო ტონში წარმოსახავს კვამარადცველი ადამიანის ტანკულ სხეულს, რომელიც მალდა ღრუბლებისაგან მიიწვეს და საცაა მუერითდება მას. სურათი დატვირთულია ღრმა შინაგანი აზრით, მისი ხაზების მოქნილობა და სიმკვეთრე, ფერის სიმკაცრე მთლყოფილს ხდის კომპოზიციას.

ლირიკული განწყობილება შეაქვს მხატვარი კომპოზიციისში „მოფარის სონატა“. ოთა კის ქვეშ, ნანგრევებში სასწაულად გადაარჩენილ ჰიანინოსთან ზის ბრძოლით მოლოდინი ჯარისკაცი, თავი დასხრია, გატაცებული უკრავს, თითქმის გრძნობ ამ მელდობას, წამით გავიწყდება ყოველივე. ლირიკული ინტონაციის შემოტანით ხელდასაშემუნველად განტვირთა დადაბულობა. ემოციურად და შინაგანი ექსპრესიით არის გადმოცემული ისტორიული „9 მაისი“. მხატვარი ოსტატურად იმერწავს მოიწვეს საბჭოთა ჯარისკაცთა ფიგურებს, მათ მღელვარე სახეებს.

სხვაგვარად წყვეტს ხელოვანი სერიის ბოლო კომპოზიციას „დაბრუნება“, რომელიც იგრძნობა ფრთხილად დაბრუნებული ჯარისკაცის სულიერი მღელვარება, მისი სახის ნაკვთები სისხარულსა და ბედნიერების გრძნობას გამოსატყვის.

ნ. მალაზონის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ცხოვრების აღქმის სრულყოფილება, მისდანი რეალური, პოეტური დამოკიდებულება, ფიქრებისა და ხაზების ქარმონიულობის შეგრძნება, რიტმების სიმდიდრე, დინამიკა და ამბ თუ ფილოსოფიური აზრის ლაკონური, მხატვრული წარმოსახვა.

გამოფენაზე ყურადღება მიიპყრო თ. შათირიშვილის ტრიპტიკმა „რევოლუციის გზით“. მასში საინტერესოდ არის დანახული და აღწერილი მშრომელი ადამიანის რევიოლუციამდელი ცხოვრება, ბრძოლა თავისუფლებისათვის და საბჭოური დროის მშვიდობიანი შრომა.

მხატვარი ოსტატურად, მკვეთრ გრაფიკულ ხაზებში წარმოსახავს, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა გულეკაცს ყოფნა. მისი ბოთერი, მაგრამ ნაჯაფი სხეული, დაბერილი სახის ნაკვთები თავისთავად გამოსატყვენ ამ განწყობილებას. კომპოზიციის სწორად არის აგებული, ჩანს ასასახავისაში საკუთარი დამოკიდებულება, თითოეული გრაფიკული ხაზი გაავრცელებულია და დამაჯერებელი. ასლანიშნავია, რომ უშუალბადა არ აკლია ფიგურებს, მათი ენერგიული, დაძაბული პოზები, ფსიქოლოგიურ მნიშვნელობა ანიჭებს კომპოზიციას, თითქმის გრძნობ, რომ საცაა გაილიტების, იფთაქებს პლენკავში პოტესტის გრძნობა, რომელიც იარაღს ააღებებს და ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ცეცხლით აღავსებს.

სწორედ ეს ბრძოლის ცეცხლია გამოსატყვნი ტრიპტიკის ცენტრალურ კომპოზიციასზე. ის გულეკაცი თავისუფლების დროში წინ მიუძღვის რევოლუციის მებრძოლებს, რის გადმოსაცემად მხატვარს არ დაუშურებია გრაფიკული გამოსახვის მხატვრული და ტექნიკური საშუალებები. ისტორიული მოვლენის წარმოსახვის მრავალღანობაში, მისი ორიგინალური გაავრება დინამიურსა და მიმზიდველს ხდის ამ კომპოზიციას.





მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ასახავს ტრიბიტის ბოლო სურათი, რომელშიც ცენტრალური ადგილი მამაკაცისა და ბავშვის ფიგურებს უჭირავს. ისინი მოსავლის აღების მომენტში არიან წარმოსახვლი, ძლიერი და მოქნილია ფიგურები, რომლებიც მტკიცედ ვერდებიან მიზნულ მიწას. ბავშვის დაბალთ, კონთოვან შიშველ სხეულს მხატვარს სურს გამოხატოს ენობის ძალა, სიტკაცედ და შემართება. მხატვარი ენერგიულად და პლასტიკურად აშუშავს ფორმებს, კონკრეტულ მხატვრული აზრით ტოტოვებს თითოეულ დეტალს და კოლორიტულად წყვეტს კომპოზიციას.

ომის თემაზე, გარდა ზემოთ აღნიშნული ნამუშევრებისა, აქ წარმოდგენილი იყო ა. ვანევის „კოშკები ლაპარაკობენ“, „უკვდავება“, „სევდა ხალხისა“, „დაბრუნდით გამარჯვებით“, „მშვიდობიანი ცა“, ნ. ფოხაძის „გამომშვიდობება“ და სხვა.

ქართული მხატვრები დიდ ყურადღებას უთმობენ შრომის თემატიკას, გამოიყენებენ ექსპონატის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ თემატიკის ამასხველ გრაფიკულ ნამუშევრებს აქვს დაკავებული.

ს. ცინცაძემ შექმნა სერია „ჩემი სოფელი“, რომელშიც ჩაუქსოვია შრომითი კუთხისადმი დიდი სიბოძ და სიყვარული. მის ყოველ კომპოზიციასა და მხატვრულ ვადაწყვეტაში ჩანს ცხოვრებისადმი პოეტური დამოკიდებულება, რეალურის ფართოდ და ღრმად წარმოსახვა, კონკრეტულ გმირთა ან განუთავადებულ შრომელ ადამიანთა ინდივიდუალური თვისებებისა და სასიათების საინტერესოდ ჩვენების უნარი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „მეუზნახები“, სადაც ყურძნის კრეფის მომენტია აღბეჭდილი.

ხელოვნება ემოციურად აღწერს შრომის პროცესს. კომპოზიციის ცენტრში ტრეპეგამული ხეობა შუა ახალგაზრდა კოლმუშენთა ფიგურებია წარმოსახული, რომელია ძლიერი კუთხითანი სხეულები, ნათელი, დახვეწილი სახის ნაკვეთი თავისთავად მათ ვაკავაურ შემართებას, სულიერ სიწმინდეს, პატიოსნებასა და შრომის სიყვარულზე მტკიცედას. მხატვარი ფიგურებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოზასა და ენერგიულ მოძრაობაში წარმოსახავს, თითოეულს საკუთარი სამყარო აქვს, საკუთარი განცდები, ფორმები და სურვილები გააჩნია. სურათის მათ კუთხეში პატარა ბიჭუნა პირდაპირ მიწაზე ჩამოჯდარი, მზიარულად შესტკირის უფროსებს და ცემირიულად შექცევა ყურძნის. მხატვარი მას მომავალი ცხოვრების მშვენივად გვაცნობს, საინტერესოდ არის აღქმული და უბრალოდ წარმოსახული მშობლიური კუთხის კოლორიტი, რომელიც პარმონიულად ერწყმის საერთო კომპოზიციურ ქარგას.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი მისი მრავალფიგურაინი კომპოზიცი „კოლმუშენები“, რომელშიც მოსავლის ჩანაბრის მომენტია ნაჩვენები. ხელოვნად დამატარებელი საზნით და ფორმებით ხატავს ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება პატიოსან შრომას დაუკავშირეს. კოლორიტულად დახვეწილი ფიგურები, მათი რიტმული მოძრაობება, ყავისფერია და თეთრის მკვეთრი დაპირისპირება, სასიათების, მშრომელთა შინაგანი სამყაროს, სასიათის ნიუანსების მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს იძლევა, რაც ხელს უწყობს მხატვრის საკუთარი იდეური ჩანაფიქრის უკეთ გამოვლენაში.

ცხოვრების აღქმის მრავალმანიანობა და მისი ემოციური გამოსახვის უნარი იგრძნობა აგრეთვე მხატვრის სხვა ნამუშევრებშიც, როგორცაა „ახალგაზრდები“, „ზეინის დამლა“, „სამხარი“. იგი ცდლობს, რაც შეიძლება რეალისტურად ასახოს შრომა, გამარჯვადამიანთა ამაღლებული სულიერი სამყარო.

საინტერესოდ არის გააზრებული გ. ქუთათელაძის ლინოგრაფიაში „სუთწლიის ნახევარი“ პურის აღება, თუმცა აქ მხოლოდ ეს რღდა ნაჩვენები. მხატვრის ძირითადი მიზანია კომპოზიციის შუაგულში მხედ აღმართული სამი ქართველი ვაკაცის ფიგურის გამოსახვა ცელით ხელში, მკვრდახანსილები მხარდახმარ რომ დღაან წაწეს პირისპირ და ვერძინო მათ ფიზიკურ, სულიერ სიყვანს, პატიოსნებას, სიყვარულს მშობლიური მიწისადმი. თითქოს სახავედოდ ფოტობიბეტიკის წინაშე დაუწყებიათ ისინი, მათ ფინად კი მიყვებულა უზნარბაზრი პურის ყანა, სადაც მწკრივად მიგუგუნებენ კომბანები.

მხატვარი ოსტატურად, შინაგანი ექსპრესიით აღწერს ყოველივეს, საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩაწვდით ამ ადამიანთა სასიათებს, იგი გვარწმუნებს ცხოვრებისეული სისუსტით, გამოძახავლობით, კოლორიტითა და უბრალოებით. მას უკვარის დახვეწილი კონტურები, ფორმების სიყვაროდ, პლასტიკურობა, ხაზების მკვეთრი რიტმული მოძრაობა, ისინი ერწყმინან, აყვებენ ერთმანეთს და ქმნიან პარმონიულ, ღრმად რეალისტურ სურათს.

მიზმიხველია გ. ვაშაყიძის ლინოგრაფიურა „შემოდგომა“, რომელშიც პოეტურად არის დახაზული და მხატვრულად ხორცმესხული შემოდგომის სურევე და პარტა.

ხელოვნანი არ ცდილა ამ დიდი თემის ფართო უბანი გაშლას. მან ლაკონურად, რამდენიმე უსუსტი მხატვრული შტრიხის ემოციური წარმოსახვით პოეტურად სრულყო კომპოზიცი, კოლორიტულად დახვეწა ფორმები, მკვეთრად გამოქყო და განახლდა მშრომელი ადამიანის სასიათი, გვიჩვენებს მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

ორიგინალურად არის შერსულებული კომპოზიცი „ქალო შენი გულისთვის“. მხატვარი სადი იუმორითა და ჭეშმარიტად პოეტურად აღწერს ახალგაზრდა ქალ-ვაჯის სიყვარულის ახსნის სერეს. ძნელია ღიმილის შეკავება, როდესაც შესტკირი მას.

ფიგურები პლასტიკურია და მოქნილი, საინტერესოდ არის გამოსახული იერსახეები, რომლებზედაც ახალგაზრდული გატაცება, სისუბაჟი და ამაღლებული გაბეჭვები განცდები აღბეჭდილი. თუმცა, ერთგვარ უზნებრობას იწვევს გაბეჭვის ონეჯ მორტიცილი პირი. აწვეუნდა მვეინით აგრეთვე ისიც, რომ სურათის სიღრმეში, ზემოთ გამოსახული მხედრები როგორცაა ეგრადღების მიმდარჩებიან, უკეთესი იქნებოდა ხელოვნან იგი ან საერთოდ მოუხსნა, ანდა სხვა რაიმე უკეთესი მხატვრული დეტალით შეეცვლა.

მსგავსი მაკალითების მოტანა კიდევ შეიძლება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მაგდას იერსახეში (ჩანაფიქრის მხრივ) არაფერია ისეთი, რაც მათურების პრინციპულ წინააღმდეგობას იწვევდეს, ესაა მხოლოდ, რომ ხორც-შესხმა აკლია, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ერთადერთი ვაჟიშვილის — გიორგის ხასიათი რაღაც ანტიპატას იწვევს სენარატის წყალობით. ფილმის ატორმა იგი როგორღაც თავიდანვე გაიმეტა, როცა საკუთარი, კონკრეტული სახე არ მისცა და გაცვეთილი შტამებით დაიწყო მისი პორტრეტის ხატვა.

პირველი ნახები ქალი ვის არ შეყვარებია, სხვა თუ არაფერი, „ვისიანი“ გავისენოთ, მაგრამ ყოველივე ამის ჩვენება ასე მოუშადალად და ფსიქოლოგიურად გაუმართლებლად, როგორც ფილმშია მოცემული, უბრალოდ, არ ვკადრება თანამედროვე კინემატოგრაფს.

რა თქმა უნდა, გარკვეულ პირობითობას, ყველაზე ნაკლებს სთვლიების სხვა დარგებს შორის, მაგრამ მაინც, კინოც გულისხმობს, მაგრამ გაუგებარია — რა პრეტენ-



ზიებს უყუევებს გიორგი მარიას, მე უკვე შემეყვარდი და  
ნთუ შენც არ შეგიყვარდი, ცოტათი მაინც ამ შეგიყვარ-  
დიო. მარია ამ შემთხვევაში ისე იჭერს თავს, როგორც  
ნორმალურ ქალს შეეფერება, მაგრამ როცა აქვე გიორგი  
დაბტკეებს ხელს და დღეამისთან, ე. ი. მაგდასთან მია-  
ყვანს, ეს ჩვენი მორცხვი და თავდაჭერილი მარია, სრუ-  
ლად მოულოდნელად, უტიფრად ეუბნება მაგდას, დიას,  
ჩვენ გეიყვარა ერთმანეთი.

ასეთ საოცარ და მოულოდნელ თვისობრივ ნახტომებს  
ეს გმირები შემდეგაც განიცდიან და, უბრალოდ, აბნევენ  
მაყურებლებს.

... გიორგი დანიშნავს თუ არა მარიას, ომი ატყდება.  
გიორგი ფრონტზე მიდის, მარია კი გურიამი რჩება პატა-  
რა ბავშვებთან ერთად. ცხადია, იგი მაგდასთან ცხოვრობს,  
როგორც ოფიციალური რძალი.

მოულოდნელად გიორგი ერთი ღამით დაბრუნდება  
ფრონტიდან. გაიხარებენ მაგდა და მარია. ვახშობისა შემ-  
დეგ მაგდა ამბობს, წავალ, ლოგინს გაგიშლიო. გიორგი  
და მარია მარტონი რჩებიან. ისმის დიქტორის ხმა, რო-  
მიელიც საინფორმაციო ცნობებს გადმოსცემს იმის შესა-  
ხებლად, თუ დღის განმავლობაში რამდენი ტყვე და საზიანდა,  
ველზე რამდენი დაზოცილი დარჩა. ამის გაგონებაზე მაგ-  
დას ერთმა აზრმა გაუელვა და გვეგვის მისი ხმა:

„ღმერთო ეს რა აზრი ამეკავია. წავა, წავა ჩემი გიორ-  
გი და დაბრუნდება კი? შეერ ის სიზმარი, ის საშინელი სი-  
ზმარი, ღმერთო ნუ მოწინე...“

როგორც ვხედავთ, აქ ირღვევა მაგდას სახის მთლიან-  
ობა ცრუმორწმუნეობის წყალობით (სიზმარი), მაგრამ  
უნდა ვაპატიოთ მას, იგი მაინც დედაა, ქვრივი ქალი, რომ-  
მელსაც ერთადერთი ვაჟიშვილი დარჩა და, შესაძლოა,  
იგი მართლაც წაივლეს და აღარ დაბრუნდეს. მაგდა შეუ-  
ძლია ასეთი რამ გაიფიქროს. ამიტომაც დედას გადას-  
წყვეტს, მარიას გამოუტანოს საკუთარი საქორწინო კაბა  
(თავისთავად ეს ამბავი საოცრად უსიამოვნო შთაბეჭდი-  
ლებას ტოვებს) და იგი დღესვე, ამაღამვე გახდეს მისი  
კახინური რძალი. აქ მაგდა საყვირით მართლაც, მაგრამ  
ტექსტის აქვს ისე უხედიოვანი (წმინდა ლიტურგატურული  
თვალსაზრისით), რომ კარგად თუ არ დაუკვირდი, ვერ  
გაიგებ, კერძოდ რას თბობს იგი ახალგაზრდებს. სხვა შემ-  
თხვევაში სენარისტი წრეგადასული პირდაპირობით ალა-  
პარაკებს თავის გმირებს, აქ კი მშვილ ვასარეკვია, ლი-  
ტურგატურული სტილის დაუსვეფრებლად არის ეს თუ, შესაძ-  
ლოა შესაზრუნნმა ამბავმა რომ სული აუფორიაქა. ამიტომ  
ლაპარაკობს გაუბედურებული დედა ასე მიკიბულ-მოკი-  
ბულად და რაღაც შინაგანი მუხრუჭებით.

აი, მისი ტექსტიც:

„გიორგი, მარია, არ უნდა ვკეთებდე ამას, მაგრამ რა  
ვქნა, შვილო, ერთი შევეცანა... მაპატიე, მარია, გიორგის ბე-  
ჭელს ატარებ და ამიტომ ვავებდე“.

ბუნებრივად, გვიჩნდება სენარისტიანე დავის სურვი-  
ლი. თუკი მარია გიორგის საცოლოდ, მის ბეჭედს ატარებს,  
მის სახელიც ცხოვრობს და ელვდება მის ჩამოსვლას, გი-  
ორგიც ხომ ჩამოვიდა. მართალია, მხოლოდ ერთი დღით,  
მაგრამ მაინც ჩამოვიდა. მაშინ რაღა პატივებს ითხოვს  
მაგდა მარიასაგან და საერთოდ, რა საჭიროა ყოველივე  
ამის ან ჩვენთვის ან საუბარი.

მაგრამ მივყავთ ფილმს.

გიორგი ტყვეს აკადებს და თავს შეუშვებს, დედა, ამას  
როგორ მიხვოო? („დედა!.. რომ აღარ დაბრუნდებ? მაშინ,

მაშინ რა პასუხს აძლევ ამ გაუბედურებულ ქალს...“). მე-  
რე პოლთის სცენას ოთახში და ნანობს, შევეცი, არ უნდა  
ჩამოვსულიყავიო.

საინტერესოა, მაინც რატომ არ უნდა ჩამოსულიყო,  
თუკი ამის საშუალება მიეცა, რატომ ჰგონია, რომ მარიას  
გაუბედურებს მასთან შეუღლება, რატომ ფიქრობს  
მაინცდამაინც სიყვარულზე და იმედს არ უსაესხს საყვარ-  
ელ ქალსა და დედას. მაგრამ ამაზე ფილმის ავტორი  
პასუხს არ იძლევა, გიორგის კი უფრო დამკვიდრებით  
აიქმევენებს, ნი უწყენ, დედა, მაგრამ სხვაგვარად ვერ  
მოგეპყევიო.

მართალია თუ არა აქ გიორგი? ჰოც და არაც, მართა-  
ლია იმიტომ, რომ იგი არსებითად ავთოლოზობილური ადა-  
მინია და არ სურს, თავს ივე სიტყვით რომ ექთკათ,  
„დაღუპოს“ მარია, რომელიც ძალიან უყვარს. მაგრამ  
მაინც არაა მართალი, იმიტომ, რომ თუ მართლა გიყვარს  
ადამიანი, სიყვარულზე მაშინ არააინ ფიქრობს. მსოფლიო  
ლიტერატურა სასევა ისეთი ანაწარმოებით, რომლებშიც  
დამაჯერებლადაა მოთხრობილი, თუ სიყვარული როგორ  
ძლევა სიყვარულს და სანამ ერთი დღს, ერთი საათის სი-  
ცოდნელზე მაინც დაგარჩენია ვატი, ყოველთვის გამოძრავებს  
ის დაუცვლებელი მაგია, რომელსაც იმედი ჰქვია.

ამასთან, გიორგის ასეთი გაჯიკება, სხვა თუ არაფე-  
რი, შეურაცხველია მარიას, რომელიც, სხვათა შორის,  
იქვე დღეს და ისმებს დედა-შვილის ამ უცნაურ პოლომი-  
კას. ბოლოს თავად მიმართავს გიორგის: „იციოდ, ეს უნდა  
მხოლდეს დღეს“.

ასეთი მუქართი შემინებელი გიორგი თანხმდება მ-  
რას კანონიერ მეუღლეობაზე და აი, მაგდა ლოცავს მთ.  
ვიმთრებს, ცალ-ცალკე ყველა მათგანი მართალია, მაგ-  
რამ ადამიანური უწმინდესი გრძობების, ეთიკურული  
შეუღლების უფაქიზესი წარუბის ასეთი ცილმეუღლეული  
და პართიული ჩვენება, როგორც „სემიარინდის ბავშვ-  
შია“, სხვა თუ არაფერი, ვთაკური თვალსაზრისითაც მიუ-  
ღებელია.

და საერთოდ, საჭირო იყო თუ არა თავისი მავტურული  
გადასწავლით ეს მეტად საჩოთირო სცენა, რომელსაც 136  
მეტრი სასარგებლო ფირი წაიღო? რა თქმა უნდა, არა.  
ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება ვაცლიებით მოკლედ,  
დამაჯერებლად და შთამბეჭდავად, ვიდრე ეს ფილმში ვი-  
ხილთ. მაგრამ ფილმის ავტორი უდავოდ გაიტაცა იმ იაფ-  
ფასიანი და, ვიტყვი, არავატყვეური, არამამაკურნი ჰუ-  
მანიზმის ჩვენებაში, რომლითაც მან თავისი გმირი გიორგი  
აღჭურავს და რომელიც მაგურებელად ვერც გაიგო და არც  
მოიწონა. აქ ფილმის ავტორი ადამიანის სულის მოძრაო-  
ბის ისეთ სიღრმეს შეჭვიდა, რისი დამაჯერებელი და  
დამაზრუნებელი ჩვენება ვერ შესძლო.

ცალკე უნდა მივითითოს იმ სცენაზე, რომლითაც ფილ-  
მის ავტორი სურს მაგდას მტკიცე მორალური (სხვა გვი-  
ჩვევოს. აქ მიზნით მაგდა მიდის გოგუცასთან (მასობი-  
ლ. კანაანდე) და პირდაპირ ეუბნება: მრუშობას თავი დაა-  
ნებე, თორემ შენი ქმარი რომ ჩამოვა, არც მე შავა-  
ტების (?) ამას და არც სოფლოსო. რა თქმა უნდა, ამ  
სცენის პირველწარმოც ისევე გრ. ჩუხბრის შემოსინებელი  
ფილმის ერთი ცნობილი ეპიზოდია. თუ გრ. ჩუხბრის  
ფილმის ეს გაიკიცხვა მიღწეულია უაღრესად მუნწი მტრი-  
ხეობის (პატივად) და, რაც მთავარია, უსიტყვოდ, „სემი-  
არინდის ბავშვში“ ამას დასჭირდა მთელი 53 მეტრი სა-  
სარგებლო კინოფირი და პირდაპირი, საოცრად პათეტი-  
კური და ავიტაციური ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ  
უნდა იქცეოდეს ოჯახის ქალი, ყველაფერს რომ თავი და-  
ანებოთ, ეს არ არის წმინდა კრესტული პრობლემა!!!

ფილმის ცალკეული ხასიათები თუ სიტუაციები ბევრ რამში სადავო და საკამათოა. მაგდას ხასიათს შესაძრწე- ვად დაქარავს ცრუმორწმუნეობის ნიშნები, გადაწყვეტის მანერის წყალობით ბევრი სცენა უკუერაქციას იწყვეს, როგორც, მაგალითად, სტალინგრადთან გამარჯვების გა- მოცხადება და ა. შ.

ამდენად, ზოგადი დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სწორედ ცხოვრებისეული სიმაართე და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია ფილმს, თორემ თეორიულად რა სადავოა, რომ კაცს ქალი ერთის ნახვით შეუყვარდეს, და- დიოდეს ქალი სოფლად და სიკეთეს აგრძელებს; რატომ არ შეიძლება, მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომა- რემ გაკვიცხოს თანასოფელელი ქალი იმისათვის, რომ იგი ვალატობს ფრინტზე წასულ ქმარს, ისიც შესაძლებელია, ომედახდელ ვეჯკაცს პირველად როგორღაც მიერდოს საკუთარ ცოლთან შეხვედრა იმის გამო, რომ ერთი ხელი აკლია და ა. შ. და ა. შ.

პრინციული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შესა- ძლებელია, მაგრამ საჭიროა ყოველივე ამის დამაჯერებელი ჩვენება. მაყურებელმა უნდა იწამოს, რასაც ხედავს, გინდ მთელი სცენა იყოს და გინდ გმირის წამიერ- ივი გაულებს, თუ ერთადერთი ფრაზა, ოღონდ უნდა იწამოს, დაიჯეროს; ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს მხატვრული აზროვნების მხატვრების ლეგივას, რამიც, როგორც ფოკუსში, იყრის ხოლმე თავს ფილმის შემქმნე- ლი კოლმქტვის ყველა წვერის ოსტატობა.

გამოცდილმა კინემატოგრაფისტმა ს. დლოიძემ ცხოვ- რებისეული სული ვერ შთაბერა თავის გმირებს, ცხოვრე- ბისეული სისხლი და ხორცი ვერ შეასხა მათ და, ამდენად, ცხადია, ვერც მხატვრულად სრულყო და განაზოგადა.

ყოველივე ამის გამო, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ფილმი აშკარად მოკლებულია მხატვრულ-პროფე- სიულ ღირსებებს. შედარებით კარგ შთაბეჭდილებებს ტო- ვებს ოპერატორი (ფ. ვისოკი), თუმცა ერთ პრინციულ შეცდომას უშვებს: მაგდას (მსახიობი მ. წულუკიძე) პორ- ტრეტებზე მუშაობისას იგი ასეთ, ფილმისათვის სრუ- ლიად მიუღებელ, მანერას მიმართავს, რომ მაგდა ევეკუი- რებულ გაფუფუნებულ კინოვარსკვლავს უფრო ჰგავს, ვიდრე ომისდროინდელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. არ შეიძლება ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოთ მთა- ვარი როლის შემსრულებელი. იგივე გვეთქმის ფილმის ფინალზეც, სადაც მაგდას გლოვა-შეცხადება ნაწვევებით.

ვერ იქნა და ველარ გავექციეთ ამ პროვინციულ წვილი- კვილს, მაგრამ რაღა უბედურებაა—იატაკევი გირიბოა და გრეხვა. თუ კინოფილმ „დიდოსტატის“ ასეთსევე ფინალს გავისხენებთ, პირდაპირ უნდა დაისვას საკითხი — ნუთუ თანამედროვე სარეჟისორო და აქტიორულმა ხელოვნებამ ვერ უნდა მიაღწიოს უფრო ეკონომიურს და ეთიკურს ნინორ- მებს თუნდაც გულდათუთქვლი დღეის მწუხარების გამო- სახატავად? რა თქმა უნდა, შეიძლება და არის კიდევ ამის მაგალითები, ასე რომ, საჭიროა მეტი დაკვირვება და მეტი შემოქმედებითი წვა.

ერთ ცნობილ თქმას თუ ოდნავ გადავიკეთებთ, კინო- რეჟისორი იმ ადგე ფილმში იქ არ ასწო- რებს თავის შეცდომებს, არამედ მომ- დევნონა წარმოებებში. ეს გულწრფელი შე- ნიშვნებიც მხოლოდ ამ მიზნითა და იმდენი გამოითქვა...



სამრბო ანაღლომბლი, როგორც თეატრალური რეჟენწერტი, იბეჭდუ- ბოდა გახუბებში: „პრავდა“, „რხვეს- ტია“, „ვეერანაია მოსკვა“, „პომუ- ნიტი“ და სხვა, ეუნნალბეში: „პრო- ლეტარული მწერლობა“, „საბჭოთა სელოვნება“, „ნა ლიტერატურნომ პოსლები“, „პროლეტარსკე კინო“. იგი იყო ხელოვნების მეცნიერებათა „ისკუსსტოს“ რედაქტორი და ეურ- ნალ „ტეტატრ ი დრამატურგიას“ დეკოლევის წვერი, თეატრალური სექციების პრეზიდუმის წვერი, მუ- შაობდა კომპაგდენიაში, სელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია- ში („კანნი“), იყო ამ უკანასკნელის სწავლული მდივანი; სხვადასხვა დროს მუშაობდა აგრეთვე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორად; იყო საბჭოთა ენციკ- ლოპედის თეატრალური განყოფი- ლების გამგე, სრულიად რუსეთის დრამატურგთა საზოგადოების პასუ- ხისმგებელი მდივანი; მოსკოვის „მცირე თეატრის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ს. ამაღ- ლობელმა დაწერა სამი პიესა. იგი არის ავტორი ხელოვნების სხვადა- სხვა დარგის თეატრზე დაწერილი მე- ცნიერული შრომების; „კინოსა და თეატრის პრობლემები“, „გრუნისნიკ ტეტატრ“, „ტეტატრ სოციალნოგ ობ- ჟექტისში“, „დრამატურგია ველიკიხ ბოეი“ და სხვა.

ალანინიშვავა, რომ ამ და სხვა ნაწარმოებების დაწერა მან მოსწორო ასალაზრდობაში (იგი დაიღუპა 35 წლის ასაკში)

თუ დავუკვირდებით სერგო ამაღ- ლობელის საკაორო გამოსვლებს, გა- დახედავით მის საქმიან მიმოწერას, განკარგულებებს, ყველაფერი მეტყ- ველებს თავდაჭერილობაზე, დიდ ნი- ჭზე, სიკეთეზე, თეატრისადმი უზო- მო სიყვარულზე.



REALE ACCADEMIA D'ITALIA

SERGO AMAGLOBELI

La voie créatrice du théâtre soviétique

EXTRACTO DOLIO AVO  
DE LA BIBLIOTECA DE LA UNIVERSIDAD DE MADRID  
TOMO 10. TEATRO. INDEPENDENCIA  
MADRID 2-11 OCTUBRE 1934. N. 11

R. O. M. A.  
REALE ACCADEMIA D'ITALIA  
1934-XIII

# სერგო ამაღლობელი

## საერთაშორისო

### თეატრალურ კონგრესზე

ჯაბა იოსელიანი

სერგო ამაღლობელს პირადი და-  
მოკიდებულება, შემოქმედებითი საქე-  
მიანობა და თანამშრომლობა აკა-  
შირებდა ისეთ დიდ ადამიანებთან,  
როგორც არიან ფრანგი მწერალი  
რომენ როლანი, მეცნიერი, დრამა-  
ტურგი და საზოგადო მოღვაწე ანა-  
ტოლ ლუნაჩარსკი, დიდი რეჟისორი  
კოტე მარჯანიშვილი, გამორჩენილი ინ-  
გლისელი რეჟისორი და მხატვარი  
ედვარდ გორდონ კრეგი და აკადემი-  
კოსი პეტრე სიმონის ძე კოვანი. საერ-  
თაშორისო კულტურის ეს თვალსაჩინ-  
ო ადამიანები დიდ ანგარიშს უწყე-  
დნენ სერგო ამაღლობელს — რო-  
გორც პიროვნებას, შემოქმედსა და მო-  
ღვაწეს.

ცნობილმა თეატრმცოდნე მ პავლე  
ალექსანდრეს ძე მარკოვმა სერგო  
ამაღლობელზე მრავალთაგან ერთი  
ფრიად საგულისხმო ამბავი გადმო-  
გვცა.

1937 წელს მოსკოვის სამხატვრო  
თეატრი (მარკოვი მაშინ ამ თეატრის  
ლიტერატურული ნაწილის გამგე  
იყო) პარიზს ეწვია საავსტროლოდ.

მათ თეატრში საპატიო სტუმრად  
მოიპატივეს რომენ როლანი. წარმო-  
დგენის დამთავრების შემდეგ იგი  
სცენაზე ავიდა და დიდხანს ელაპა-  
რაკა სამხატვრო თეატრის დასს ამა-  
ღლობელზე. დაწვრილებით გამოი-  
კითხა ამაღლობელის თეატრიდან წა-  
სვლის მიზეზი და როცა მისი დაინ-  
ტერესება დასის მხრივ გაურკვეველო-  
ბას წააწყდა, მკვასხედ გამოსთქვა  
უკმაყოფილება ამ ხალასი და უნი-  
კიერესი კაცის მოცილების გამო. სამ-  
ხატვრო თეატრმა რომენ როლანი  
შემდეგ საღამოსაც მიიწვია და მსა-  
ხიობებმა სპექტაკლის დამთავრები-  
ნას თავიანთ დადგმავს — „ანა კა-  
რენინაზე“ ჩამოუგდეს სიტყვა, იგი  
კი ისევ ამაღლობელს დაუბრუნდა.  
თეატრის ხელმძღვანელობას ისღა  
დარწმუნოდა, რომ „ანა კარენინას“ გა-  
რჩევის ნაცვლად დუმილით ესმინა  
აღუღევეული რომენ როლანისათვის.

1934 წლის 8 ოქტომბერს იტა-  
ლიის მეცნიერებათა აკადემიის თაოს-  
ნობით რომში მოიწვიეს პირველი სა-  
ერთაშორისო თეატრალური კონგრე-

სი. თემა განისაზღვრებოდა მარტო-  
დენ დრამატული თეატრის საკითხ-  
ებით. ამ კონგრესზე მსოფლიოს ყვე-  
ლა თეატრალურმა ცენტრმა მიიღო  
მოწვევა. საბჭოთა თეატრალური დე-  
ლეგაცია ოთხი კაცისგან შედგებოდა  
1934 წლის 5 ოქტომბრის გაზეთი  
„კომსომოლსკაია პრავდა“ წერდა:  
„იტალიის მეცნიერებათა აკადემიის  
მოწვევით კონგრესზე გაემგზავრება  
გამორჩენილი თეატრალური მოღვაწე-  
ების დელეგაცია, რომელშიც შევიდ-  
ნენ რესპუბლიკის სახალხო არტის-  
ტები: ა. ი. ტაიროვი და მცირე თეა-  
ტრის დირექტორი ს. ი. ამაღლობე-  
ლი (დელეგაციის მეთაური). საერთო  
მოხსენებას საბჭოთა თეატრის შემო-  
ქმედებითი გზის შესახებ ჩვენს დ. ი.  
ამაღლობელი გააკეთებს ს. ი.  
ამაღლობელი“.

საერთაშორისო თეატრალური კონ-  
გრესი განსაკუთრებულად საუჩირო  
ვითარებაში გაიხსნა კამიტოლის  
ერთ-ერთ უმწვენიერეს დარბაზში.  
აქ თავი მოიყარეს 19 ქვეყნიდან ჩა-  
მოსულმა დელეგატებმა. გერმანიი-





ქება-დიდებასა და ბრძოლის ველზე გამორჩენილი გმირობის იდეალიზაციას შეიცავდა. ამ ექსპრესიულად წაკითხულმა სიტყვამ დელეგატების ისეთი აღშფოთება და ალიაქიითი გამოიწვია, რომ თავმჯდომარემ შეწყვიტა სხდომა და შესვენება გამოაცხადებინა. შესვენების შემდეგ პრეზიუმმა განაცხადა, რომ მარინეტი კიბაძე შეხედულებებს გადმოგვცემდა და კონგრესის მომწყობნი პასუხს არ აგებენ მომხდარი ინციდენტის გამო.

აღსანიშნავია, რომ „თეატრი და მორალი“ სერგო ამაღლობელისათვის ზედმიწევნით ნაცნობი თემაა. მის კაპიტალურ ნაშრომში — „თეატრი და კინოს პრობლემები“ — ეს საკითხი სხვადასხვა რაკურსშია წარმოდგენილი და ერთი და იგივე გადაწყვეტას პოულობს: თეატრის კრიზისი სასოციალურების მორალის კრიზისია და პირიქით, ასე, რომ კამათში გამოსული ამაღლობელი, ვფიქრობთ, არ დააყოვნებდა ამ აზრის საქვეყნოდ გამოცხადებას<sup>4</sup>.

მასპინძლებმა კონგრესის მონაწილეთათვის შემწეხ სადღესასწაულო გარემოცვა, დელეგატების პატივსაცემად ყოფილდე ეწყობოდა ოფიციალური მიღებები, დარბაზობა რომის გუმბერნატორთან კაპიტოლიის შენობაში, ნახევრად საქმიანი რაუტები, სადაც შეიძლებოდა შეხვედრა და მოთათბირება ნებისმიერი ქვეყნის თეატრის წარმომადგენელთან. სერგო ამაღლობელმა სწორედ აქ დაიკაპულა გორდონ კრეგი საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაზე.

კონგრესის დამთავრების შემდეგ, დელეგატთათვის, დავეგმილი იყო რომის, ვენეციის, ფლორენციისა და ძველი კულტურის სხვა ცენტრების დათვალღირება.

მეხუთე კანკაფილების მიღეგატები დიდი ინტერესით მოელოდნენ საბჭოთა დელეგაციის მოხსენებებს. მათ სურდათ გაეგოთ, რით ახსნიდ-

ნენ საბჭოთა წარმომადგენლები რუსული თეატრის საქვეყნოდ აღიარებულ წარმატებებს. საბჭოთა თეატრალური სამყაროს სახელით პირველი სერგო ამაღლობელი გამოვიდა. მის სიტყვაში „საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი გზა“, რომელიც შემდეგ ცალკე ბროშურად დაიბეჭდა რუსულ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე, საფუძვლიანად არის აღწერილი საბჭოთა თეატრის განვითარების შემოქმედებითი გზა. სერგო ამაღლობელმა ილაპარაკა თეატრალურ პოლიტიკაზე, ახალი რევოლუციური თეატრების შექმნაზე, თეოთმოქმედ თეატრალურ მოძრაობაზე, თეატრთან მაყურებლის კავშირზე; დრამატურების, მსახიობებისა და მხატვრების ახალ თაობაზე, ეროვნულ საკითხებზე.

„საბჭოთა თეატრალური კულტურა — თქვა მან, — არ ამოიწურება რუსული თეატრის მიღწევებით. რევოლუციის წლებში ჩვენ შევეძლით დამონებულ ხალხთა თეატრის ბრწყინვალედ აღორძინება. იმ ხალხებს, რომლებსაც დიდი თეატრალური კულტურა ქონდათ, მაგრამ განვითარების არანორმალურ პირობებში იყვნენ ჩაყენებული ცარიზმის მიერ, რევოლუციის შემდეგ საშუალება მიეცათ კულტურის საუკეთესო მონაპოვართა ტოლფასოვანი თეატრების შექმნას. უკრაინის თეატრი, „ბერეზილი“ ხარკოვში, ფრანკის სახელობის თეატრი კიევიში, რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის ქართული თეატრები თბილისში, სასოხეითის პირველი სახელმწიფო თეატრი ერევანში და ორი სახელმწიფო თეატრი ლენინგრადში — წარმოადგენენ იმ დიდ შემოქმედებით ორგანიზმებს, რომელთაც აქვთ საკუთარი შემოქმედებითი სახე და მაღალი თეატრალური კულტურა“<sup>5</sup>.

ს. ამაღლობელის სიტყვამ სენსაციი გამოიწვია. მოხსენებაში მოყვანი-

ლი თითქმის ყველა საკითხი საყოველთაო დისკუსიის საგანად იქცა. „კომედი ფრანსეზის“ დირექტორი გილო ფაბო გავირგებელი გაიძახოდა: „ნუთუ არსებობს ჩვენს პლანეტაზე ზღაპრული ქვეყანა?“ ბერის არ სჯეროდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოში თეატრალური საქმე თავის ხელში იაღო, რომ მსახიობის სახელმწიფო ჯამაგირი და შეგებულების უფლება აქვს. მათ აკვირვებდათ თეატრების სურათიერმოხვეუბა.

ამაღლობელი ჩვეული უშუალობითა და გატაცებით განაგრძობდა სიტყვას. ლაპარაკობდა საბჭოთა თეოსოცილისტურ დრამატურებაზე; „სოციალური პრაქტიკის პროცესში იცვლება ადამიანი. ადამიანის შეცვლა, მისი განთავისუფლება იმ თვისებებისაგან, რომელიც მან იმეცვიდრობით მიიღო ძველი ქვეყნიდან, მასში ახალი სოციალისტური ადამიანის თვისებების აღზრდა და განკეთაცხება საბჭოთა დრამატურების საყვარელი თემაა. ეს თემა სხვადასხვა სახით, სხვადასხვა დრამატურების შემოქმედებაში თავისებურად არის გამოაწვევტილი. ერთი თაისა პიესის შინაარსად ჩამორჩენილი მუშის აღზრდა-გამოსწორებას ირჩევენ, ნიორენი — გუმინდელი მესაკუთრე გლეხის სოციალიზმში ჩაზმას. სხვები აღწერენ ვითომდა ცივილიზაციის მწვერვალზე მდგარი ინტელიგენტის მერყეობას, შეცდომებს და იმ უხუსურობას, რომლითაც იგი აღიქვამს კაპიტალიზმის უდიდეს თეორიას — მარქსიზმ-ლენინიზმს“<sup>6</sup>.

მოხსენების დამთავრებისას სერგო ამაღლობელს აღფრთოვანებული ოვაცია მოუწყეს გორდონ კრეგმა და სხვა დელეგატებმა. საბჭოთა ქვეყნისადმი ეჭვით გამსჭვალული ისეთ თეატრალურ მოღვაწეებს, როგორც

უწლ რომენი და მარინეტი იყვნენ, გადაედოთ საერთო აფიოტაკი. სერგო ამაღლობელს დიდხანს უკრავდა ტაშს მთელი დარბაზი.

<sup>4</sup> კონგრესზე კამათში გამოსული სერგო ამაღლობელის სიტყვა დაკარგულია.

<sup>5</sup> Sergo Amaglobeli, «La voicé-  
atrice du théâtre soviétique», Roma,  
1935, გვ. 7.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 9.

# ვიესჯეაოტი პრიოჟესიუაო

(პასუხად პროფსორ ბ. გოგიჩაძეს)

ნიკოლოზ ჭიაურელი

ქართული სასიმღერო ხელოვნების საკვანძო საკითხები არსებითად ჯერ კიდევ ხელოვნებელია და თავის მკვლევარს უცდის. ცხადია, ამ ვითარებაში ყოველი ახალი გამოკვლევა, რაოდენ მცირე მასშტაბისა არ უნდა იყოს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამიტომ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩენილიყო პროფ. გ. გოგიჩაძის ჩრომურა. მით უმეტეს, როგორც ავტორმა განმარტა, იგი განკუთვნილი ყოფილა ვოკალისტ-მედაგოგებისათვის და კონსერვატორიის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, როგორც დამზარე სახელმძღვანელო. ეს გარემოება კი, ცხადია, უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს.

სამუშაოთ. გ. გოგიჩაძე მკითხველს ვოკალური ხელოვნებისა თუ ქართული ენის ელემენტარულ საკითხებზე მცდარ ცნობებს აწვდის. გ. გოგიჩაძე პირდაპირ ამბობს, რომ „ქართული ხმოვნები, რომელთაც მომეტებულად ნათელი და ღია ჟღერადობა აქვთ, მოითხოვენ აუკლებელსა და გარკვეულ მოხურვა-შემრევალებას“ (გვ. 59). მისი აზრით, ქართული თანხმოვანი ბგერების „გამოთქმა მოითხოვს პაერის დიდი რაოდენობით ამოსუნთქვას ფონაციის დროს და ამდენად უარყოფითად მოქმედებს მომღერლის სუნთქვის სიმყარის გამორევაზე...“ (გვ. 62) და რომ „ქართული აბრუტაციები... იმის საწინააღმდეგო პოზიციას წარმოადგენს, რასაც მოითხოვს თანამედროვე ვოკალური შემსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი“ და სხვა მისთანანი (გვ. 62, კურსივი ყველგან ჩვენია. ნ. ჯ.).

ქართული ენის ფონეტიკის ვოკალურ ღირსებებზე საკმაოდ რცვლად გვეყონდა აღნიშნული რეცენზიაში. აქ კი ნათქვამს დავუმატებთ თვალსაჩინო საბჭოთა მკვლევარის ი. გ. ნაზარეტის შეხედულებას.

«Частым употреблением гласных Е и Э, как известно отличается итальянский язык. Так, например, в начальной фазе соло Каварадосси в опере «Тоска» Пуччини: ...на протяжении 21 поющего слога гласный Е(Э) произносится 10 раз. Наблюдающееся часто употребление гласных Е и Э в украинском и грузинском языках, как например, в народных песнях «Палэ» (грузинской) и «Солнце низенько» (украинской), не является ли одной из причин их вокальности и большого наличия от природы поставленных голосов среди этих народов? — (იხ. И. К. Назаренко. «Искусство пения», გვ. 316, 317).

ეს ციტატა მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი სახელმძღვანელოდანაა მოყვანილი. ნაზარეტის ეს ფრიად საყურდღებო დაკვირება კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ენა, ენათა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ხელს უწყობენ სასიმღერო ხმის ფორმირებას. უფრო მეტიც, ქართული ენასაც უნდა ვუმაღლოდეთ, ჩვენში ბუნებრივად დაყენებული სასიმღერო ხმები რომ გვხვდება<sup>1</sup>. ცხადია, ამას კიდევ სხვა მიზეზებიც უდევს საფუძვლად, რაზედაც ახლა არ შევიჩრდებით.

ჩვენ არ ვეთანხმებით აგრეთვე გოგიჩაძის რჩევას რაც შეიძლება მეტიც და მყარი სუნთქვის გამოუმუშავების შესახებ.

შენიშნა „საბჭოთა ხელოვნების“ გასული წლის № 2-ში დიმიტრა გიორგი გოგიჩაძის პასუხი ჩემს რეცენზიაზე, რომელიც ამავე ჟურნალის 1970 წლის № 8-ში იყო გამოქვეყნებული. რეცენზია ეხებოდა გ. გოგიჩაძის მეთოდური ხასიათის ბროშურას „ქართული ენის თავისებურებანი და სასიმღერო ხმის დაყენების საკითხები“. სათაური თავისთავად ლაპარაკობს დასმული საკითხის მასშტაბებსა და აქტუალობაზე.

<sup>1</sup> ყოველივე ამის შემდეგ რამდენად მისაღებია გოგიჩაძის ცალმხრივი მსჯელობა სამეტყველო ხმოვნების შესახებ, რითაც იგი უკუღებულვებს მათ მნიშვნელობას სასიმღერო ბგერათმარობაში (იხ. ჟურნალი № 2, გვ. 57, მეოთხე აბზაცი). უკულოა, რომ ვოკალური ხმოვნების საძირკველს სამეტყველო ხმოვნები წარმოადგენს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, უკუღებო ველარ ბუცვლად თავის ცნობაში შეგონება: „როგორცია ამა თუ იმ ერის ენა, ისეთივეა მათი სიმღერა“.



აი, რას წერენ ამ საკითხზე უძველესი და თანამედროვე ვოკალური ხელოვნების ისტატიკები: თანამედროვე თვალსაჩინო მომღერალი და პედაგოგი ს. ი. მიკაი ამბობდა: „საკურონი გამოვლიდებით ვიცო, რომ ზომამე მტკედ მოჭარბებული სუნთქვა ყველაზე დიდ ზიანს აყენებს მომღერალს“ (იხ. ვოკალური პედაგოგიის საკითხები). მეოთხე-დამოკმა, გვ. 173). ძველი ისტატიკებიდან ფრიად სასურველია დღისათვის სამწესარბი უკვე მივიწყებული, მაგრამ თავის დროზე საქვეყნოდ სახელმწიფოებრივ პედაგოგის ნიძარას სიტყვები: „ნინი სიძლიერე მოიპოვება დროთა ვითარებაში ვარჯიშით, მაგრამ ერთხელ დაკარგული სიფაქიზე ხმისა (delicatezza) სამუდამოდ იკარგება“. ამ გარემოებას, ვიწორებთ, მარტო გოგინამძე კი არა, ყველა, ვისაც კი შეეხება, სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს.

ჩვენ რეცენზიამ აღენიშნადით, რომ „წიგნის მკითხველს შეეძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ „შემრეველებისა“, „მომრეველებისა“ და „...-სა და „...-ს ნაზავ ხმოვანად გარდაქმნის, „თერია“ გვიგინამძის აღმორჩნა იყოს. ყველაფერი ეს მოთიანად და საქებით, ლევიდოვის ნიშმიდან არის აღებული, მაგრამ მცდარადაა გაგებული. (იხ. ჟურნალის 25-ე გვ.).

გ. გოგინამძე გვსაყვედურობს: „ხმოვის შემრევალება, როგორც მეოთხური ხერხი, არსებობს პროფესიული ვოკალური ხელოვნების ჩასახვის დღიდან. ეტყობა, ნ. ჭიაურელი არ იცნობს იტალიელ კლასიკოსთა შრომებს და მათ შორის მანუელ გარსიას (1805-1906) ყველაზე მნიშვნელოვანსა და პოპულარულ ტრაქტატს „სიმღერის სკოლა“ (იხ. ჟურნალის 58-ე გვ.).

გასახებობს: ჯერ ერთი, მანუელ გარსიამ თავის შრომის უწოდა არა „სიმღერის სკოლა“, არამედ „სასიმღერო ხელოვნების სრული ტრაქტატი“ („Praite complet de l'art chant“). მეორე — კარგადაა ცნობილი, რომ პროფესიული სასიმღერო ხელოვნება ჩაისახა XVIII-XIX საუკუნეების თანართული შრომების შექმნად. მესამე — თუ ჩვენს ავტორს აქ მსედელიობაში აქვს ხმოვნების შემრევალება-მომრევის ს ტექნიკური ხერხი, რომლის წყალობით შესაძლებელი ხდება სასიმღერო რეკონსტრუქციის შეერთება და სასიმღერო დაბაზონის გაფართოება, კაცობრიობა სასიმღერო ინსტრუმენტის ამ საიდუმლოებას ზოგაობით ხალხური სასიმღერო ტრადიციების სახით გაცილებთ უფრო ადვილ იცნობდა, ვიდრე ამახ დასავსებელ ევროპულმა პროფესიულმა ვოკალურმა ხელოვნებამ მიაღწია. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, ქართული ხალხური სასიმღერო ტრადიციებიც განსაკუთრებით ყურადღების ღირსია. რადგან თითო ასტრალურ სიმღერებშიც კი ესადად ჩანს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები იმთავითვე შესანიშნავად იმობდნენ ამ ტექნიკურ ხერხს. მაგრამ დაეუწყათ, რომ გოგინამძე აქ „შემრევალება“, „მომრევალების“ სახით, სასიმღერო ხმის, მუკის და ნათელი ელფერის ქვერას, როგორც ამას თუ ჩანცდა-განწყობილობის მხატვრული გოგინამძის აუცილებელი საშუალებას, დაეუფლა მაშინ, როდესაც მან პირველი სასიმღერო ხმა გამოიღო. და ბოლოს მეოთხე — გოგინამძის ბრძოლის 28 გვერდის პირველ ამზაცემს ვკითხულობთ: „ტრემინი“, „ფორმანტა“ უნდა გაკვიროთ არა მარტო როგორც განსმარტვრელი ტონის დასახლებები, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხმოვნისათვის (ძირითადი დამახასიათებელი ტონი), არამედ როგორც რეზონანსის ნიშნები. ე. წ. „დამახასიათებელი სფეროებისა“, რომლებშიც აღმოჩნდება სიმალის მიხედვით ერთნაირიანთა ახლო მყოფი ხმოვნების აკუსტიკურ თვისებათა განსმარტვრელი ობერტონები“.

ასლა კი, ნამდვილად რომ გავერკვეთ ფორმანტის რაობაში და მოვიანოთ ციტატის სადღერობაში, ყური დავუვლოთ ლევიდოვს. ეს განმარტება მისი შრომის 49 გვ. სქოლიოშია (1) მოცემული.

«Трени форманта быстро привился в науке, но теперь он применяется не только как название определенного тона, характерного для данной гласной (основной характеристический тон), а как обозначение так называемых «характеристических областей» резонанса, в которых усматривается ряд близких друг к другу по высоте гармоник (обертонов, призвуков), определяющих акустические свойства той или иной гласной».

საქმე იმაშია, რომ ფორმანტის გოგინამძისული აზმარტება“ (უფრო სწორად კი თარგმანი) სასარჩილო მდომარეობაში არ აყენებს ჩვენს ავტორს, რადგან ეს ამზაცი ან ბრტყალებში მოქცეული და არც სათანადოდ დასაძმე აღნიშნული ამ ფორმანტების ნამდვილი თვისებებისა.

თავის გამოკვლევის 42 გვერდის უკანასკნელი ამზაციდან ვგებულობთ, რომ თურმე „რუსული ენისაგან განსხვავებით, ქართული მხავილი ძირითადად დინამიკისა და ადგილის მიხედვით ყოველთვის არის მეორე მარცვალზე (ორმარცვლიან სიტყვაში) და მესამე მარცვალზე (მრავალმარცვლოვანი სიტყვის) ბოლოდან: სწავლა, მა სწავლა, მასწავლებელი, სამასწავლებელი და ასე შემდეგ.“ ავტორი ამ ერთ ფრაზაში ორ ელემენტარულ, ნაშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით კი მტკედ მნიშვნელობა საკითხებში, მიუტკვეველ შეცდომებს უშვებს. ჯერ ერთი, ენათმეცნიერებაში დიდი ხანია დადგინებულია, რომ რუსულ ენასთან შედარებით ქართული, დინამიკური სიტყვათმხავილი მარტო მხავლები სიძლიერით კი არ არის გაბიძახებული, არამედ მაშინ თითქმის თანაბარი ძალით იჩენს თავს ენოლოგიური სიტყვათმხავილიც. ამაზე იმიტომ გამახვილებთ ყურადღებას, რომ ეს ის ძირეული საკითხია, რომელიც ანაპირობების სასიმღერო გეგარტანობების თითქმის ყველა ფაქტორს. და ამდენად იგი ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ქართული მომღერლის აღზრდის საქმეში.

მეორე. ქართულ ენათმეცნიერებაში ასევე დადგენილია მინწველი მართლად და თანამხავილის არსებობა და მათი ადგილმდებარეობის საკითხი. დღეს ყველასათვის საგულდებლუბა მიღებული სიტყვათმხავილის კანონი, რომლის მიხედვით ქართული ოლტრატრტურული მტყველებისას მხავილოვან უნდა წარმოითქვას ყოველი (ხოლო და სამ მარცვლოვანი) სიტყვის პირველი ხმოვანი, (თორე მრავალმარცვლოვან სიტყვებში პირველი და ბოლოდან მესამე ხმოვანი. ამიტომ უნდა ითქვას (და ვიმღეროთ კიდევ) მა სწავლებელი და არა მასწავლებელი).

გ. გოგინამძე წერს: „ნ. ჭიაურელი თავის წერილში არ ეთანხმება თვით კ. ს. სტანისლავსკისა. მოგვყავს წიგნის მე-14 გვერდის მოთავსებული ჩემს მიერ გამოფრული კ. ს. სტანისლავსკის აზრი: „ხმოვანთა ნაირ-ნაირ ელფერით ხედვად კ. ს. სტანისლავსკი ვოკალური „გამოსვლების საიდუმლოებას“. თუ თანხმობა ბგერა, „ჩარჩო“ ან „ჩონჩხი“, მარცვლის მუხუნა მოცემულია ხმოვანში, — ამბობდა კ. ს. სტანისლავსკი: «Произносит какое-либо слово — წერს იგი, — положим «море». Смотря по тому, какое море, в этом «О» будет либо затишь, либо шум».



ამრიგად, სტანისლაესკისათვის მომღერლებთან მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანსა და პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა სიტყვის საშუალებით ხახისნი აზრის მსმენელებთან დაყვანა. თურმე ნუ იტყვით, ეს აზრიც მცდარია. რა გაეწყობა. მარტო მე კი არა, კ. ს. სტანისლაესკისაც ანგოვად მოხვდა ნ. ჭიაურელისაგან. (გვ. 55).

ზომ არ სჯობდა, პატ. გ. გოგიჩაძეს კონსერვულად მიეუთიყინა ის გვერდი, რომელზედაც ჩვენგან ვითომც, მაგრად მოხვდა სტანისლაესკისა.

ასევე ასხვადგურებს გ. გოგიჩაძე ჩვენს ნაოქვანს: 1. სასიმღერო ხმაში და სიტყვის ფორმირების საკითხს. 2. სასიმღერო ხმაში შემუქიბული და ნათვლით ხელთვნების თვალსაზრისით, ყოვლად მიუღებელი შესვლადგება ქართულ ენაზე. გ. გოგიჩაძე თურმე აღუშფოთებია იმს, რომ რეკლამაში გამოთქმული ერთ-ერთი დებულებით ვუპირისპირდებოდით „1954 წელს ლენინგრადში ჩატარებულ საკავშირო პედაგოგ-ვოკალისტთა კონფერენციას“. „...ჩვენ რაღა გვეთქმის — აზნობს გ. გოგიჩაძე — როცა ნ. ჭიაურელი არ ეთანხმება საკავშირო კონფერენციის მიერ გამოთქმულ შემდეგ დებულებას: „თანამედროვე პროფესიული ვოკალური შემსრულებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ხახისა და ზორხის მაქსიმალურად თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა და რბილი სახის მაღალი, აწვეული მდგომარეობა ფონაციის დროს“. ნ. ჭიაურელის აზრით, ეს დებულებაც მცდარია. თურმე ნუ იტყვით, „ხახისა და ზორხის მაქსიმალურად თავისუფალი მდგომარეობა აუცილებელი იქნება ხმაში ტრემოლაციას, რეგისტრების უკიდურეს ჭრულ ხმოვანებას და სხვა მეტად მნიშვნელოვან დებულებებს სიმღერაში აქ კი, როგორც იტყვიან, კომენტარები შეუძლებელია“ (იხ. ვურს. 59-ე გვ.). იოიონიძე დასძინა ავტორი.

მაგრამ რა არ მოსწონს აქ გოგიჩაძეს? რაკომ არ იზარებს იგი ყველასათვის არგად ცნობილ და დღეისათვის საქვეყნოდ მიღებულ იმ შეზღუდვებებს, რომ ხახისა და ზორხის მაქსიმალურად მიღებული მდგომარეობა მრავალჯერად დეფექტს იწვევს სიმღერაში? შემდეგ კი აღნიშნავს: „არა მგონია მთელ მსოფლიოში მოძებნოს ისეთი პედაგოგი-ვოკალისტი, რომელმაც თავის მოსწავფეს ურთის ხახისა და ზორხის დაძაბვა-დაჭიმვა“ (იხ. იქვე). სრული ჭეშმარიტებაა! ამაში არაფერ არ შეედეგება გ. გოგიჩაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენს სარეკლამო წერილში, არც ამ დებულების უარყოფიან და არც იმის გაზრთვინის შესახებ კრიტიკე არ არის დაძრული. ვაშ რაში დასჭირდა გ. გოგიჩაძეს ჩვენი ნათქვამის ასე დახანინება? ცხადია იმისათვის, რომ თავი აერიდებინა დახმული საკითხებისაგან და მკითხველის თვალში გავეშავეთ, მაგრამ მოხდა პირიქით, აი რას წერს იგი: „ნ.

ჭიაურელს რაკომაც გამოჩნა ჩვენი წიგნის 54-ე გვერდზე მოყვანილი ლვეიდილის შემდეგი აზრი, რომელსაც ჩვენს სავერდით ვეთანხმებით: „როცა ლაპარაკია სასიმღერო ხმოვნების სწორ და კარგ ვერაულობაზე, უნდა ვიფიქროსებით საარტიკულაციო აპარატის აქტივობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც, ერთი მხრივ, წინ აღუდგება მის მოდუნებას, ხოლო მეორეს მხრივ არ გადავა დაჭიმვა-დაძაბულობას, რაც იწვევს ხმოვანთა დაძაბინებას და, ამდენად, უარყოფით გავლენას ახდენს სიმღერის პრაქტიკაზე“. კმარა! აკი, ხახისა და ზორხის მაქსიმალურად თავისუფალი მდგომარეობა“ მოსწონდა ჩვენს ავტორს?!


გოგიჩაძემ აქ ამ ლვეიდილის ამ დებულებაზე უნდა აიღოს ხელი, ან, „ხახისა და ზორხის მაქსიმალურად თავისუფალ მდგომარეობაზე“. მკითხველმა კი ადრეველა საკითხზე მართებული წარმოდგენა რომ იქონიოს, აღენიშნავთ, რომ ლვეიდილის დებულება უკილოდ უტყვარია და ამიტომ დღეისათვის ყველასაგან მიუღებელი. გოგიჩაძემ კი აღნიშნავს რომა უფრო დაკვირვებით რომ წაიკითხოს, იქ ხახისა და ზორხის მაქსიმალურად თავისუფალი მდგომარეობით გამოწვეული დეფექტების დაძაბსატურებელ სიტყვებასაც ითვით.

ახლა კი დასმული საკითხის მეორე მხარის შესახებ, სადაც სრულად ჩანს გოგიჩაძის პედაგოგიური მეთოდის პრინციპების „შეურყველობა“. ავტორის მტკიცებით, ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებანი არ პასუხობენ იმ პირობებს, რომლებიც ვითომდა საფუძვლად უდევს თანამედროვე ვოკალურ საშენარულებლო ხელთვნებას და რომ ქართული ენის ზოგიერთი ბგერა (აბრუპტივები — პ-ტ-ჭ-კ) განსაკუთრებით კი „ფარინგალური აბრუპტივი „ყ“... იმის საწინააღმდეგო პოზიციას წარმოადგენს, რასაც მოითხოვს თანამედროვე ვოკალური შემსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (გვ. 52). ზემოთ აღნიშნულის გარდა, უპირატესად ამა და აქედან გამოძინარე ქართული მეტყველებისა და სიმღერის ცალკეული მხარეების არასწორ ასპექტში გაშუქებამ გამოიწვია კამათი. გ. გოგიჩაძე თავის პასუხშიც იცავს ადრე ნათქვამს, თუმცა, ერთხელ კიდევ მოუხსინით მას:

„ბოლოს ნ. ჭიაურელი გვეკითხება: „რა ვუყოთ ქართულ აბრუპტივებს (პ-ტ-ჭ-კ) და განსაკუთრებით კი „ყ“-ს... აზრულად არაფერი, გარდა იმისა, რომ გამოვთქვათ ისინი სიმღერაში მოკლედ და მკაფიოდ, არ შეგვრდეთ და არ გავახანგრძლივოთ თანხმობისა ვერაულობა, რათა სიმღერის პრინციპი მთლიანად მიყარებოდეს ხმოვნებს“. (იხ. ვურსლის გვ. 56, კურსივი ჩვენი ნ. ჭ.) გვესმით? „სრულად არაფერიო!“ აკი „ქართული აბრუპტივები იმის საწინააღმდეგო პოზიციას წარმოადგენს, რასაც მოითხოვს თანამედროვე ვოკალური შემსრულებლობის ძირითადი პრინციპები“ — მათილს ღმერთს! ძლიერ არ გაკვირებ მარათალი სიტყვა! უდავოდ მოსაწონია და სავერდით მისაღებელი ჩვენი ავტორის იმ დასკვნა, მხოლოდ იმ პირობით, თუ გ. გოგიჩაძე ასევე მართებულად თავს დაანერებს და არ დაძაბინებას ქართული მეტყველების დაძაბინებ ბგერებს.



ე. მუშაიაშვილი.  
განგაში.



ჯ. თუშურაშვილი.  
მეხრე.



# ნინო ბერილავილი

ჯულიეტა რუხაძე

ამ წმინდის დაწერა ერთი ფაქტის გახსენებამ განაპირობებინა.

1971 წელს „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნდა ნინო ბრალიაშვილის წერილი „ლურჯი სუფრა“, რომელმაც მართებულად დაიმსახურა როგორც ეთნოგრაფთა, ასევე ფართო საზოგადოების მაღალი შეფასება. ამგვარი ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა პირველი არ არის ავტორისთვის. ცნობილია მისი ილუსტრირებული ალბომები: „დაჩითული ქსოვილები“, „ლურჯი სუფრები“ (თბილისი, 1964 წ., ტექსტის ავტორი და მხატვარი ნინო ბრალიაშვილი) და, უპირველეს

ყოფლისა, საყურადღებო ნაშრომი „ქოლის ჩაცმულობა მთის რაჭაში“ (მხალბეი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, 1959 წ. ტექსტი და ილუსტრაციები ნ. ბრალიაშვილისა).

ნ. ბრალიაშვილმა, როგორც მკვლევარმა და მხატვარმა, გარკვეული ხარკი მოიხსნა ქართული ეთნოგრაფიის წინაშე, მაგრამ იგი უპირველესად მხატვარია.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნინო პეტრეს ასულმა ბრალიაშვილია-ბრალიაშვილმა თვალსაჩინო ფურცელი ჩაწერა ქართული ხელოვნების გან-

ვითარების ისტორიაში. მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაიწყო ხელოვნების შესწავლა და მოკლე დროში მრავალმხრივი შემოქმედებითი პალიტრით მოგვევლინა. იგი ცნობილია, როგორც მხატვარი გრაფიკოსი, საბავშვო წიგნების ილუსტრატორი, ხესა და ლინოლეუმზე გრავიურების ავტორი, სამეცნიერო ნაბეჭდი პუბლიკაციების გამფორმებელი და გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ახალი დარგის — მხატვრული სათამაშოს ჟანრის დამფუძნებელი საქართველოში.

მხატვრის წინაპრები უკრაინის მკვიდრი ყოფილან. ნინოს პაპა ვლადიმერ ბრაილოვსკი საქართველოში ემიგრირებული იყო, ხოლო ბებია გვარად მახათაძე. ნინოს მამა — პეტრე ბრაილოვსკი, პროფესიით სამთო ინჟინერი, საქართველოსა და ბაქოში მოღვაწეობდა, დედა, — ცნობილი პიანისტი თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი თბილისის კონსერვატორიაში მუშაობდა კონცერტმარტერად.

პეტრე ბრაილოვსკიმ, მთელი თავისი შემოქმედებით ცხოვრება ქართველ ხალხს დაუკავშირა.

ი. გოგებაშვილი პეტრესადმი მიძღვნილ ნეკროლოგში აღნიშნავდა, რომ „პეტრე ბრაილოვსკი შესანიშნავი ქართველი უკრაინელი, დიდებული ადამიანი და დიდებული მოქალაქე იყო“.<sup>1</sup>

ქართული კულტურისადმი ბრაილოვსკების ოჯახის დიდ სიყვარულზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: პეტრეს მშობლებმა გადაწყვიტეს, თავიანი ქალიშვილი ისეთ პანსიონში შეეყვანათ, სადაც ქართული ასწავლიდნენ. აი, რას წერს ამის შესახებ ი. გოგებაშვილი:

„...როცა სამოციან წლებში ვერაინიდან თბილისში მომავალმა გორში ვინახულუ ოჯახი ვლადიმერ ბრაილოვსკისა, რომელთანაც დაახლოებული ნაცნობობა მქონდა, მან

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, „შესანიშნავი ქართველი უკრაინელი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, 1910, № 5, გვ. № 1-2.



მისობა: მე ცოტა ხანში ჩემს მაგ-  
დანას თბილისში გამოვატან ჩემს  
რვა წლის ქალსა და ვთხოვ იმისთა-  
ნა სასწავლებელში მიიბარე, სადაც  
კარგად ასწავლიან ქართულსაცაო.

მამინ დიდი სახელი ჰქონდა დამ-  
სახურებელი მაძამ ფაგვის ქალთა  
პანსიონში და ბრალიოვსკის ცოლ-  
მაც მაქდანმა იქ მიიწოდნო თავისი  
ქალის მიბარება. როცა ვინახულე  
მაძამ ფაგრი, ვკითხე: თქვენს პან-  
სიონში ასწავლით ქართულს წიგნსა  
თუ არა მეთქი? მან მიპასუხა: არა,  
ჩემს პანსიონში ჯერ ქართული ენა  
არ შემოვიღია, რადგან ვე სურვი-  
ლი ქართველ მშობლებს არ გა-  
მოუხსნადებიათო. — თუ არ გამოუც-  
ხადებიათ, ეგ თქვენი ხათრით მოსყ-  
ლიათ მეთქი, თორემ გულსაკლული  
კი ყველანი უნდა იყვნენ, იმის გა-  
მო, რომ დვიძღს ენას მათს შევი-  
ლებს არ ასწავლით თქო. აი ამ პა-  
ტარა ქალის მამაც, ჩამომავლობით  
რუსი, მონატრულია, რომ მისმა  
შვილმა დედით ქართველმა, ქართუ-  
ლი იწვიე კარგად ისწავლოს. — მამ  
თუ აგრეა, შემოვიღებ ქართულის  
ენის გაკვეთილებსო“.

ქართული ენის „კათედრა“ მალე  
ჩამოყალიბდა, სადაც იაკობ გოგე-  
ბაშვილის მიერ მასწავლებლებად  
რეკომენდირებული იყვნენ ალექსან-  
დრე ცაგარელი, ნიკო ინაშვილი,  
ალექსი დედაბერიშვილი და სხვა.  
საგამოცდო კომისიას თვით იაკობ  
გოგებაშვილი ხელმძღვანელობდა. აი,  
ასეთ გარემოში უხდებოდა ცხოვრე-  
ბა ნინოს. ამან თავისი გავლენა  
იქონია ნინო ბრალიაშვილის მხატ-  
ვრული შემოქმედების ჩამოყალიბე-  
ბაზე.

მხატვრის შემოქმედებაში იგრძ-  
ნობა, რომ მას თავიდანვე შეუსისხ-  
ლხორციება ძველი ქართული ხე-  
ლოვნების ტრადიციები, ჩაწვდომია  
ხალხურ შემოქმედებას, საიდანაც  
პირველად იმ მდიდარ მასალას, რომ-  
ელიც საფუძვლად დაედო მის შემ-  
დგომ მუშაობას. ნ. ბრალიაშვილის  
ხელოვნება ხალხურ საწყისებზეა  
აგებული და მასავით სადაა. ყოველ  
მის ნახატში, სვანური კომპი იქნება  
ეს თუ სვანური სახლი თავისი ულა-

მახესი დგამ-ავეჯით, მამაპაპური  
ქართული დარბაზი, რაჭველისა თუ  
ხევსურის მიერ მოხდენილად ნაქარ-  
გი ტანსაცმელი, მგრეული თუ  
იმერული ჩოხა-ახალუხითა და ფა-  
ნავაკით, ქულაჯიანი გურული თუ  
ქართლ-კახელი მანდილოსანი, დღე-  
სასწაულზე მიმავალი მოჩარდახული  
ურმების ქარავანი, — ყველგან იგრ-  
ძნობა ხალხურობა, ტრადიციის გა-  
აზრება-ვაშოყენება.

ნ. ბრალიაშვილის ნახატები ორ  
ასპექტშია გადაწყვეტილი — ყფით-  
სა და სიმბოლურში. მაღალოსტა-  
ტურადაა შესრულებული ყფითი  
სცენები... მისი პერსონაჟები, არა  
მარტ არსებობენ ნახატზე, არა-  
მედ გარკვეულ აზრსაც გამოხატავენ.  
ნ. ბრალიაშვილი არსებითად განსხ-  
ვავდება იმათგან, ვინც ნატურლის-  
ტიურად ხატავს; მას ჩვენს ცნობიერე-  
ბაში შემოჰყავს განუმეორებელი კო-  
ლორიტით აღბეჭდილი ცხოვრებისე-  
ული სურათები, სადაც რეალისტური  
ხედვა ორგანულად ერწყმის ეთნოგ-  
რაფიულ სტილიზაციას.

ნინო ბრალიაშვილის ნიჭზე კე-  
თილი გავლენა მოახდინა ქართველ  
ეთნოგრაფებთან მჭიდრო ურთიერ-  
ობამ. იგი ბევრს მოგვაუბნებს სა-  
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში,  
ერთნაირად აინტერესებს სვანეთი,  
ხევსურეთი, მთა-თუშეთი, რაჭა-ლეჩ-  
ხუმი, გურია, სამეგრელო, იმერეთი,  
რაც თემატურად ამდიდრებს და ამ-  
რავალფეროვნებს მის შემოქმედე-  
ბას. როდესაც მის ნამუშევრებს  
უყურებთ, გრძნობთ, რომ იგი სინამ-  
დვილეთთან კავშირს და მასთან აქ-  
ტიურ დამოკიდებულებას აუცილე-  
ბელ მივალვობად თვლის, გამოსა-  
ხულების სიზუსტეს მხატვარი ოსტა-  
ტურად ახამებს მხატვრობის  
მოთხოვნილებებთან. სწორედ მხატ-  
ვრული ეტყვის ეს შინაგანი უტყუ-  
არობა დღემდე უნარჩუნებს მას  
შეუწელებელი შემოქმედების ძალას;  
ამიტომბა, რომ ნინოს ნახატები ახ-  
ლაც ეხმიანება ჩვენს განწყობილე-  
ბასა და გემოვნებას. რა თქმა უნდა,  
ხალხური ტრადიციების გაიდრელება  
არ არის სახარბიელო, რადგან იგი  
რამდენადმე ზღუდავს შემოქმედე-

ბით გაქანებას, მაგრამ უფრო სახი-  
ფათოა ტრადიციების უგულვებლყოფ-  
ვა, რასაც ხშირად ვხედავთ ახალ-  
გაზრდების მხატვრულ ნამუშევრებ-  
ში.

ნ. ბრალიაშვილის მიერვე შექმნი-  
ლი ნახატები, დეკორატიული და  
გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშე-  
ბი სინტერესო კამათის საფუძველს  
იძლევა, რაც მისი შემოქმედების  
მთავარი ღირსებაა.

მხატვრის ადრეული ნამუშევრები  
ისევე საყურადღებოა, როგორც შემ-  
დგეი დროისა. ფანქრით შესრულებუ-  
ლი ნიკო ტარსაიძის, არჩილ ელიაშვი-  
ლის, ელო დადიანის და სხვათა პო-  
რტრეტებში თავს იჩენს ხატვის თა-  
ვისებური მანერა და დახვეწილი გე-  
მოვნება. ნახატის ყოველი შტრიხი  
დიდი გულმოდგინებითაა დამუშავე-  
ბული, იგი გვხიზლავს მტკიცე ხაზე-  
ბით გადმოცემული სახის გამოხეტყ-  
ვლებით, ხასიათის, განწყობილე-  
ბის გადმოცემის დიდი უნარითა და  
გასაოცარი პორტრეტული მსგავსე-  
ბით.

ხის თოვინა რაჭველი ქალი.





საქართველოს  
წიგანების  
კავშირები

ასევე მიმზიდველია ფანქრითა და აკვარელით შესრულებული კარიკატურები, რომელთა ნაწილი ქართველი ეთნოგრაფებისადმი მიძღვნილი. კარიკატურები გვიზიდავენ ლირიკულობით, გულწრფელობითა და მკვეთრად გამოსატული მხატვრული მონასხით.

ყურადღება იქცევენ ნინო ბრაილაშვილის გრაფიკები, რომლის რთულ ტექნიკას იგი პროფესორ პავლოვის ხელმძღვანელობით დაეუფლა.

ძველი თბილისის თემაზე შექმნილ გრაფიკებში, „ნარიყალა“, „თბილისური სახლები“ და სხვ. მაღალი პროფესიონალიზმითა და მხატვრული გემოვნებით არის ნაწივნიები ყოფის გამომსახველი მომენტები, ეს ნამუშევრები ყურადღებას იპყრობენ თავისებური ეროვნული კოლორიტით.

საყურადღებოა გრაფიკათა სერია: „სვანეთი“ (1945 წ.), „ქართლის დარბაზი“ (1948 წ.), „ჭიათურელი მემლარიონი“ (1949 წ.) და სხვა, სადაც მხატვარი ოსტატურად ასახავს რეალურ სინამდვილეს და ავლენს ადამიანთა შინაგან ბუნებას, ხასიათს. ამ ნამუშევრებში

გრაფიკის ფარგლებში დასაშვებია ერთგვარი ფერწერული გამომსახველობაც ჩანს.

ნინო ბრაილაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, განსაკუთრებით, მხატვრულ სათამაშოს, რომელზედაც გატაცებით მუშაობს წლების განმავლობაში. შემთხვევითი არ არის, რომ მის ნამუშევრებს ექსპოზიციის დიდი ნაწილი უჭირავთ თბილისის სათამაშოების მუზეუმში.

საოცრად თავისებური, მრავალფეროვანი და მომხიბვლელია ნინო ბრაილაშვილის მიერ გაკეთებული თოჯინები, რომელთა მასალად გამოყენებულია: ხე, ღრუბელი, ქაღალდი, კორპი, გოგრა, აბრეშუმის პარკი, წაბლი და რბილი ქსოვილი. მხატვარმა კლასიკური, ტრადიციული თოჯინების კეთების სფეროში გარკვეული კორექტივები შეიტანა და ახალი გამომსახველი საშუალებანი დაწვინა. ნ. ბრაილაშვილი ახლებურად წარმოვიდგინეს თოჯინების მხატვრულ სახეებს, რომელშიც დაკულია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი.

ნ. ბრაილაშვილის სათამაშო თო-

ჯინები არაერთხელ იყო ექსპოზირებული რესპუბლიკურსა და საკავშირო გამოფენებზე. იგზავნიებოდა კინეკურსებზე საზღვარგარეთ<sup>2</sup>, სადაც მრავალი პრემია დაიმსახურა.

გადაუქარბებლად შეიტანა ითქვას, რომ ქართველ მხატვართან თითქმის არავის მიუძღვინა ბავშვებისათვის ისეთი ძვირფასი შემოქმედებითი საჩუქარი, როგორც ნ. ბრაილაშვილს. ბავშვთა სამყაროს ცოდნამ და მათი ინტერესების გათვალისწინებამ შეაქნევინა ნინოს სხვადასხვა ტიპის მიმზიდველი თოჯინა. მისი „მანანა“, „კეკა“, „მკველიკა და გელა“, „კვასურა“, „ჩეხურა“, „გურული“ და სხვა მთელი მხატვრული სამყაროა; უყურებთ მათ და ხედავთ იმ გარემოს, რომელშიც ეს პერსონაჟები მოქმედებენ. თოჯინებში ყურადღებას იქცევს გამომსახველობა და ტიპიურობა, კოსტიუმი, აღნაგობა და ფესტი, რომლითაც ისინი ქართული თოჯინების შესანიშნავ ნიმუშებად წარმოვიდგებინა.

ძნელია შეჩერდეთ ყველა სათამაშოზე, რადგან ნ. ბრაილაშვილის გამოგონებლობის უნარი უმრცხვია, მისი ყოველი ახალი თოჯინა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საინტერესო ნიმუშია.

ჩვენ მოწმე ვართ ბევრი თოჯინის „დაბადებისა“, მაგრამ კვახების სერიიდან ექსპრესიითა და ემოციური გამომეტყველების არაჩვეულებრივი ძალით გვაოცებს „კვასურა“. იგი განსაკუთრებული გემოვნებითაა დამუშავებული.

მომხიბვლელია თოჯინების სერია „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების“ თემაზე (წითლქუდა, ცეროდენა, ნაცარქქვია, ჩეჭმებიანი კატა და სხვ.), სუფრის ანუ ბოთლზე ჩამოსაცმელი თოჯინების სერია („კოწია“, „თველი“, „მხიარული მისო“ და სხვა). ამ თოჯინებში შეინიშნება



ნაპრის თოჯინები — ქართულ და გურული

<sup>2</sup> ინდოეთში — 1956 წელს, ლათინური ამერიკის ქვეყნებში — 1957 წელს, ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე — 1958 წელს, ზოლო ნიუ-იორკში 1959 წელს.



საოცარი ღირსში, მეტყველება, იუმორი, რომელიც დიდ მხატვრულ სიამოვნებას გვანიჭებს.

მეტად საინტერესოა ბოლო წლებში შექმნილი უნიკალური ნაძვის ხე, რომელიც ნინო ბრაილაშვილის მდიდარი ფანტაზიისა და გამოიმონებლობის ნაყოფია. ნაძვის ხე შედგება ერთიმეორეზე გადაბმული მავთულის წრეებისაგან, რომლებიც ხის საფუძველთან ფართოდებიან. ეს აქურული კარკასი მაგრდება ჭერზე. მეორე ტიპის ნაძვის ხე მაკიდახე იდგმება. იგი იკეცება, სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვაგვარად მორთული. თითოეულ ნაძვის ხეს მორთულობის შესაბამისი სახელი ჰქვია. ამ ეფექტური ნაძვის ხეებისთვის გამოყენებულია მაწვნისა და რძის ხითლების ფერადი სახურავისაგან დამზადებული სათამაშოები, ბატბუტი, ხილი, ტკბილეული და შინ დამზადებული სხვადასხვა ფორმის ნამცხვარი, რომელიც ძლიერ ახარებს პატარებს. ეს ნაძვის ხეები უაღრესად მოსახერხებელია იმ ადგილებში, სადაც ნამდვილი ნაძვის ხე არ არის, ან საბინაო პირობები შეზღუდულია.

სასურველია, რომ გამოყენებითი ხელოვნების სათანადო ორგანიზაციამ წარმოებაში დანერგოს იგი.

არანაკლები სიყვარულით და გატაცებით ემსახურება მხატვარი საბავშვო წიგნების გაფორმებას. სანინო მუშაა მის მიერ დასურათებული ნ. ნაკაშიძის „ხალხური ზღაპრები“ (1935 წ.), რაშილდის „საუცხოო სტუმარი“ (1944 წ.), თ. თუმანიშვილის „ჩვენი ბოსტანი“ (1945 წ.), და სხვ. ამავე დროს ნინო ხშირად არის მის მიერ დასურათებული წიგნისა თუ ალბომის ტექსტის ავტორი, რაც საშუალებას აძლევს უფრო გააღრმავოს თავისი ნახატების გამომსახველობა. იგი ისწრაფვის შექმნას ბავშვის თვალთ დანახული სამყარო და შესაბამისი ხატოვანი ერთ ამიტყვევლის ისინი.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ბრაილაშვილს გარკვეული წვლილი მიუძღ



ხის თოჯინები. „მანანა“.

ვის ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებასა და პოპულარიზაციაში.

სამაგალითია ჩანახატები, რომლითაც დამუშავებულია ვ. ბარდველიძის ნაშრომები: „იერის ფშავლებში“ (1941 წ.) და „ქართული ხალხური გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“ (1953 წ.); ავტორმა ჩვეულებრივ გულმოდგინებით ასახა ისტორიას გადაურჩინა მატერიალური თუ სულიერი კულტურის რეალობები, რომელთაგან დღეს თითო-ოროლა თუ შემორჩა სოფელს. ამ ნახატებით, რომლებიც ხასიათდებიან მკაფიოდ გამოხატული ეროვნული თავისებურებებით, იგი გვაყვარებს ქართველი ხალხის წარსულს.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების დიდი შენაძინა. აგრეთვე ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია VII საუთაშორისო კონგრესისათვის გამოცემული ალბომები: „კერამიკა“, „მოჭიქული ქურჭელი“, „ორდომენტი სელის ქსოვილზე“, „დედოფლები“, „საჭურველი“, „ლურჯი სუფრები“, „დაითილი ქსოვილები“. (ორი უკანასკნელის ტექსტი ნ. ბრაილაშვილს კუთვნიან). ალბომში წარმოდგენილი ნახატები პაეოვანი და გამჭვირვალა, ამავე

დროს მათში გამოსახული ექსპონატები არაჩვეულებრივად მატერიალურია და მკვეთრი. ამ ალბომების წყალბოთი მხატვარმა სახელი, პატარავს გადაეცა და პოპულარობა მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ნ. ბრაილაშვილი სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის მოწყობაში: „ხევსურეთი“, „აბისინია“, ხალიჩების გამოფენა, სეზეკვეთა, ძველი და ახალი ყოფა საქართველოში და სხვ.

მხატვრის სახელსონოც პატარა მუზეუმში, სადაც თვალში გვხვდება წარსულისა და აწმყოს თანაარსებობა, მხატვრული აზროვნების შინაგანი სიმართლე და დახვეწილობა, სიყაბუხე, საკუთარი ხელწერა და ერთგული კულტურის სიყვარული.

მშობლიური ხალხის ცხოვრების ღრმა სიყვარულით შთაგონებული მისი შემოქმედება შევიდა თანამედროვე ხელოვნების საგანძურში. ნინო ბრაილაშვილს კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია, ეს მისი შინაგანი მოთხოვნებია. ხელოვანის დავადალავი ენერჯია და ნიჭი კიდევ ბევრჯერ გავახარებს.

# გეორგი გონიძე

(თავითანსაველ მხატვარ-ქიქიმა ბაიოფანას)

## ირინე აბესაძე

საქართველოში თერთმეტწლიანი  
ფუნქციონირების მიმდინარეობის ბრძოლა  
სიცოცხლისათვის, რომ სიკვდილის  
ყველა კარი ჩარაზონ, რომ ჯანმრთე-  
ლობა და ბედნიერება სუფევდეს ამ  
ქვეყანაზე. იბრძვიან ქირურგები, ნე-  
ვროპათოლოგები, კარდიოლოგები,  
კლინიცისტები.

ყოველი სამუშაო დღე დაძაბულია.  
ექიმის გონება და ხელი დაუღალა-  
ვად ებრძვის სენს, შინდობრუნებულ-  
ნი კი შეგებასა და დასვენებას მსატე-  
რულ შემოქმედებაში პოულობენ. პა-  
ლიტრით ხელში პლენერზე გადაიან  
და ხატავენ. ხატავენ ყველაფერს.  
ისინი ხატავენ წლების განმავლობა-  
ში, ხატავენ თავისთვის, არც უფიქ-  
რით მათი გამოფენა ფართო აუდი-  
ტორიის წინაშე.

და აი, ხელოვნების მუშაობა სახ-  
ლის ორგანიზატორებმა საგამოფენო  
დარბაზი დაუმოქმედეს ექიმ-მხატვრებს.  
ისინი ხუნთი არიან. ქირურგი ზაალ  
კახიანი, კარდიოლოგი გაიოს ცინცა-  
ძე, ქირურგი ვახტანგ ელიოზიშვი-

ლი, ექიმი ქალები — გემატოლოგი  
ჯანა სვანიშვილი და ნევროპათოლო-  
გი სანათა ჩოხელაშვილი. გაიოს  
ცინცაძე შვიდი ფერტილთი წარს-  
და გამოფენაზე. აქ არის პორტრეტე-  
ბი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ძველი  
თბილისის ვეზოტიკური სურათები. გ-  
ცინცაძის ხაზი პლასტიკურია, ოდნავ  
სტილიზებული. ავტორი ფერის სა-  
შუალებით ხასიათსა და განწყობილე-  
ბას გადმოსცემს. მზით გარჯული  
გერული გლეხის ხასიათი გახსნილია  
მულერი, ინტენსიური, კონტრასტული  
ფერებით.

ნეველი, მსუბუქი, პაეროვანი  
ფერია გამა გამოყენებული ახალ-  
გაზრდა ქალის ოდნავ კაპრიზული.  
ჭირველი ხასიათის გახსნისას.

მუქი ყავისფერი, შავი, ნარინჯის-  
ფერი ტონებია ნახშირი ახალგაზრდა  
ქალიშვილის სვედიან პორტრეტში.

ყურადღებას იქცევს შერეული ტემ-  
ნიკით შესრულებული ტილო „სად-  
ღეგრძელო“. პლასტიური ხაზი ახალ-  
გაზრდა ყარაჩოხელთა არტისტული,

რაინდული ბუნების გახსნილობაში  
მართული და ამით ხაზს უსვამს ძვე-  
ლი თბილისის ვეზოტიკურ მკვიდრთ.

მწვანე ფონზე მკვეთრად იკითხება  
ყარაჩოხელთა სახეები. ერთ მათგანს  
დარდნიანდულად დაუხურავს შავი  
კეპი, ცალი წარბი ზეაუწყვია, ხელ-  
ში კი ღვინით სავსე ფიალა უჭირავს.  
უნებლიე ღვიძლის გვერით მისი ემმა-  
კური ჩაიცინება. მხარზე ჩამოყრდნო-  
ბილი მისი ამხანაგის ხელი, მეგობარ-  
თა სითბოს, ურთიერთგატანას გამო-  
ხატავს, მეორე ხელში ყარაჩოხელს  
ყვავილი უჭირავს. უყურებ ფერტი-  
ლოს და გწამს მათი ვაჟკაცობა, თავ-  
დადება, მეგობრობა და რაინდული  
სიყვარული.

ფერები მწვანე ფონზე კონტრას-  
ტულია, ყარაჩოხელთა წითელი და  
ლურჯი ხალათები, შავი კეპები, ყა-  
ვისფერ-ნარინჯისფერი ფიალა და  
წითელი ყვავილი ელვარებენ და ტი-  
ლოს მათორულ ვლერადობას მატე-  
ბენ.

ერთ-ერთ ტილოზე „მეზურნეობა“  
აღბეჭდილი. საინტერესოდ ავებულ  
კომპოზიციაში, ფერთა დაპირისპი-  
რებასა და წინა პლანზე წამოწეული  
ხელების რიტმულად განლაგებაში  
იგრძობა მუსიკა, რომ აღარაფერი  
ვთქვით შემსრულებელთა სახეებზე.  
გაიოს ცინცაძე მარჯვედ იყენებს  
ფერს ხასიათთა გახსნისათვის, რაც  
ძალზე მისასაღმებელია.

ექიმ ქალს ჯანა სვანიშვილს თავი-  
სი ხელი ფერწერასა და გრაფიკაშიც  
უძლია.

საინტერესოა პარიზის ჩანახატები.  
ისინი ისეთი გაბეჭდილი, მყარი ხე-  
ლი არის შესრულებული, რომ პრე-  
ფესიონალი მხატვრის ჩანახატების  
ასოციაციას იწვევს.

ამ ჩანახატებში მხატვრის მასვილი  
თვალთი არის დანახული პარიზის  
ყველაზე შთამბეჭქადვი კუთხეები, ქა-  
ლაქის ძირითადი ორიენტირები —  
ეს იქნება მულენ-რუტი, რკალამბე-  
რთა და წითელი ლამპიონებით განა-  
თებული, ლუვრი თუ ტრიუმფალური  
თალი, წმ. გულის ტაძარი თუ მად-  
ლენის მოედნის კუთხე — ყვავილუ-  
ბის ბაზარი, საიდანაც ათასფერი ყვა-  
ვილები ცხოველსატულად იმზირები-



ან. ავტორის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ პარიზული შობაბედნილობისაგან მიღებულ განცდას მან ჩვენც გვაზიარა. საინტერესოა მისი ცნობა ფერწერაშიც. ზეთის საღებავებით შესრულებულ პეიზაჟებსა და ნატურ-მორტებში, მართალია, ისეთ გამარჯვებებს ვერ აღწევს, როგორც ფანა-დი ფანქრებით შესრულებულ ნახატებში, მაგრამ ჯანა ჯანაშვილის მიერ მხატვრული თვალთ და ალ-ლოთი ნაპოვნე ფერთა თანამეზობლობა, კოლორიტი კარგის საწინდა-რია.

სანათა ჩოხელაშვილი გამოფენაზე ოცი ფერტილოთი წარსდგა. მათგან უმრავლესობა პეიზაჟებია.

თეთრსაწვავი მხატვრის თვალი მიპყრობილია საქართველოს ცხოველ-ხატული კუთხეებისაკენ. ს. ჩოხელაშვილს ყველაზე მეტად ფერის გრძნობა აქვს გამაზვილებული. იგი თამამად და ოსტატურად აღაგებს ერთიმეორის გვერდით კონტრასტულ, მკვლერ ფერებს და მათი საშუალებით სოფლის კოლორიტულ პეიზაჟს იძ-ლევს. წერტილებით გაბნეულან ტილოზე მწვანეში ჩაფლული სახლე-ბის სახურავები, მინდორის წითელ-ყვითელი ყვავილებით ელავენ ისი-ნი. შორს სიღრმეში მოჩანან შავილი ლურჯი მთები, მათ მუზობლად კი ყვითელი-ყავისფერი ბორცვებია.

მხატვარი პლენერზე ქმნის ტილო-ებს, რასაც ადასტურებს გაფანტული მზის სხივები, მწუხრისას კი საგან-თა ნაცრისფერ-ასამანისფერი გამა.

ს. ჩოხელაშვილის ყალამი ქალა-ქის ცხოველხატულ კუთხეებსაც წვე-ვია. ძველი თბილისის კოლორიტუ-ლი ქუჩაბანდები, აივანიან სახლები, ქუჩაში გამოფენილი სარკებით, გად-მოკიდებულ ჭრელი ნობით.

ქვებით მოკირწყლული ქუჩა პერ-სპექტიულად მიემართება კომპოზი-ციის სიღრმისკენ. დაცარიელებულ ქუჩაში ჩანს მიმავალი კაცი. აივანიან სახლებში კი იგრძნობა ცხოვრება. ამ პატარა ფორმატის ტილოზე ავტორის მიერ ძალიან მასლობლად და თბი-ლად არის დაწერილი საგნები. ფუნ-ჯის მონასში დაუდევარია, რაც ე-იდე უფრო უსვამს ხაზს ძველი თბი-

ლისის ფერგადასულობას, ძველ სიოს.

თუ ამ კომპოზიციამ დაუდევარი ხელწერა, რაც ვგოტიკას მატებს მხოლოდ ტილოში, სადაც ისევ ძველი თბილისის კუთხეა, თითოეული ხაზი, აივნის თითოეული ჩუქურთმა, კარ-მეტის გადახურვა, ხეია ტობები. ფოთლები უფრო დეტალიზებულია, მოწერტილებული და გამიზნულია მა-თი ურთიერთანდაგებაც.

სასიამოვნო შობაბედნილებას ტო-ვებს შერეული ტექნიკით შესრულე-ბული პატარა ფორმატის ტილო „ზამთარი“. ს. ჩოხელაშვილი ყალ-მით ფაქიზად ამოწერს თოვლით და-ფარულ გამიზნელებულ ხეებს, გლე-ხის კარმიდამოს, სკებს. ავტორს ნახ-მარი აქვს ყვითელ, ნაცრისფერსა და ლურჯში შეზავებული თეთრა, რომე-ლიც ქმნის წმინდა თოვლის შობაბედ-ნილებას, ამ კომპოზიციის აღქმისას გახსენდება სტრიქონები გალაკტი-ონის ცნობილი ლექსიდან:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ

თოვლის

ქალწულებივით ხიდიდან ფანა...“

გამოფენაზე წარმოდგენილია ვახ-ტანგ ელიოზიშვილის ორმოცდასამი ფერტილო. აქ თანაბრად არის წარ-მოდგენილი ფერწერის თითოეული

ვანრი — პორტრეტი, პეიზაჟი, არქიტექტურული ანსამბლები, არის გრა-ფიკაც.

თეთრსაწვავი მხატვარი ხატავს აქვარელსა და ფანქარში, აქვს აგრ-ეთვე შერეული ტექნიკით შესრუ-ლებული ნამუშევრებიც. მისი ხელწე-რა ავტურული, ფილიგრანული, დამ-ეწვრილი და ფაქიზია.

ე. ელიოზიშვილისათვის ძირი-თადი მასალა მინც აქვარელია. აქ სრული შესაძლებლობა ეძლევა მის ფაქიზ ხელს. მაგრამ, ჩვენის აზრით, მხატვარი ფანქარში უკეთ ავლენს სა-სიათს და უფრო საინტერესოა მისი პორტრეტები. ეს ენება ყავისფერ ფანქარში შესრულებულ ქალიშვი-ლის პორტრეტს პროფილში. ასევე ძლიერია ახალგაზრდა ქალის პორტ-რეტი, რომელიც 1968 წ. არის შეს-რულებული. ძალა და ტემპერამენტი იგრძნობა ქალის შეუპოვარ, ძლიერ პროფილში, მასში სრულად არის გა-მოვლენილი ფანქრის შესაძლებლობა გადმოსცეს ადამიანის სულის ყოველი ნიუანსი.

ხაზის დამაჯერებლობით, რიტმუ-ლი დინამიკით არის გადმოცემული 1969 წ. ფანქარში შესრულებული აკად. ივანე ბერიტაშვილის პორტრე-ტი, რომელიც აზრის დაძაბულობით არის დატვირთული.

გამოფენის ერთი კუთხე.





იგივე იქიმის ამავე წელს ფანქარში შესრულებულ პორტრეტთა მივლას ცოცხლზე.

ჩვენ განსაკუთრებით გამოვყავით ავტორის მიერ ფანქარში შესრულებული პორტრეტები. ხოლო რაც შეეხება მის ფერწერულ ტილოებს, აქ ვარეულია და შერეული ტექნიკით შესრულებულ პორტრეტებსა თუ არქიტექტურულ ძეგლთა ჩანახატებს, ისინი დახვეწილი პროფესიონალობით გამოირჩევიან და მხატვრის კარგ გემოვნებაზე მეტყველებენ, თუმცა ზოგჯერ ავტორი შედამეტად არის დაინტერესებული აჭურულობით და სინატიფით, რაც ხშირად განსვლადეობს და დიდ აზრს აკლბს ტილოს.

ექიმ ზაალ კახიანის ნამუშევრები, პირველ რიგში საინტერესოა იმით, რომ მან თავისი ხელი სცადა თითქმის ყველა ჯანრში, ეს იქნება ფერწერა, ქუჩურობა, თუ გრაფიკული ნამუშევრები, პორტრეტები და მეგობრული შარველები.

ჟ. კახიანის უდავო გამარჯვებაა — კოლეგების, საზოგადო მოღვაწეებთან პორტრეტები, მეგობრული შარვები. ფანქარის ერთი მონასმით ავტორი ყველაზე სასახლიანო გამოყოფს. ხაზს უსვამს მათთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებას.

ხაზი, ფანქარი ისე ემორჩილება ზ. კახიანს, როგორც ზრდასრულ მხატვარ პროფესიონალს.

ტუშით თავისუფალი მონახაზით შესრულებულ მოქანდაკე ა. კანდელაკის პორტრეტში, გახსნილია დიდერ მოქანდაკის ლაღი ბუნება, მისი არტიტული ტემპერამენტი.

აქედ. ივ. ბერიტაშვილის იერსახეზე აქ მეტწილისათვის დამახასიათებელი დრმა აზრით დატვირთული მხარა, მდიდრურობა იციხობა. იგი ახლაც რაღაცას ფიქრობს, ერთი შტრიხით თითქოს საშუალება გვეძლევა აღვივებთ მეტწილის მუდმივი ძიებით აღსაქვებ ცხოვრება.

საინტერესოა აგრეთვე დ. გამრეკელისა და კ. ვუფსვიანის პორტრეტები. აქ წარმოდგენილ თეატრალურ მოღვაწეთა პორტრეტებში მოქმენილია თითოეულისათვის სახასიათო ხაზი. ფანქარის მყარი მოხაზით გაბ-

ნნილია მათი მსახიობური ბუნება: ა. ხროვას — ვაჟაკური ბუნება, ზ. დადიანის რაინდული სული, სიცილის ოსტატის ა. კვანტალიანის ხასიათი უნარით რაღაც სვედა. პისუტკის ინტელექტუალური ხედვა, როლში წვდომის განსაკუთრებული უნარი.

ცალკეა გამოყოფილი მედიცინის დამსახურებულ მოღვაწეთა ვლ. ანთაძის, ლ. ანუაფანიძის, ა. ხმალიაძის, გ. სიმონიულოვის, ა. წულუკაძის, გ. ღამბაზაშვილის, მხატვარ კუბრაიანის, პრფ. ანთელავას, ვირსალაძის და სხვათა პორტრეტები.

ფერწერულ ტილოებში ივანბოა მხატვრის ხელწერის რეალისტური მანერა. ჩანს ისიც, რომ მხატვარი პორტრეტში თავს უკეთ გრძნობს. რასაკვირვლია, არის ცალკეული ხარვეზები, მაგრამ გვეჯრება, რომ ხაზს, ნახატს დაუფლებული ზაალ კახიანი, ფერსაც დაუძულება.

1972 წელს შესრულებულ ეტიუდში ავტორი სწორედ ფერწერულობას უსვამს ხაზს და ფუნჯის მსუქე მონასმითა საშუალებით ძერწვის მამაკაცის პორტრეტს.

თუ რაოდენ დაინტერესებულია მხატვარი ფერწერული ძიებებით, ჩანს 1972 წ. შესრულებული ფრანგ მხატვრის დომისეს სურათის homo sv un asino-ს ასლში.

როგორც აღენიშნეთ, მხატვარმა ჯედურბობაში და ხეზე კვეთაშიც სცადა ბედი. წარმოდგენილია ლითონზე პლასტიკის ერთი ნიმუში, მელქიორისა და გამომწვარი ხეში ამოკვეთილი დანტე ალიგიერის და ბეთაოვენის 1971-1972 წლებში შესრულებული პორტრეტები. მათში ჩანს პორტრეტისტის ხელი. მართალია, ფორმები საკმაოდ ამოყვანილი არ არის, მაგრამ სრულად არის გახსნილი ხასიათები, რაც კარგის მაუწყებელია არაპროფესიონალობათის. თუ შემიდგვებოთ გააგრძელებს ზ. კახიანი ქედღებობას და ხეზე კვეთაში მუშაობას, კარგ შედეგებს მიაღწევს.

მედციინის მუშაკთა ეს მეთოდ მოწოდებს ნამდვილად მისახალმებელი საინტერესო და ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

ქუჩის ნაპირს მდგარ კარგად შესრული, ყოველი ფერის ქალადებითა და კალმისტრებით, სუველია ფერის წიგნებითა და მერხით სახვე მალახაზში მე შევიძინე მუეისათვის ნაკეთები პატარა უფირო ფერად ფანქარები, გახსენს კეთი და დიდ მაგიონზე გადავამლე თეთრი წაღლის გრძელი გრავილი. მერე წაღალზე ეს ფანქრები და რის ნათალი ყოველი ფანქრის ბურბუმელის არგოლილი გროვად დახვავდა ჩემს წინ, ხელი დახვებე ამ სუფთა ხის ნაზ ბურბუმელას, ფრთხილად, ფაქუნად გავწვი განზე, შემდგომ დავეჭვი და თეთრი ქაღალდის გრძელ გრავილზე შეკვედე ხატვას.

თეთრი ფანქარი ავიღე ხელში დახვებამდე. თეთრი ფანქრით მე დახვებე ქედბოიერი, ფეხდადუგამი მწვერილი, დრუბლთაგან მონახოეთ თეთრი დრბანდი — პირბადე ცისა და გულცივი მარადული ყინულითი ანტარქტიდისა, ზღვაზე შორეთში გადამოლილი, მოფრიალე თეთრი აფრები და თოლიები მომწერენი მრავალ განმორებათა. საკუთარ თავის სილამაზეში ჩაყურული გეულები თეთრი, გაურკვეველი მიმართულებით დავეჭვი ბატების გუნდში, ფშანში დამდვარი, სვედიან წირტლის მიწერილი წერითი — ერთი, მოფრცხლილი სატყვერები და მახვილები, არყის ხეების აწვეტილი, პაერთი სასუქ თეთრი ჭალავი, სლავი ქალის ბამბასავით თეთრი პირსახე, მხატვრის მიერ გადაჭიმული, დაუწერილი ჯერაც ტილო, განყენებული სილამაზეთი აბრწყინებული მარგალიტები, მარმარილოში განცხადებული სული კაცისა, უკვდავმნილი ოსტატის მიერ, ბროლი მოისა — გულწრფელობის ნაღდი სიმბოლო, უყოღველი თეთრი ბატკანი და საჭირილი, ხელთუკარები თეთრი კაბა, ღამეები დახვებე თეთრი და ღამებანთვი, ფრმობრალი სახვე ჭემბარიტი შემომქვილას.

თოლით ნათრთილი თეთრი ზამთარი, ცის შემფრთხი თეთრინი და თეთრი ფრთები მოფრიალე ფარანებისა — თეთრი თმა-წვერი ხვეისბერისა — თეთრი სიწმინდე დახვებე თვად.

მწვენი ფანქრით მე დახვებე ზრქელი ბალახი მფარველი მიწის, მოზანიშუვე წვანე ფოთლები ფოთლოვანი მცენარეების, ჩაის ბუჩქები, მწვანე ხაესი — ხავერდი ტყისა და გაუგარო, იღუმალებით სახვე ჭაობი, კრანძბული ავბიღითა და მწვენი ხელი და თვალდაკარული ბუშტაკ გომებში — მწვანე ბოსტნის მსხვილი ფოთილი, უსხულო და



# ფერადი ფანქრების ყუთი

ვაჟაფხვი ბაქრაძის სახელობის  
იზიანი მოძრაობა — აიღეს.

უკურო გოლიათების ზორბა თავე-  
ნი—დიდზე დიდი სასამართოები.  
მწვანე ანწლი და მწვანე მწვანო-  
ლი, წინარე მწვანე, მარადმწვანე მცე-  
ნარეთა მწვანე წიწვიები, მწვანე ზურ-  
მუსტი, დავანებული მწვანედ სიმშ-  
ვიდე.

ყვითელი ფერთ მე დავხატე ფიქ-  
რიანი ყვითელი მთვარე, ბაჯალო  
ოქროს დაფერილი, ძველთაძველებს  
სპილოს ძვალი, შემართული შეჭივით  
ლომი, იფინი წწელივით მოქილი  
ფეხები, დარბასივლი ქალბატონები—  
ფორთოსალი და ლიმონი, პერგამენ-  
ტები, ცვილი და სახე ცვილისფერი  
სენჯაში მყუდარ სათონ ბერისა, წიგ-  
ნი გაღამწერის მარადვამს მსისკენ  
მიქცეული გახურებული სიმბრე-  
როები მსესუმზირების, სადღაც შო-  
რეთს გადაშურებულ აქუმების ქა-  
რაგანი და რიხცივით შროლი სიმ-  
ბნოთი. ყვითელი მჭადი და სიბრ-  
დები, გადმოღერილი ყვითლად სიმ-  
მავე, და მჭვირავალი, კრიალა ქარ-  
ვა.

თუთუნი ყვითელი, ყვითელი ყვი-  
ბარი, ყვითელი თითბერი, ყვითელი  
ყანა.

წითელი ფერთ მე დავხატე წი-  
თელი მზე, ვულკანიანი აბოფიქვე-  
ული ლავა მქინვარი, ყაყარობი —  
თოქი ველისა, კეთილშობილი წითე-  
ლი გეს, გულგამოლივი ვარდები და  
ბალახებში მოცივაგე მაცდელად მარ-  
წყვი, ვაშლიც დავხატე ლოყაწითე-  
ლი, კაციც დავხატე წითური და წი-  
თულთმობი, ოქროს თევზები, ლალი  
წითლი, ოქროს თიბანი ქალიშვილის  
ალმურნაკრავი ნაზი დაწვივც სიყ-  
ვარკურის გამქალაქებისა, ცეცხლი-  
ვით გრძობა დავხატე მე წითელი  
ფანქარი, ცეცხლოვანი წარმოსახვაცა  
და ცეცხლოვანი რაშიც ზღაპრული.

ლურჯი ფანქრით მე დავხატე  
ზღვა და მდინარე, გულჩახვეული  
ოკეანე, განუწყვეტელი მოლაპარაკე  
ნაკადლები, ლურჯი მელანი და  
ლურჯი იები, ლურჯი საფირონი.

ტბა—ცისმარე ქამს ახელილი, ჩა-  
მხსომებული ყველაფრისა, თვლი  
ცალთვალა მემბატანის ლურჯი  
დავხატე, ლურჯი ჯვარი, ლურჯა  
ტხები, ლურჯი ოცენებაც დავხატე  
ბოლოს.

ყავისფერ ფანქრით მე დავხატე  
მოყავისფრო მთის ფერდობები შემო-  
ძარცვული ხეებისაგან, ტუფი დავხა-  
ტე და მიწის ხნული, თხილისა  
და კაკლების გროვა ყავისფერი  
ხის მომრგვალო სინზე, რკობები,  
წაბლი, აყალო მიწა, სოფელი თი-  
ხა, და თიხისაგან გამონაძერწი დო-  
ქებისა და ჯამ-ფილების ურიცხვი  
ჯარი, ტალახი და გულამღერული  
წყალიდიობის ქამს მდინარე ვრცე-  
ლი, მობრძლეული ათასგვარი, ყავც  
დავხატე ყავისფერი ყველაზე ბოლოს.

მერე კი ძლიერ დადიანი, რად-  
გან ამძიწია შავი ფანქრის ხელ-  
ში ობობე. დავხატე მაშინ თავრღუ-  
ნულმა შავი უხსკრული, შავი ღამე,  
თავმსახარი ბნულეთისეული აზრე-  
ბისა, შავი ყვავი და შავი ყორანი,  
შავი დრომა მეკობრეების, შავი კატა  
გზაზე გეზად გადარბენილი, შავი  
კუბრი ჯოჯობისა, შავი ნალველი—  
მელანქოლია მომხრველი კაცის, შავი  
ქირი-ურყალლო სენი, კაცებშია ვე-  
ლურების ამიზინებულ კოცონს  
ირგველი აცვევებული შავი ჯაჭვი,  
შავი სალავი კარგი კაცისთვის გამ-  
ზადებული, შავი თავშალიც დავხატე  
და შავი არმიაც გლოვის ნიშანი.

გული განათდა მერე, რადგანაც შა-  
ვი თვალბეი დავხატე მე შავი ფანქ-  
რით, ცეცხლის მფრქვეველი ულამა-  
ზესი შავი თვალბეი ლამაზმანისა,  
რინჯაზე შავი, შავი გრანატი, ყორა-  
ნა ტხები და სიასამურის ძვირფასი  
ბუქვი, მურნასავით სწრაფი პანტერა  
შავი მიწაც დავხატე მერე ნაყოფიერი  
და შავი მიწის მიერ შეხვედრით დაზ-  
რდილ ძველსა და მუქშავ ხეთა განივ  
ტოტხებზე ჩამომხდარი მოჭახტანე  
შავი შავები. კამერებიც დავხატე

შავი, მურა ძალი და შავტუხა ბიჭი,  
ბოლოს ძვირფასი თვლი გიმურცი  
დავხატე თავად.

შარავი მდგარი გიმურა ხარი, შა-  
ვი შამუბები, ავიღებული შავად გიმე-  
რი.

ფერთა შერევა და ფერთა ბრძო-  
ლაც დავხატე მერე. ლურჯ სტიქიო-  
ნის წითელთან ბრძოლა—წყლისა და  
ცეცხლის, დღისა და ღამის შეყრა და  
გაყრა, ჭადრაკის თეთრი და მუქ  
ფიგურათა უწყალო ბრძოლა, თეთრი  
და შავი კლავიშების პარმონია.


ნაირფერი საგნებაც ვხატე და სუ-  
ლიერინი, შავად და თეთრად მოღე-  
ბილი მერცხლები, პინგვინები, ატ-  
მები მღვიარო წითლად და ყვითლად  
ტორტურული თუთიყუნები, ჩიტბა-  
ტონები, პეწიანი ხისებები და უსაღ-  
ვრედ ჭრული, დიდი პეკლები, კუ-  
ლი ფარშავანგის — ფერთა პალატო-  
რა, სვედნარევად მხიარული ცირკის  
ჯამბოზი, კალიდოსკობი, ფერისცე-  
ლა ქამრული და ცისარტყელა დაქ-  
დული ცის კაბადონზე იღუმალ  
მღვიშში მოციავე ნატურისთვლი  
შლანრეთისა ნანატრ ფერებიც გა-  
მონაწილე დავხატე ბოლოს.

და როცა მოერეი ხატვასა და  
გრანგის დადემდე, დაიხანე, როს  
მომბნატა მივლი სამყარო, ზღვა  
და ხმელეთი, ველები და მალაღი  
მთები, სოფლები და დღინი ქალაქი,  
ცხოველები და ფრინველები, ცა და  
ქვეყანა. ეს მალხაივ ნაირფერი წიგ-  
ნებითა და კალმისტრებით, ყოველი  
ფერის ქალაქდღმითა და ყოველი ფე-  
რის ნივთებით რომ იყოს აღსაესე და  
პოი საოცრებავ... მე ამ ფანქრების  
ქობაც ფერილი ღერობებიც კი მო-  
მიხატავს, თურქე ნუ იტყვიეთ, იმავე  
ფანქრებით, რადგან ფანქრებით, ქუ-  
ჩის ნაპირს მდგარ ცერა ჯიხურში  
მუყას ყუთში ჩაღაგებული ფანქრე-  
ბის ფერთი და კლვერებით მოხატუ-  
ლია მივლი სამყარო.

ერთიც დაფიქრდი, დამირა—მთქი  
იქნება რამე დაუხატავი კიდევ ამ  
ქვეყნად, მივუფი მე შაშინ ცისფერ  
ფანქარს და დედამიწის სურნათულ-  
ქსი აღთქვი უიკრიო ამა ქვეყნის  
თვალაურწადესი სილამაზისზე, ცისფერი  
ფანქრით — ცისფერი მუხთი, რად-  
განაც ლექსი ჭეშმარიტი ცისფერია  
სამარადვამოდ.

ფურთხობა შევხვე ჩემს წინ არგო-  
ლილ, სუფთა ხისგან წმინდად ანა-  
თილ ნაზ ბურბუშულას, თარი აიღე-  
რე უკან ჩავაწვი ეს ძვირფასი ფანქ-  
რის ღერები მუყას ყუთში და ყუ-  
თიც დავეხურე.

აიღემა გიორგაძე.



# აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაზე

ხეთისო ზარიძე

ტაშვრბოლად ვერ ჩაუვლით დიდებულ მცხეთის ჯვრის ტაძარს, რომელიც ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული მღებარებობითა და გარემოსთან შეუვალი პარმონით. შინა კვარცხლბეკი მხოლოდ ცადაზიღული შთა როდია, არამედ მტკერის სანახები და მცხეთის არქაული იერიც. აქ საოცრად ერწყვიან ერთმანეთს ბუნება და ხუროთმოძღვრება, რის გამოც მთელი გარემო ძველითურთ ერთ მონუმენტურ მთლიანობად აღიქმება. ეს თავისებურება ოდიტანვე და-მხასიათებელი ყოფილა ქართული სააღმშენებლო ხელოვნებისათვის. „ჯვრის არქიტექტორმა, — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი — იმ გადაწყვეტილებით, რომ შიშობა გაბედულად ააგო სწორედ კლდის ნაპირს, შექმნა მახვილად შესისხრული სილუეტები, უცებ რადიკალურად გამოსასა, განსაღვრულად ჩამოაყალიბა ქართული ხუროთმოძღვრების ის საერთო ტენდენცია, რომლის თანახმად დასახელებულ ადგილებს გარეთ აგებული ტაძრები მაღალ, გამორჩენილ, შორიდან დასანახ ადგილებზე შენდებოდა, ტენდენცია, რომელიც იმ დრომდე მხოლოდ ფარული ფორმით მოჩანს მატანში, ან ძველ შუამბაში, ნეგრესსა და სხვაგან და რომელიც ამიერიდან მეტად ფართოდ და ცხადად ვითარდება.“<sup>1</sup>

ხუროთმოძღვრებაში შექმნილი ეს ტენდენცია ქართული კუთხურაფიული მწერლობისათვისაც არ ყოფილა შეუმჩნეველი და იგი გვაწვდის წერილობით დადასტურებას. მხედველობაში გვაქვს ბასილ ზარზმელის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქეობა ალმურთმშობისილისა ნეტარისა მამისა ჩვენისაი სერაპიონისი“.<sup>2</sup>

სერაპიონ ზარზმელის ხუროთმოძღვრების სკოტოს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად აკად. კორნელი კეკელიძემ მიაქცია ყურადღება. მან გარკვევა, რომ სერაპიონი ყოფილა არქიტექტორი, ანუ ბასილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მცხეთის სკულთა საეკლესიო შენებისათა“. ეს მტკიცება იმ ფაქტიდანაც, რომ „სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მიქელის მამობაში“, ზარზმის ბერებმა ააგეს ეკლესია, რომლის პროექტიც იყო „წინასწარ გამოსახული წმიდისა მიერ სერაპიონისა“.<sup>3</sup>

აკად. კეკელიძის გამოკვლევის შემდეგ საკითხი უფრო დაწვრილებით აღარავის შეუსწავლია და მის მიერ მიღებული დასკვნის გათვალისწინებით სერაპიონის ხუროთმოძღვრება სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებული იქნა, როგორც ფაქტი სერაპიონის აღმშენებლობითი მოღვაწეობისა.<sup>4</sup>

სერაპიონი, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, დახელოვნებული მშენებელი და მაღალი გემოვნების მხატვარი ყოფილა.

თხზულებიდან ჩანს, რომ სერაპიონის მიერ შერჩეული სამონასტრო ადგილი, მასზე აგებული შენობის ღირსებათა უკეთ წარმარების მიზნით, მიმდებარე სანახებისაგან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული სიმაღლითა და ადვილად აღსაქმელი მდებარეობით. ამ აზრს სერაპიონი და მისი თანმხლებნი პარქსიდან წამოსვლისთანავე ამჟღავნებენ. „ხოლო სლავას მათსა, — წერს ბასილი, — ვითარცა სამეფოთა პალატათა უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მათსა მას, ვითარცა სიმაღლესა ციხისა აღძრული, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების, ხოლო წმინდამან მან ვითარცა თითთა უჩუენა მათ (ბერებს) ადგილი იგი, სადა ეგულეობდა აშენებამ მონასტრისა“. <sup>5</sup> როგორც ვხედავთ, სერაპიონის ყურადღებას აქ პირველ ყოვლისა იპყრობს მთა, რომელიც არის „ვითარცა სიმაღლესა ციხისა აღძრული“. ე. ი. უმაღლესა სხვა მთათა შორის და ბერებს კონკრეტულადაც მიაწინებებს ადგილს, სადაც ეკლესიის აგება ეგულევა. გარკვეულ გარემოებათა გამო სერაპიონმა ვერ მოახერხა აღნიშნულ „მთასა მას“ მონასტრის აშენება, რის გამოც იგი სხვა ადგილის ძიებას შეუდგა. ბოლოს იგი მიდის გიორგი ჩორჩანელიის მამულში და ჩერდება აქ, სადაც, თითქმის განგების ნებით, გამოეცხადება „სადეთი ნიშნები და სასწაულები, უწყებელი დიდისა მისგან მოძღვრისა (ე. ი. მიქელის) მიერ“.<sup>6</sup> სინამდვილეში კი ეს მიდამოც, როგორც ადრე აჩენილი, ძინძეს ხეობაში, შეესატყვისება მის წარმოდგენას იმ ადგილზე, სადაც, მისი აზრით, შესაძლებელია განსაღვრული მონასტრის მშენებლობა. სერაპიონი ჩორჩანელის მამულშიც კარმშენებელი ადგილს იმავე ნიშნის მიხედვით სასურავს, რომლითაც ხელმძღვანელებს ძინძეს ხეობაში. ბერებმა, — წერს ბასილ ზარზმის წინამძღვარი, — მიმოიხედეს, და იხილეს რამე ბორცვ მცირე, უმაღლესი სხუთა მათ ადგილთა“.<sup>7</sup> თუ პირველად, ბერასჯარას მათ შვარჩიეს მთა, „ვითარცა სიმაღლესა ციხისა აღძრული“, მეორე შემთხვევაშიც მათ შვრა კვლავ მოიტაცა მთამ, რომელიც იყო „უმაღლესი სხუთა მათ ადგილთა“.<sup>8</sup> სერაპიონის იმ მოდგმას დღვის სამოსახლის შეორევისადმი რომ მსატყრული თვალსაზრისით განისაზღვრება, უკეთ ირკვევა ნაწარმოების მომდგომი ადგილებიდან.

გიორგი ჩორჩანელი როდესაც გაიკვება, რომ მის მამულში მოსულან წმიდა მამანი და მონასტრის აშენება ნებად, თვითონ ეახლება ბერთა წინამძღვარს და იხილავს რა უნდა ადგილზემ დაცემულ მათს ბანას, სერაპიონს თხვები, ნუ ააშენებს აქ მონასტრის, რადგან „უემ და უუეაწ არს ადგილი ესე“... და... „ეგების ესე, მამო, რათა





კაცმა ნფხით თავი თვისი ჭირთა მიცხვეს და უკანასკნელ მოკიცხვად და მამურად იპიოს ცუდად.<sup>10</sup>

სამაგიეროდ, იგი მათ სხვას თავაზობს, რომელიც, მისი თქმით „მარჯუე არს და მომზადებული ამათ საქმეთა“ და შესაძლებელია „მოამუენდეს სულსა“ მათსა.<sup>11</sup> ამასთანავე გიორგი ყოვლგვარ დაზნაბრებს პირველად ძმობის წყურვებს თუკი მის რჩევას მიიღებენ. სერაპიონმა ჩორჩანელის ეს მეტად თავაზიანი და, შეიძლება ითქვას, მისთვის ხელ-საყრელი თხოვნა თუ რჩევა სამონასტროს შეცვლის თაობაზე მეტად შორს დაიჭრა. სერაპიონი უსაზრმაო არწმუნებს მთავარს, თითქოს ეს ადგილი მას ლეთიერ ნიშნებით განესაზღვროს. მაგრამ მისი აზრის სიმაართე უნებ გამოსჭვივის ივავში, რომელსაც გიორგის ეუბნება: „გონა-ვრად ოსმენე, მე მთავარო, იგივე ესე, რამეთუ მარგალიტნი და თულნი პატრიოსანინი მიმოგაბნეული რაჲ იყვნენ თანადრევეთ მიწასა, არა ესრეთ მორწყნენენ წინაშე თაულებსა ხილვის — მოყარეთასა, ვითარ იგი, რაჲსა ეამბოხნენ-დნენ და განწუხნენ და ოქროსხუხუხისთა შეიწყნენენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინდა გამოჩნდეს მორწყნისაღუებაჲ მათი და იქოს მუხაკი და შეუნიერებაჲ ადგილისა ამის, ვინაჲცა ნუ გაიპოვებ დატევივად ადგილისა ამის და სხუად ცვალებად, რამეთუ ესე ვერ ეცების ჩუნენი.“<sup>10</sup>

თუ ჩავუფიქრებდით ამ „ივავის“<sup>11</sup> შინაარსს, დავინახავთ, რომ სერაპიონი შეჩრეულ ადგილს მხატვრის თვალ-საზრისით აფასებს, ჩორჩანელის მსგავსად. სრულიადაც არ ადევლებს ის, რომ „ყოველითურთ უქმ და უღაპარ არს ადგილი ესე“<sup>12</sup>. ე. ი. მიუვალა და უღაპური. მას, ბასილოს თქმით, საქმე უკვე განსჯილი აქვს „გონებითა ფრთხილ-ნობითა“ და ციციბობს გიორგისაც განუზრახავს, რომ ეს სა-ნათესაო, რომელიც მან მშენებლობისთვის აირჩია, არის „მარგალიტნი და თულნი პატრიოსანინი მიმოგაბნეული თანადრევეთ მიწასა“<sup>13</sup>. ე. ი. ჯერ კიდევ შეუცნობელი, გამოუყენებელი და ამიტომ უჩინარად. ხოლო თუ ამ თავისებურ გარემოს შევხება ხელა, „ხელათაჲ მუშათა“ ოქრო-წულნი ჩამსული მარგალიტის სათეთრო სილამაზით გა-მომწიფინდება იგიც და მაშინ „იხილის თულმან მხილ-ველთამან შეუნიერება ადგილისა ამის“. ყოველივე შემოიქმ-შელის შემდეგ სერაპიონის აზრს შეიძლება ასეთი ფორმუ-ლირება მივცეს: სათანადო ადგილმდებარეობის, რომელიც იქნება „სიმაღლესა ცისასა აღძრული, ან „უმაღლესი ხილვით მათ ადგილთა“<sup>14</sup>, თუნდაც იგი უღადი და უღაპური იყოს, „ხელათაჲ მუშათა“<sup>15</sup> მიერ მხატვრულად გარდაქმ-ნა აქვეყნს მას ხელოვნების ჭეშმარიტი არსის შემცნობთა დაფასების საგნად.

სერაპიონი განსაკუთრებული სიმტკიცითა და თანმი-დევრობით იცავს ამ შეხედულებას და არც მაშინ იცვლის განწყობას, როდესაც ბერძენი, რომელთაც ვერ შე-იძლება საქმისადმი სერაპიონის მიდგომის არსი, იოხავს მი-ერ ამორჩეულ ადგილზე, ვითარცა ღვთისმიერ უწყებულზე, გადასწყვეტენ ცუკლისის აშენებას. სერაპიონის, — წერს ამის შესახებ ბიოგრაფი, — „კვლავაც სწავდა, რაჲათმეცა ბორცუსა მას ზედა უმაღლესას“<sup>12</sup> „ღაპურის საყდარი ფრად შეუნიერო“.<sup>13</sup> მხატვარი ბერის ეს სურვილი, ბოლოს ანდრება რომ იქცა, და თითქოს, ღვთის ნებასაც რომ ეწი-ნააღმდეგებოდა, მართლაც შესრულდა მონასტრის მესამე წინამძღვრის — მიქელის მამობანი. მშენებლობის ხელმ-ძღვანელობდნენ პროექტორი, რომელიც იყო „წინასწარ გამოსახული წიბიდის მიერ“<sup>14</sup> ე. ი. სერაპიონისაგან.

სერაპიონის ეს პრინციპული მოთხოვნა, რომ „ბორცუაჲ მას ზედა უმაღლესას“<sup>15</sup> ავეთო კვლავთა, შეუძლებელია ფა-ნატაციოს ბერის რელიგიურ აზრებად მივიჩნიოთ. ეს რომ

ასე ყოფილიყო, იგი მას უმაღლეს შეეცვლიდა, როგორც კი მთის წვერზე საკუთარი ხელით დადგმულ კანდელს დამრე-ტილს იხილავდა. სერაპიონის ძირითადი მიზანი იყო, ამორჩია ისეთი ადგილი, რომელიც მისი ნაზრების უკეთ წარმოჩენი იქნებოდა. ხოლო ორივე ერთად მხატვრულ წარმოსახვის სრულყოფილ გამოვლინებად იქცეოდა.

თუ გავივიწყებთ სერაპიონს, რომ სერაპიონი მდებარეობდა სა-მონასტროს მშენებლობისათვის ყოველმხრივ შესაბამისი მდებარეობის გამოძიებას, რომელიც წინასწარ უნდა ჰქო-ნიდა განსაზღვრული, მაშინ უნდა მივიღოთ ეს გადაწყვეტი-რები მის მიერ „წინასწარ გამოსახულ“ მონასტრის პრო-ექტზე სწორედ „წინასწარ“ განსაზღვრული თუ ნავარაუ-დები მიდამოსათვის იქნებოდა და მუშაგებელი და მისი ძი-ენაც მიმავალი არქიტექტურული ახსაძლებლობების ბუნებაში გა-ნახვად ჩაწერის სურვილი აქვემდებარებოდა. თუ ეს ასეა, უნდა დავასკვნათ, რომ სერაპიონის მიღვაწეობა მტკიცედ ემყარებოდა ქართულ არქიტექტურაში აღრიდან-ე შექმნივად ტენდენციას — არქიტექტურული ანსამბ-ლის ბუნებაში ორგანულად ჩართვას და ადვინციონს, რომ იგი თვითონვე ატარებს პრაქტიკაში ამ ტენდენციას.

სამწუხაროდ, დღეს საშუალება აღარა გვაქვს თვალნათ-ლივ დავერწმუნებთ სერაპიონის, როგორც მხატვრის და ხელოთმომცდრის შესაძლებლობაში, ვინაიდან მისი ქმნი-ლებს სტიქიურმა უბედურებამ მალევე იმსხვერპლა, მაგრამ მის მიერ გათვალისწინებული საბოძასტრო ნაგებობდებარეობის შეფარდება დღეს მასზე არსებული ადგილობის არ-ქიტექტონიკასთან, შესაძლებელია, გარკვეულ სახლოებში წარმომავალიც იყოს სერაპიონის მხატვრული ნიჭისა, რა-მეთუ აწინდელი მონასტერი სერაპიონისავე ამორჩეულ ადგილზეა აღმართული და როგორც პოეტ ვ. ბერიძე წერს: „მიღოს სოფელსა და მიდამოს გადაკურებს თავს“.<sup>16</sup> იგი თავისი შესახებ იქნებოდა მდებარეობის მივლ მასობილ გარემოში დომინირებს, და უნდა ვიფიქროთ, რომ სერაპი-ონის პროექტი აკვებული მონასტერიც სწორედ ასეთი დომინანტი იქნებოდა ზარზმის სანახებოსა, რადგანაც არ-ქიტექტორს აქვეტა მასზე სწორედ ამ მიზანთულებით და-დაქონდა.

სერაპიონი, როგორც ხელოვანი, ჩანს, კარგად ერკვეო-და თავისი მოწოდების მნიშვნლობაში და ამიტომ იგი ჩორჩანელთან საუბარში თავისი პოზიციების განმარტციკ-ებულ მთავარ საუბარად „ხილვის მოყუარეთათვის“—ანუ ხელოვნებათმცოდნეთათვის ანგარიშის გაწვევის აუცილებ-ლობაზეც მიუთითებს. იმას, რასაც შეიძლება ფსი ან დას-დებოდა ჩორჩანელის თვალში, „ხილვის მოყუარეთათ-ვის“ მეტად მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდა. „ხილვის მოყუარეთათვის“ სერაპიონის ანგარიშგაწვევა აშ-კარად ღალადებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ იგი ითვალისწინებდა იმ ერთგვარ მხატვრულ-შემოქმედ-ებით ცნებურას, რომლის გეოგრაფიკაც გარკვეული ხარე უნდა ძმებოდა მის ქმნილებათა. აქედან კი ცხადი ხდება, რომ იგი „კაცთა ხელონათა“ და „ხილვის მოყუარეთა“ გრძნობის თუ ცოდნის საზომის მიხედვით ქმნიდა თავის ნაწარმოებს და ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სერაპიო-ნის ნაწარმები მისი თანადრეული მხატვრული შემოქმედ-ების მიწვევათა დონეზე უნდა მდგარიყო. სერაპიონისათ-ვის, როგორც ჩანს, ნათელი იყო მის გარემოება, რომ მის ნაგებობას, მხოლოდ ითხი კვლასა და მასში მოწყვედე-ული ხეობისაკუდლის გარდა, უნდა ჰქონოდა წმინდა ეს-თეტკური დანიშნულება; შემოსხვევითი არაა, რომ ჩორჩა-ნელთან და ბერძენთან საუბრისას იგი არავრთხლ ჩერდ-ება ადგილისა და სადარის მშენებებაზე. მისი აზრით, „შეუნიერება ადგილისა ამის“ უფრო ღირსცანური იქნ-

ბა, თუკი მასზე აიგება „საყდარი ფრიადი შუენიერი“. ბუ-  
ნებისა და არქიტექტურის მშენებლობათა ურთიერთიმარ-  
თება შექმნის ხელოვნების მშენებრებას, რაიც მიიღწევა  
„კაცთა ხელოვნაჲ“ მაღლიანი მარჯვებით.

სერაპიონი, გარდა იმისა, რომ სურთომოდღვარია, ე. ი.  
„შემკულ წესითა სურთ-ხუცობისათა“<sup>15</sup>, ქვის მსატრუ-  
ლად და მსატრევის ოსტატად ჩანს ნაწარმოებში მითითე-  
ლად, რომ იგი სათანადო იარაღით პირდაპირ ქვაზე  
აქანდაკებს ჯავას: „წმიდანთ მან, — ვკუთხოთნი ცხოვ-  
რებთა, — აღიღო ხელთა თქნა ოროჯი რკინისა და გა-  
მოაქანდაკა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდდღიდა“.<sup>16</sup>  
სხვა ადგილზე კი ნათქვამია, რომ ოპიზის მშენებლობაზე  
სერაპიონი „დამწითა ხელთა იხილვებოდა მდგომარედ  
ხურთთა თანა საველესითა“.<sup>17</sup> როგორც ჩანს, იგი მშენებ-  
ლობაში უშუალოდ დებულობს დასწავლებლას, რაც მის  
ანავე საქმეში დახელოვნებაზე მიგვიითხებს.

თუ შევახატოთ ნათქვამს, ვნახავთ, რომ სერაპიონი სამ-  
შენებლო საქმიანობის ძირფესვიანად მოვლედს: მას შეუძ-  
ლია სამონასტრო მშენებლობისათვის სათანადო ადგილის  
შერჩევა; ქმნის ნაგებობის პროექტსა თუ საშუაო მიდელს  
და ქვაზე მხატვრული ჭრის ოსტატადვე გვევლინება.

სად უნდა ესწავლა სერაპიონს ყოველივე ეს? სამშენებ-  
ლო საქმიანობაში ასე მრავალმხრივი დახელოვნება, იქა-  
ნადა, სათანადო პროფილირებულ სასწავლებლის გარეშე  
წარმოუდგენელიც კია. პიროვ. ვ. ბერიძის მასშტაბიანი  
შენიშვნით: „ზედის საზურგეა, მათი ყოველი ნაწილის  
პარკინიული შეთანხმება, დასასრულ ტექნიკური სირთულე  
იმის მარჯვებულთა, რომ აქ იმპროვიზაცია შეუძლებელი  
ყოფ“<sup>18</sup>. და მართლაც დაუჯერებელია, რომ ავტორები ჩვენი  
ხელოვნებულ მონასტრებისა, დიდებული ფრესკებისა,  
სერტოზული „ქროთიზხულებისა“<sup>19</sup> თუ უმცლდეს ოსტა-  
ტობით შესრულებული მოზაიკებისა და მინანქრებისა, შემ-  
თხვევითი ადამიანები ყოფილიყვნენ, ბერ-მონაზონთა  
თან სამონასტრო გამოწყობილი, სამშობლოს თუ ღვთის  
საღიგებლად ოდენ მესაენი. შეუძლებელია, მათ არა მხო-  
ლოდა რაიმე სპეციალური განხილვებაც იმ დარგში, რი-  
მელსაც ესოდენ თავდადებით ემსახურებოდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მწიგნობრის მეს-  
ვერთი ყოველთვის მოჩანან, როგორც ამა თუ იმ ლიტერა-  
ტურული სკოლის აღზრდელნი და ხშირ შემთხვევაში ისიც  
კი ვიცით, ზოგადი განათლებისა და დარგებს იყვნენ დაუფ-  
ლებულნი და ვისი ხელმძღვანელობითა თუ მეშვეობით  
იწყებებოდნენ ლიტერატურულ მუშაობაში, უნდა ვადა-  
როთ, რომ მხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეთა მოზნადე-  
ბაც სათანადოდ ორგანიზებულ წრეში და განსწავლული  
აღმზრდელის ხელმძღვანელობით მიმდინარებობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია აღნიშნულია,  
რომ „ბერები პირველ ხანებში, სამონასტრო კოლონიზაციის  
დასაწყისში, ერიდებოდნენ სამონასტრო საქმეში ერის-  
კაცთა ხელის გამოყენებას და ამიტომ თავით სწავლობ-  
დნენ მათი ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელ ხელო-  
ნას“.<sup>19</sup> ეს მტკიცდება იმ ფაქტებითაც, რომ ილარიონ ქარ-  
თველმა თავის მოწაფეებს თვითთვევ „საწავლა ვითარ  
ჯერ იყო აღმუშება“.<sup>20</sup> ამიერიგ სენაკისა „ყორისა ქვისა-  
რისა“<sup>20</sup> შემდგომ ხანებში კი მონასტრებში ამ მხრივ საქ-  
მე ისე ყოფილა დაყენებული, რომ მსურველს ერთი კი არა,  
მრავალი ხელნათის შესწავლა შეეძლებოდა. ამ თვალსაზრი-  
სით ყურადღებას იპყრობს XIV საუკუნის ცნობილი კალიგ-  
რაფის ლაგდეგული მოღვაწის ავეგაროზ ბანდაინძის ცნობა,  
რომელსაც აღნიშნულ მონასტრებში „თხრობი მოძღვრისა“  
ათასწიარი ხელთა შეუსწავლია“.<sup>21</sup>

დავით გარეჯის მონასტრში სახვითი ხელოვნების შეს-  
წავლა ისეთ სიმაღლეზე მდგარა, რომ ამ სავანადან გა-

მოსულ ფრესკის ოსტატთა ნაღვაწს დიდი მხატვრული ღირ-  
ებულება ჰქონდა. «За пределы не только гардз-  
ских пустынь или даже грузинского искусства,  
но за пределы вообще всей той живописи, кото-  
рая обнимается общим понятием византий-  
ской»<sup>22</sup>.

ამ საბუთების გათვალისწინება საკმარის საფუძველს იძ-  
ლევა, ვივარაუდოთ, რომ სურთომოდღვრებაც ჩვენს ძველ  
ოსტატებს მხოლოდ და მხოლოდ მონასტრებში უნდა შეეს-  
წავლათ — სადაც მათ მოძღვრათა ხელმძღვანელობით.  
ყოველივე ეს სპეციალისტებასათვის უკვე ცნობილი ფაქ-  
ტია.<sup>23</sup> და თუ ჩვენ მას მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ, მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გავიხსენიოთ ჩვენი მო-  
ნასტრების ის დიდი დამსახურება, რომელიც მათ ქართუ-  
ლი ხელოვნების წინაშე მიუძღვით. ამ მონასტრებიდან  
გამოსულმა სურთომოდღვრებმა დაუფასებელი ღვაწლი  
დასდეს შრომობრივი სახვითი ხელოვნების განვითარებას  
და ბევრი მაგიანი ისე გაქრა უკვალად, რომ მათ ვინაობა-  
სი შესახებ მწირი ცნობებიც არა გვაქვს. „იოანე ეპის-  
კოპოსმა დადავა საძირკველი ამის გველისისა ხელოვნა  
ჩემოდღვლისა საკოვარისაოა“<sup>24</sup>. ვაკანციბის წარწერა  
მხოლოდ სახელს აღმწმენბლისა და მის ქრისტიანულ მო-  
ხარულ, დანარჩენზე დუმს. ასევე მწირია სხვა წარწერებიც,  
ჩვენს დიდებულ მონასტრებს აქა-ქ რომ შემორჩენიათ.  
ვინ იყო საკოვარი, არსაკის ძე, იოანე მორჩას ძე, ბაგრე-  
ლი, სხვანი და სხვანი ეს საკვირველი სურთომოდღვრები  
საქართველოს ქრისტიანული მიწა გონების საცარიე ქმნილე-  
ბებით რომ მოქარებდნენ, სად აღიზარდნენ, რა განათლება მი-  
იღეს, ან ვისი ხელმძღვანელობით გაიწაწნენ ამ დიდე-  
ბულ საქმეში? ასე უნაკაროდ და თავდავიწყებით რომ  
იღვრებოდნენ. როგორც ჩანს, მათს შესახებ არ იტყვებოდა  
„ცხოვრებათა წიგნი“<sup>25</sup>, წარწერები კი დუმან. დუმს ას-  
ტრიაიც.

ამიტომ, შეუძლებელია ყურადღება არ მიიპყროს ისეთი  
სამონასტრო ორგანიზაციის არსებობის ფაქტსა, რომელ-  
შიც პირდაპირ ჩვენივითა თუ მყარის მონასტრებში სახუ-  
როთომოდღვრო სასწავლებლის არსებობა რეალურად დას-  
ტურდება.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაზე დაკვირება საშუა-  
ლებას გვაძლევს ზოგადად წარმოვიდგინოთ ერთი ასეთი  
სამონასტრო ორგანიზაცია, რომელსაც გარკვეული წვლილი  
უნდა მიუძღოდეს ჩვენი ეროვნული სურთომოდღვრების  
განვითარებაში. ასეთად, სადაც საგანგებოდ ამზადდებდნენ  
„კაცთა ხელოვნა“<sup>26</sup>, გვესახება პარკინული წვლილი  
ეკლესიისა და სატრაპეზოს ნაწარმები, ნიკო მარის ცნო-  
ბით. თანახმად, ჩვენი საუკუნის დაშლევს ჯერ კიდევ შეი-  
ნიშნებოდა.<sup>27</sup>

მასილ ზარზმელი როდესაც ვაკანციბის მიკლ პარკინის  
ვინაობასა და მის მიერ პარკის სავანის დაარსების გარე-  
მოებას, წერს: „...აღაშენა რაა წმიდა და დიდი უდანობა  
ოიპსა მონოზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ან-  
დრია, პეტრე და მაკარი, ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა  
მუნით (მიქელ) და აღაშენა უწყებთა საღმრთოთა მცი-  
რი ეკუდერი და შესაყრებელი მცირეთა მძათა ადგილისა  
კლდისადა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარკეს უწოდან.  
ხოლო ესე სატრაპეცა მათა მიერ მოვალს უჩენდა, რამეთუ  
მიქელ იყო აღამაწყებელი“.<sup>27</sup>

მიქელი რომ მართლაც მშენებელი ყოფილა, მტკიცდება  
თუნდაც იქიდან, რომ მისი საკოვარად გამოხუცილი მძები  
სერაპიონი და იოანე მწმენბლები არიან.

სერაპიონის აღმწმენბლობითი მოღვაწეობის ფაქტი და  
თხზულების ავტორის მოწმობა, რომ „იქველი იყო აღამა-  
შენებელი“<sup>28</sup>, ერთიმორებს ავსებს და ერთურთის უტყუარო-



ბას ასაბუთებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპიზაზე მუშაობისას მიქელ მშენებლის პატივი აქვს მინიჭებული და არა მინიშნისა.

მამასადამე, მიქელი ყოფილა მშენებელი და ოპიზის დამთავრების შემდეგ წასულა „ადგილსა კლდისასა და უკალსა კაცთაგან, რომელსაც პარეზ უწოდებდა“. და საფუძველი დაეყარა მონასტრისთვის, რომელიც გაიშენებულა ჭკინია, როგორც „შესაკრებელი მცირეთა ძმათაა“. წინადადებაში: „და აღუშენა უწყებთა საცნობითა მცირე ეკლდერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაა“, ნათქვამია, რომ მიქელს აუშენებია ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ორი ნაგებობა: პირველი „მცირე ეკლდერი“, ე. ი. პატარა სამლოცველო და მეორე „შესაკრებელი მცირეთა ძმათაა“. ჩვენი აზრით ეს უკანასკნელი ნიშნავს ასაკითა და არა რიცხვით მცირე ძმათა საკრებულოთ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ თვითონ სრულიად ახალგაზრდა სერაპიონი მიქელთან მიდის თავისი მცირეწლოვანი ძმით. ავტორი გვაუწყებს, რომ სერაპიონს, „თანა ჰყვა ძმა მცირე პასაკითა“. ხოლო სერაპიონის უმცროსი ძმა, იოანე რომ მართლაც მცირეწლოვანი დარჩა ობილად, აღნიშნულია „ცხოვრების“ სხვა ადგილზედაც. დედის გარდაცვალების შემდგომ, წერს ბასილ ზარზმაელი, „უმწმომქსი ძმ იოანე დაშოა ყრულად უსრლო და ენაბრუნელი. იგი უკუე აზარდა მამან მისმან კაპრიანე... ვითარცა შეჰგაგს მამასა შეიღთმოსყვარესა“. მაგრამ... „შემდგომად არა მრავალთა წელთა აღსურულთა მამაცა ამათ ნეტართაა. და დაშოეს სამნივე იგი ყრმანი. მსგავსად ბაბილოფისსა ყრმთა ალსა მას შინა სიღალბაკისასა შეთხვრულნი.“<sup>28</sup> როგორც ვხედავთ, სერაპიონის დედა მამისი გარდაცვლილა, როცა იოანე ჯერაც ენაბრუნელი, ე. ი. თითქმის ძუძუთა ჩვილი ყოფილა. შეიღთმულა ზრუნვა მამას უკისრი, მაგრამ იგიც „შემდგომად არამრავალთა წელთა“ გარდაცვლილა. როგორც ვხედავთ ან უნდა გავზარდოთ ამ „არამრავალთა წელთა“ რიცხვს, მამას მზრუნველობით რომ გაატარეს ყრუბება, ათს მაინც ვერ გადავგაზრდებთ. გამოდის, რომ იოანე 11-12 წლის (ან

უფრო ნაკლებს) ბავშვი მისულა მონასტრში. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მიქელი ცნობილი ყოფილა როგორც ობოლთა აღმზრდელი და პატრონი. სერაპიონმა, — მოვითხრობს ბასილი, — დიდსა მიქელს, ვითარცა რამე მასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰყვდრა თავს თვისი.“<sup>29</sup>

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიქელს მიერ აშენებული „შესაკრებელი მცირეთა ძმათაა“ იყო სწორედ ამ ობოლთა და მცირეწლოვანთა თავსუფარა — სემინარია, სადაც სხვა სამონასტრო დარგებს შორის დახელოვნებული მშენებელი მიქელ პარეზელი ასწავლიდა, „სულთა საეკლესიოთა შენებისათა“, რომლის „მეცნიერიც“ იყო სერაპიონ ზარზმაელი და არა მარტო სერაპიონი, მისი ძმ იოანეც, რომელმაც ჯერ ერთი თავისი სიტყვა თქვა ზარზმის მშენებლობაში და გარდა ამისა, როგორც ახსენებდაშია აღსანიშნული, მას დამოუკიდებლად აუშენებია მონასტერი „იოანე წმიდას“ სასულწოდებით.<sup>30</sup>


ყოველივე ზემოთქმული რეალურად გვაჩვენებს, რომ პარეზი არსებულა სემინარია, სადაც იზრდებოდნენ ქართველი ხუროთმოძღვრები. სერაპიონ ზარზმელის აღმშენებლობითი მოღვაწეობა გვიჩვენებს, რომ პარეზი ყოფილა მკვეთრად პროფესორული სასწავლებელი, სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების საკუთარი ხასის ჩამოყალიბებას.

აკად. გ. ჩუბინაშვილის საფუძვლიანი დასჯება ქართული ხუროთმოძღვრების ძირითადი ტენდენციური ნიშნის შესახებ, რაც ჩვენს ჭირნახულ მიწაზე შემორჩენილ მრავალრიცხოვან ძველთა ანალიზს ემყარება, იმთავითვე გაცნობიერებულ და შეთავსებულ ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ. ეს ტენდენციური ნიშნები ჩვენი სამშობლოს რელიგიუთ არის ნაკარნახევი და სისხლმორცნულადაა დაჩვენებული ქართველი ხალხის ყფაში. მას სტეკილისტების გარდა იცნობს ქართული საეკლესიო მწერლობაც, რაც მის როგორც ხასიათს უფრო შეუვლი ტემპარაჩტებით დასტურებს.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა :

1 გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, 1933 წ., ტ. 1, გვ. 84.  
2 ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1964 წ., ტ. 1, გამოკლევებში ტექსტს ემორწმუნებთ ამ გამოკლევითა.  
3 კ. კეკელიძე. ეტიმოლოგია 1952 წ., ტ. 1, გვ. 235-237.  
4 ს. ინგოროვიჩი. „გიორგი მერჩხული“, 1955 წ., გვ. 340-341, ავრთვეთ გ. ბერბე, „ძველი ქართველი ისტატები“, 1967 წ., გვ. 204.  
5 ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 323.  
6 იქვე გვ. 324.  
7 იქვე, გვ. 327.  
8 იქვე.  
9 იქვე, გვ. 328.  
10 იქვე, გვ. 327.  
11 „იგავი“ ამ შემთხვევაში განიმარტება ისე, როგორც მას ს. ს. ორბელიანი იძლევა: „იგავი ესე არის სიტყვით მავალით ცნის მისიანზეა“. იგავის სხვა მნიშვნელობათა შესახებ. იხ. მ. რაფვეა „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971 წ., 1.  
12 დასაბ. კრებული, გვ. 334.  
13 იქვე, გვ. 314.  
14 გ. ბერბე, „სამცხის ხუროთმოძღვრება“, 1955 წ., გვ. 92-93.  
15 იქვე, გვ. 337.

16 იქვე, გვ. 329.  
17 იქვე, გვ. 337.  
18 გ. ბერბე, „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, 1956 წ., გვ. 9.  
19 შ. შესხია, „მომოხილველი“, 1949 წ., გვ. 59, № 1.  
20 „ათონის კრებული“, გვ. 87. ამ შტალოზეთ მთავითთა ბ. კოლანავამ, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.  
21 ანავა, მ. ლენაბლე, ძვ. ქართ. მწერლობის კრებუბ, ტ. 1, ნაკვეთი 1, 1961 წ., გვ. 332.  
22 გ. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида Гареджи, Тбилиси, 1948, стр. 56.  
23 ვახტანგ ბერბე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, 1956 წ., გვ. 9.  
24 გ. ბერბე, „ძველი ქართული ისტატები“, 1967 წ., გვ. 202.  
25 ამ მხრივ შეიძლება გამოჩალის ყოფილიყო მიქელ აატხელის ცხოვრება, რომელიც დაკარგულა.  
26 ლ. მენაბდე, „ძველი მწერლობის კრებუბ“, ტ. 1, ნაკვეთი 11, გვ. 423.  
27 იქვე, გვ. 322.  
28 იქვე.  
29 იქვე.  
30 იქვე, გვ. 339.



აზატ შაჰინიანი

# ტ რ ა მ ვ ა ი კ ა რ კ შ ი მ ი ღ ი ს

ღამეული ისტორია რამდენიმე  
„გაჩერებად“...

მოქმედი პირნი

აზატ შაჰინიანი პროზაული ნაწარმოებების რამოდენიმე კრებულის ავტორია. დრამატულ მოღვაწეობას 1960 წლიდან ეწევა. მისი არა ერთი პიესა წარმატებით იდგმება სომხეთის სახელმწიფო თეატრების სცენებზე. ხოლო „ჩემი საუვარელი პატარა“ უკვე კარგა ხანია გაიყვანა მოსკოვის, კიევის, ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მსოფრთველმა.

პიესას — „ტრამვაი პარკში მიღის“ „მოსსოვეტის“ აკადემიური თეატრი ღვამს.

ვატმანი  
ცოლი მისი, უკვე დიდი ხნის გარდაც-  
ლილი...  
ახალგაზრდა კონდუქტორი ქალი  
სათვლიანი ბიჭი  
გიტარისანი ბიჭი  
ქრათშიანი გოგონა  
შავთშიანი გოგონა  
კინორეჟისორი  
ქალაქა მანდილოსანი  
ხასოზიხილი გოგონა  
სულსწრაფი მამაკაცი  
ჩემოდნიანი მამაკაცი  
აქვარიუმიანი მამაკაცი  
ექიმი  
უურნალისტი  
ღარაჯი  
მარჩიელი მოხუცი  
სურდოიანი მოხუცი

ტრამვის ლიანდაგების შემეტეხელი ორი მუშა. ძალი (ძალი არ ჩანს...).

მოქმედება ხდება ღამით: ტრამვის ვაგონში, გაჩერებებზე, ჭერ კიდევ ჩაუმქრალი ფანჯრების მიღმა და ადამიანთა სულში...  
ღრო — მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი.



ქუჩა. სცენის წინა მხარეს ტრამვაის გაჩერების აღმნიშვნელი აბრა, სკამი და შადრევანი... სცენის მარჯვენა მხარეს ლიონის ფრფიტა და დამკრული, რომელსაც აწერია: „ქუჩა ვადა-კრთილია“.

ღაშა. დიდი, ზმურაინი ქალაქი უკვე თვლებს. მაგრამ აი, ქალაქის გარეუბნის ამ ქუჩას სამუშაო დღე ჭერ არ დაუშოვრებია. ქაჩის სიღრმიდან დროდადრო მკვეთრი სუქი გამოკრთის, ისმის ტრამვაის ლინადვების შემქმნებელი მუშების ხმა. გაჩერების აბრასთან ხანმოკლე ხახის ჰალარა მანდილოსანი დგას და ჰიფრცეს მიშტრება. მერმე მოუსვენრად პოლოთის ცემას იწყებს. ორი მუშა შალეებს ცვლის. გაისმის მხიარული ხმე-ნი. ჰალარა მანდილოსანი წამით შეჩერდება, პურადღებთ რაღაცას აკვირდება. გაჩერების აბრას უახლოვდება ამ გიტარაინი ბიჭი, საქსაფონოაინი ბიჭი და შავთმიანი გოგონა. გიტარაინი ბიჭი ლექსს ამბობს.

მოთრალი ვარ, სული მაქვს აღუვსები...  
სიტყვაში მაჭობს ვინა...  
გვაბრუნებს, გვაბრუნებს კარსული...  
გვაბრუნებს, გვაბრუნებს ღვინო...

შავთმიანი გოგონა. (ხელები წინ გაუშვერია, ერთ ადგილზე ტრიალებს, თვლები ცად აღუაყრია და ღრმად სუნთქავს). ოჰ... რა კარგია, რა კარგია, ბიჭებო, სუნთქვა...

გიტარაინი ბიჭი. (სიტყვას გადაუკრავს საქსაფონოაინი ბიჭს). განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საკვამურების მწმინდავი გვერდით გაყავს.

(შავთმიანი გოგონა მხარზე ჩამოკიდებულ ჩანთას მოიხსნის და გიტარაინ ბიჭს ზურგში უთავაზებს... გიტარაინი ბიჭი გვერდზე გასტეხა და გაჩერების აბრასთან მდგარ სკამზე ასარბარებული გაიმშლართება. მას თვალში ცისთვის მიუყურია და სიმებს „რიბლად აღიშებს“... შემოდიან ახალგაზრდა რეჟისორი და ქერათმიანი გოგონა. მათ უკან მოსდევს სახეჩამორღობული სათვალაინი ბიჭი, რომელსაც სამგზავრო მაგნიტოფონი უჭირავს ხელში).

გიტარაინი ბიჭი. ძია, ეს რა ზარკადებს აგებთ? პირველი მუშა. საქმე ნახე, შეაყოლე... (მუშები გადიან).

გიტარაინი ბიჭი. (მუშებს აღევნება, ლექსს იწყებს). მტერთან შეხმული კომუნარების სისხლით შევბოლო ბარკადებზე... (შადრევანს შეამჩნევს). მომეხატრება... (უახლოვდება შადრევანს). მომეხატრება შეჩვეული ეს წმიდა წყარო... (დაეხმობა და სულ-მოუთქმელად სვამს).

საქსაფონოაინი ბიჭი. ჰეი, შვეიც, ცოტა დალიე, დათვიე.

გიტარაინი ბიჭი. ორი წელი ამ მარგალიტს თვალსაც კი ვერ დავალოვინებთ... მოდი, საქს, ყოველი ქუჩა ფეხით შემოვიაროთ, ყოველ სკამზე ჩამოყსნდეთ და ყველა შადრევანიდან ესთავ წყალი...

საქსაფონოაინი ბიჭი. სხვას რას ინებებს თქვენი შექანებული ტონი?..

შავთმიანი გოგონა. გვეყოფათ, ბიჭებო... გვიანია, წავედით...

გიტარაინი ბიჭი (სათვალაინს). ჰეი, ცარიელი ინტელექტო, მოდინხართ თუ არა?

სათვალაინი ბიჭი (ქერათმიანი გოგონას, რომელიც აქამდე გატაცებით ესაუბრებოდა კინორეჟისორს). წაივდი.

ქერათმიანი გოგონა (ჩურჩულით, გულმოსული). მოიცა...

სათვალაინი ბიჭი. თქვენ წადით, შვეიც... ჩვენც მალე წამოვალთ...

შავთმიანი გოგონა და ორი ბიჭი ხელიხელგაყრდები გადიან.

ქერათმიანი გოგონა (კინორეჟისორს). საინტერესოა, როგორ იქნება თქვენი ფილმი. კინორეჟისორი. ო, უფრო ღრმას, უფრო სვედიანს ქვეყნად მთორე ფილმს ვერ ნახავთ...

ქერათმიანი გოგონა. ო, თუნდაც ერთხელ მაინც რომ მანახა ჩემი თავი ეგრანზე...

კინორეჟისორი. იქნებ საკმაოდ საინტერესო გარეგნობა გაქვთ... (ხანგრძლივად აკვირდება გოგონას), რაც შეეხება თქვენს თვალბ...

ქერათმიანი გოგონა. რა ბრძანეთ? კინორეჟისორი. ...სამუშაოდ, ვფიქრობ, ეგრანზე იმდენად გამომხატველი ვერ იქნებიან.

ქერათმიანი გოგონა. რატომ? კინორეჟისორი. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ თქვენ ჯერ კიდევ სიყვარულის სიმწარე არ გეგმობათ, არ ცივთ, ცხოვრებაში რა არის ტანჯვა...

ქერათმიანი გოგონა. იქნებ ვივარგო, იქნებ... იქნებ სულ პატარა, უმნიშვნელო როლში მაინც რაიმე მოვახერხო?

კინორეჟისორი. ცვალდით... ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული... (უკვე სცენის სიღრმეში მდგარ დედას შეამჩნევს. გოგონას). მამაკეთი... (სწრაფი ნაბიჯით ჰალარა მანდილოსნისაკენ გაემართება). დედა, აქ რატომ დგასარ?..

ასახის ნაცვლად დედა ხილას გააწანავს...

— რას ნიშნავს ეს?..

ჰალარა მანდილოსანი. შენ აქ დაქვივობ, ერთობი, იქ კი...

კინორეჟისორი. რა მოხდა?

ჰალარა მანდილოსანი. გაიანეს თუ იცნობ ვისმეს?..

კინორეჟისორი. მერე? რა იყო?

ჰალარა მანდილოსანი. ისიც თუ იცი, მალე დედა რომ გახდება?

მოახლოებული ტრამვაის ზმურაი, რომელიც თანდათანობით ძლიერდება და შემდეგ უკან წუდება.

სათვალაინი ბიჭი. უხერხულია, რას გაჩერებულხარ, წაივდი.

ქერათმიანი გოგონა. ტრამვაი მოვიდა. სათვალაინი ბიჭი. მერე რა, რომ მოვიდა. ვერა ხედავ, ლიანდაგობა აყრილი. ფეხით წაივდი.

ქერათმიანი გოგონა. ფეხით დაგვავიანდება, დედანემი შეწუნდება.

სათვალისწინებელი ბიჭი. არ შეწყუდება. იცის, ჩვენთან რომ ხარ. წავედით, ფეხით წასვლა ჯობია... უფრო მალე მივაღო...

სათვალისწინებელი ბიჭი და ქვემოთაინი გოგონა გადამ. ქუჩაში ქალბატონი მანდილოსანი და მისი ვაჟი ჩრებიან.

ქალბატონი მანდილოსანი. შენ გეკითხები, ვინ არის ის გაიანი?  
კინორეჟისორი. კინოსტუდიაში დაიარებოდა ხშირად...

ქალბატონი მანდილოსანი. გასაგებია...  
კინორეჟისორი. მაგრამ... ჩვენ შორის ყველაფერი უკვე დამთავრებულია.

ქალბატონი მანდილოსანი. დამთავრებული!... შენ თუ იცი, რა ხდება ახლა მათ ოჯახში?... ახლავე, დაუყოვნებლივ წახვალ მათთან და...  
კინორეჟისორი. ტყუილად მაიძულებ, დედი. სულ ერთია, არ წავალ...

ქალბატონი მანდილოსანი. წახვალ კი არა, წაბრძანებები...  
კინორეჟისორი. ვერ გამიგია, რა დროს ჩემი ცოლის შერთვაა, ჯერ კიდევ ათასი მიზანი მაქვს შესასრულებელი.

ქალბატონი მანდილოსანი. მისი მიზნების შესახებაც თუ გიფიქრია? თუ გიფიქრია, რომ შენ გარდა სხვადასხვა შეიძლება ჰქონდეს მიზნები?... ან კიდევ, ვინ ავებს პასუხს იმ უცოდველი არსებათათვის, ხვალ ამ ქვეყნას რომ უნდა მოეგლინოს, შენ გეკითხები, ვინ?... პირწაყარდნილი მამაშენი ხარ...

დედა-შვილი კამათი გადის სცენიდან. შემოდიან ახალგაზრდა კონდუქტორი ქალი და ვატმანი.

ვატმანი. ოჰო, ლიანდაგები აუყრიათ.  
კონდუქტორი. ისედაც დავაგვიანეთ, ახლა უკვე პარკში უნდა გყოფილიყავით.

ვატმანი (ერთ-ერთ მუშას). ბევრი დაგრჩათ სამუშაო?  
პირველი მუშა. ცოტა.  
კონდუქტორი. კარგად ვიცით თქვენი „ცოტა“ რასაც ნიშნავს.

პირველი მუშა. ულიანდაგოდ ხომ ვერ წახვალთ? ხომ უნდა დავამთავროთ?

მეორე მუშა (ამხანაგს). შენ საქმეს მიხედვით, კაცო, ხომ გაგიგია, გამკეთებელი ერთი, მოლაპარაკე ათასიო... (გულმსახური). ცოტა წესიერად დაიჭი, მაღლა ასწიე, მაღლა, მხარი ჩამწყვეტა!...

მუშები გადამ.

კონდუქტორი. დაერჩით ქუჩაში.  
ვატმანი. რას ვიზამთ, უნდა დავიცადოთ.

მოახლოებული ავტომანქანის თუთუხი ისმის.

კონდუქტორი. პურის მანქანა მოვიდა, თქვენთვისაც ავიღო?

ვატმანი. რა ჯანდაბად მინდა, გუმიწმინდელიც არ მიჭამია.

კონდუქტორი (წამლერებით). გუ-შინ-დე-ლიც...  
ვატმანი. ოჰო, ნუწი, წადი, პურს უკვე სცლიან. მე კიდევ, წავალ და პარკში დავრეკავ.

კონდუქტორი და ვატმანი საწინააღმდეგო მიმართულებით

გადიან. შემოდიან ჩვენი ნაცნობი მუშები. მხარებზე შალო გაუდვით. მათ ხელ, ორმოცდაათს მიტანებული მამაკაცი უახლოვდება. ბელში ჩემოლანი უქირავს, მხარზე საწვომარი გადაუვლია, ხელაზე მედლებს საშკერდნი ნიშანი და ოქროს ვარკველი უბრუნინავს. ქუჩის სიღრმეში ვატმანი მოეპარობება. როგორც კი ჩემოდნის მამაკაცს შეამჩნევს, ადგილზე გაქვავდება.

ჩემოდნიანი მამაკაცი. ვერ მეტყვი, მალე წავატრამეი?  
პირველი მუშა. რა ვიცი, ძმაო.  
მეორე მუშა. რთვა ლიანდაგებს დავაგებთ, მაშინ...

მუშები გადამ. ჩემოდნიანი მამაკაცი ხელს ჩაიჭნევს და მიღის ვატმანი თაღლით მიაკლებს მას, შემდეგ მოკუფრული შემოპრუნდება და გაჩერების აპარატთან სკამზე ჩამოჯდება. ახლოში ქალის შორი ხმა ჩაესმის, შორი, მაგრამ ძალიან უსალობო და ძვირფასი ხმა.

ხ.მ.ა. რა მოგივლია, არამ.  
ვატმანი. არაფერი...  
ხ.მ.ა. უკვე ასე რამ დაგალონა?  
ვატმანი. აი, თურმე ჩვენს ორს როგორი ხვედრი გვატრუნა ომმა. ერთს ეკლის გვირგვინი... ხოლო მეორეს...

ხ.მ.ა. რა საჭიროა... ნუ გაიხსენებ... დაივიწყე...  
ვატმანი. დაღვიწყო? გულისმომგველი სწორედ ეგ არის, რომ ვივიწყებთ, ყველაფერს ვივიწყებთ. ხოლო, რაც არ გავიწყდება, თავს ვაიძულებთ, დაღვიწყოთ...

თავს მაღლა აიღებს. გატანული წარბებს მოისრებს და თაღლით ერთ წრტილს მაშტერდება. ღამულ სიჩუმეში მოახლოებული ფეხის ხმა გაიხსნა, ასეაღტზე შეხსაცემლების ქუსლების კაცნი და მთხი ექო... და აი, მის წარმოდგენებში ჩნდება მთხი ახალგაზრდა ცოლი, რომელიც უნდა დიდი ხნის შევადრია.

ცოლი. წარსული წარსულია, არამ.  
ვატმანი. მერე რა?..  
ცოლი. ხელმეორედ ტყუილად ნუ იწამლავ სულს, დაივიწყე.  
ვატმანი. დაღვიწყო?! როგორ!.. მითხარ, რანაირად!.. ცოლი. ომში ყველაფერი სდება... ომი სწორედ მაგიტომამა ომი...

ვატმანი. ადამიანი ყველგან და ყოველთვის ადამიანი უნდა იყოს, ის კი... თუმცა, შენ აბა რა იცი, ვერ ჩამოგისწარ, ვერ მოგიფიქვი...  
ცოლი. დიდხანს გელოდებ, მაგრამ არ დაბრუნდი. დამთავრდა ომი და მაინც არ გამოჩნდი...  
ვატმანი. დაბრუნდი, ანა... დაბრუნდი, მაგრამ შენ უკვე აუარ იყავი.  
ცოლი. მარინე ხომ დაგეტოვებ...

ვატმანი. მარინესაგან გუმიწმინდელი მივიღე. გიხაროდეს, შენი შილიშვილი უკვე ორი შვილის დედაა...  
ცოლი. დედა მოუკვდეს, შილიშვილის ალერსის კი ვერ ეღივრსა და... შვილისა იყო, მარტო რომ დარჩა.  
ვატმანი. მარტო... მარტომარტო... საშინელებებით სახე ამ დიდი ქვეყნის, გამომცირებული სახლისა და შვე არმიამი ჩასმული შენი სურათის ამარა...

ცოლი. ნუ გაიხსენებ, არამ, ნუ გაიხსენებ... (პაუზა). დღეს გასჭრაზე რძე ისევ გადმოგივლია?..  
ვატმანი. კი, გადმოგივლია...  
ცოლი. ჩვენს გვერდით, მაღაზიაში, რძის ასადლებელი ჭურჭელი იყიდება.



ვატმანი. ჭურჭელი...

ცოლი. ჭურჭელი პერანგები დაგროვებია. სამრეცხაოში წვიღე.

ვატმანი. პერანგები... სამრეცხაო...

ცოლი. ასე ცხოვრება შეუძლებელია, არამ, არ ვარგა, არ ვარგა, ნუ ხარ მარტო.

ვატმანი. მარტო რადა ვარ?.. შენ ყველთვის ჩემთან ხარ, ანა, ჩემთან, ჩემს გვერდით... შენ ჩემთვის ცოცხალი ხარ, გესმის, ცოცხალი!..

ცოლი. ყველას თავთავის ცხოვრება აქვს, არამ, ნუღარ ჩრები მარტო.

ვატმანი. შენ სულ ერთსა და იგივეს გაიძახი. ნულარ იმეორებ, გულს ნუ მიკლავ.

ცოლი. ვაწუხებს გული?

ვატმანი. არ მასვენებს ეს შეჩვენებული.

ცოლი. ბევრს ეწევი?

ვატმანი. დღემი ორ კოლოფს.

ცოლი (საყვილურით). რატომ მერე?..

ვატმანი. თამაქის ბრაღი არ არის, არა. უბრალოდ, ეს დაწვევლილი ლითონის ნამსხვრევი ისევ იძრა...

ცოლი. გვეოფა ჯღიმა, ადექი.

ვატმანი. ველოდები.

ცოლი. რას ელოდები?

ვატმანი. ტრამვაი პარკში უნდა შევიყვანო...

ცოლი. გამართე მუხლი... ფიქრს ნუ აკყოლიხარ... წამოდექ...

ვატმანი. რომელი საათია?

ცოლი. მე შეიითხები?! ჩემთვის დრო აღარ არსებობს... ჩემი დრო დიდი ხანია გაჩერდა...

ამ სიტყვებით ქალი ნელ-ნელა გვგორადება და ქუჩის სიღრმეში უჩინარდება. ტკივილსა და შეუზღუბელ ვატმანს სახე ემაწებება, საკინძეს შეიხსნის და გული ხელთი უქი-რაგან... გაჩერების პერიოდზე მალალო, კეთილი სახის მამაკაც მოეჩვენება. ვატმანს ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახავს, შემოფოთებული მივარდება.

ექიმი. ცუდად ხარ?

ვატმანი. ასე კარგად ჯერ არ ვყოფილვარ...

ექიმი. არაფერია, რამდენჯერმე ღრმად ისუნთქეთ და გავიღოთ.

ვატმანი. ეპ, მეგობარო, ოცდახუთი წელია ღრმად ვესუნთქე... მაგრამ არაფერი მშვევლის.

ექიმი. ნერვოზია? სტენოკარდია?

ვატმანი. არა, რჩინა.

ექიმი. რა?!

ვატმანი. ერთი ციკუნა რჩინის ნამსხვრევი... დაუპატრი-ფებელი სტუმარიეთი შემომეჭრა და მოსვენებას აღარ მშვევს. ერთ ადგილას არ ისვენებს, წვეული... აგერ, უკვე ოცდახუთი წელია მკერდში დავატრევი...

ექიმი (გვერდით მიუჯდება). კარგი და, რისთვის იტოვებთ მას? უნდა მიითმროთ.

ვატმანი. მივითმრო? რატომ?.. სასიოვარია, იყოს ჩემთან... ესეც ჩემი მედალია, ომში ჯილდოდ მიღებულ... თამბაქო გაქეთ?

ექიმი. სიგარეტი?.. დიახ, რა თქმა უნდა... (ჯიბში სწრაფად ჩაიყოფს ხელს, მაგრამ უკებ ჩერდება). კი მაგრამ, თქვენითვის რომ...

ვატმანი. არაფერია. თამბაქო ვერაფერს დამაკლებს...

ექიმი. რაკი არ იშლით... ინებეთ...

ვატმანი. გამაღობთ.

ფიქრებში წახული ჩუმად ეწევა პაპიოსს. ექიმის ასევე-სულსწრაფი მამაკაცი მიუახლოვდება მათ, მკერდზე შამპანურის ბოლოები „მოუხუტებია“...

სულსწრაფი მამაკაცი. უკაცრავად, თუ იცით, ტრამვაი კიდე დიდხანს არ წავა?

ვატმანი. რა?..

სულსწრაფი მამაკაცი. რა და, რამდენიმე გაჩერება ფეხით მოვდივარ და არც ტრამვაი ჩანს და არც სხვა რამ. აქვე კიდევ, თითქოს განგებ...

ექიმი. ლიანდაგს აგებენ.

სულსწრაფი მამაკაცი. ვხედავ, მაგრამ სანამ დამთავრებენ... დრო აღარ ითმენს.

ვატმანი. რა დროა?

ექიმი. ორის ნახევარი.

სულსწრაფი მამაკაცი. მეგონა, გზაში რამეს გადავეყრებოდი, ჩავჯდებოდი და გავყვებოდი.

ექიმი. ასეთ დროს? ძნელად ნახათ რამეს.

სულსწრაფი მამაკაცი. მოდი ახლა და, ამ უპატრონო მასივიდან სამშობიაროზე ფეხით წაიდი... სამშობიაროში მივალ, არაფერია... შინ ვბრუნდები და, ვერც იქ მიზივთვია მოსვენება; წმინდაზე მინათს ჩემი თავი. ერთთავად პატარა, მოუსვენარ წვევლის თვისი მომჩერებია. ის კი არა და, მამაც კი მყვითი მივსი. უკაცრავად, მართალია, რომ ასეთი რამ ადამიანს ხშირად ემართება?

ვატმანი (ფიქრში წასული). რა თქვით?

სულსწრაფი მამაკაცი. რა და, აგერ უკვე მეშვიდე დღეა რაც მეუღლე სამშობიაროში წავიყვანე და ჯერ კიდევ არაფერი ჩანს...

ექიმი. ბავშვს ელოდებით?

სულსწრაფი მამაკაცი. მეშვიდე დღეა, წარმოვადგინეთ? მეშვიდე დღეა და, მამაძალი, მობრძანებაზე დიდი თავპატყის იდებს.

ექიმი. დარდი ნუ გაქეთ, მობრძანდება...

სულსწრაფი მამაკაცი. სიჯიუტეა და მეტი არაფერი... რა გაცინებთ? მართლს ვამბობ. სიჯიუტე მათ თან სდევთ იმთავითვე. (უფრო თავისთვის). ორმოცდაექვსი წლის კაცი ვარ უკვე. მამა პირველად ხვდები და, ის კიდევ... (ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს მიმართავს). დამაცადე, მე შენ გინებენ სიერს, დამიწყო ვაჟაკობა...

ექიმი და ვატმანი იცინიან.

ექიმი. რა იცით, იქნებ გოგოა?

სულსწრაფი მამაკაცი. მით უკეთესი... ოჯახში საინთერესო შემოიტყობ. თორღნ, არ ვიცი რატომ და, მაინც პირველი ბიჭი მინდა რომ იყოს.

